7—8 VI 41 года автор во время двухдневной командировки в Насакирალი (Махарадзевский район, Гурия) собрал нижеприводимые формы брюхоногих моллюсков, которые до сего дня в малакологической литературе приводимы не были не только для м. Насакирალი, никем до сих пор не обследованном с точки зрения малакофауны, но и для всей провинции Грузинской ССР—Гурии.

Формы эти следующие:

- Отряд Prosobranchia
- Сем. Pomatiasidae
- 1. *Pomatias costulatum* (Z) Rossm.
- Сем. Melaniidae
- 2. *Melanopsis praerosa* var. *mingrelica* Bayer.
- Отряд Pulmonata
- Сем. Clausiliidae
- 3. *Euxina quadriplicata* (Parr) A. Schm.

4. *Euxina* sp.
Сем. Zonitidae
5. *Vitrea contortula* *Kryn.*
6. *Oxychilus suturalis* *Bttg.*
Сем. Limacidae
7. *Limax flavus* *L.*
Сем. Ancyliidae
8. *Ancylus fluviatilis* var. *armeniacus* *Bgt.*
Сем. Helicidae
9. *Monacha circassica* *Charp.*
10. *Helix buchi* f. *minor* *Bttg.*

ციტირებული ლიტერატურა—Цитированная литература

1. Кокочашвили, Г. В. Моллюски Западной Грузии и их распределение по ландшафтным зонам. 1940:266 (диссерт. работа, рукопись).
2. Westerlund, С. А. Fauna der in der palaeartischen Region, V, 1885:31.

ჭუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო

პედაგოგიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941 წ.

Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. III, 1941 г.

ქს. სვანოძე

ჭუთაისის მიდამოების ტარანტულების ეკოლოგიიდან

(ტარანტულების ხორები)

ტარანტულების ერთ-ერთი სახე—*Lycosa vultuosa* Koch ჩვენში ფართო-დაა გავრცელებული.

მუშაობის ობიექტად, ზოოლოგიის კათედრის მითითებით, ჩვენ დავისახეთ *Lycosa vultuosa*-ს სორების შესწავლა ჭუთაისის მიდამოებში. მუშაობის ჩატარებაში ხელს გვიწყობდა ობიექტის სიმრავლე ქალაქის მიდამოებში, მისი მოპოების სიადვილე და შედირებით მარტივი, მაგრამ საინტერესო მეთოდით ბუნებაში მუშაობით¹.

Lycosa vultuosa Koch-ის

საკლასიფიკაციო ადგილი და გეოგრაფიული გავრცელება

Lycosa vultuosa Koch ეკუთვნის ობობების კლასს (Araneida), ორფელებიანების ქვერიგს (Dipneumones), ტარანტულების ოჯახს (Lycosidae) და ტარანტულების გვარს (*Lycosa*).

სსრ კავშირში 1936 წლის ცნობით, ობობათა შორის ცნობილია 1068 სახე და 38 ქვესახე და ვარიეტეტი. ეს ფორმები განაწილებულია 29 ოჯახში და 222 გვარში. კავკასიაში აღრიცხულია ჯერ-ჯერობით 178 ფორმის არსებობა, ე. ი. საბჭოთა კავშირის ყველა ობობას დაახლოებით 10% (Харитонов 1,2). ლიკოზიდების ოჯახი, ლინიფიიდების (*Linyphiidae*) ოჯახის შემდეგ, ყველაზე გავრცელებული ოჯახია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ ოჯახში ითვლება 9 გვარი 145 სახითა და 8 ქვესახით. კერძოდ *Lycosa vultuosa* Koch-ის არსებობა ცნობილია საბჭოთა კავშირში შემდეგ ადგილებში: სარატოვში, ყირიმში, ასტრახანში, თურქესტანსა და კავკასიაში. ამ უკანასკნელში ის ნახულ იქნა დაღესტანში, განჯაში, შასირტში, თბილისში და ალაზნის ველში ლაგოდენთან (1, გვ. 31)*

¹ მასალაზე მუშაობის დროს დიდი დახმარება გავიწიეს მესამე კურსის სტუდენტებმა შ. ჩახიანიძე და გ. ბერიძემ რომლებმაც ხალისით მონაწილეობა მიიღეს ექსკურსიაში, და აგრეთვე კათედრის თანამშრომლებმა თამარ კობიძემ და ი. კვიციანიძემ. ჩვენი მუშაობა შესრულებულია ზოოლოგიის კათედრის გამგის დოც. გ. კოკონაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, მათ ყველას მადლობას უძღვნი.

* ჩვენს მიერ შეგროვილი ტარანტულების სახე *Lycosa vultuosa* Koch გარდასულ იქნა სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიურ ინსტიტუტში ჩვენს მიერ გადაგზავნილი ეგზემპლარების მიხედვით.



სსრ. კავშირის ობობათა სახეობითი შემადგენლობისა და გეოგრაფიული ვარჯიშის შესწავლა დამთავრებულად არ ჩაითვლება (2, გვ. 525), მით უმეტეს ეს შეიძლება ითქვას მათი საარსებო პირობებისა და ცხოვრების წესების, გამრავლებისა და სხვადასხვა ქცევების მიმართ ე. ი. იმ მხარის მიმართ, რომელსაც ეკოლოგიური და ბიოლოგიური მხარე ჰქვია.

ლიტერატურული ცნობები ტარანტულების სოროების შესახებ

ლიტერატურული ცნობები ტარანტულების სოროების შესახებ ჩვენ ხელთ მრავალი არ გვქონდა. ადგილობრივად, სათანადო წყაროების უქონლობის გამო, ჩვენ უმთავრესად ვისარგებლეთ სხვადასხვა ავტორის ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელოებსა და სტატიებში გაბნეული ცნობებით, ასეთებია: Хлопковскій, [3], Павловскій[4], Матвеев, [5], Харитонов, [2], Огнев, [6], და უმთავრესად Казнаков-ის, [7], გამოკვლევით 1917 წლისა. ეს უკანასკნელი შრომა ეხება სომხეთის (ქ. ვანის და სხვა კუთხეების) ტარანტულებს, რომლის გაცნობამაც ჩვენ მოგვცა იმპულსი წინამდებარე სამუშაოს ჩატარებისათვის.

ტარანტული ნიადაგში საკმაო ღრმა სოროს იკეთებს. ეს სორო მის საცხოვრებელ და საზამთრო ბინას წარმოადგენს. სორო გათხრილია მიწაში ვერტიკალურად და ძირი უმეტეს წილად გაფართოებული და ერთ მხარეზე მოხრილი აქვს. ამ სოროს ტარანტული თხრის თავისი ქელიცერებითა და ფეხებით მეტად სწრაფად, ლიტერატურული ცნობებით [4] რუსეთის ტარანტული *Lycosa singoriensis* თხრის 1 1/2—2 საათში.

კაზნაკოვის [7, გვ. 335] დაკვირვებით ის ტარანტული, რომელსაც ავტორი პირობით აღნიშნავს, *Lycosa singoriensis*?, სოროს იკეთებს 2-3 სმ. დიამეტრის და 20 სმ-დე სიღრმისას, სოროს შესავალი ყოველთვის უსახურავოა და უქსელო და აქვს ოდნავ შემადგენელი კიდე. შესავალი ხერგლის სიგანე დაახლოებით უდრის მილის დიამეტრს, ძირში სორო გაფართოებულია ზოგჯერ 4-5 სმ. სიგანის კამერად.

სოროების ფორმა, სიღრმე და სიგანე ნიადაგის ხასიათზეა დამოკიდებული, ამიტომ სხვადასხვა ნიადაგში გათხრილი სორო განსხვავებულიც უნდა იყოს—მშრალ ნიადაგში ერთგვარი უნდა იყოს, ხოლო ნესტიან ნიადაგში კიდევ სხვაგვარი. მაშასადამე, თითოეული ადგილის ტარანტულის ბიოლოგიაში და ეკოლოგიაში შეიძლება ერთგვარი განსხვავების შემჩნევა.

რაკი ჩვენი მხარის ტარანტულების სოროების აგებულების შესახებ ანალოგიური შრომები არ მოიპოვება, ან ჩვენთვის უცნობია, დაიბადა საკითხი ჩაგვეტარებია მზავსი მუშაობა ქუთაისის მიდამოების ტარანტულების მიმართ.

ქუთაისის მიდამოები ძლიერ მდიდარია ტარანტულებით. ყოველ ფერდობზე, მინდორზე, გზისა და ბილიკების ნაპირებზე, აგრეთვე თვით ბილიკებზეც ჩშირად ვნახავთ პატარა ხერგლებს, რომლებიც ტარანტულების სოროების შესასვლელს წარმოადგენენ. ასეთი ხერგლები გვინახავს მოწამეთა-გელათის მიდამოებში, ქუთაისის განაპირა უბნებში, თვით ქალაქის ფარგლებშიც ეზოებსა და ბაღებში.

მ უ შ ა ო ბ ი ს მ ი ზ ა ნ ი

ჩვენი მუშაობის მიზანს შეადგენდა:

1. ქუთაისის მიდამოების ტარანტულების სოროების აგებულების დეტალური შესწავლა.

2. ამ სოროების შედარება ლიტერატურაში უკვე აღწერილ სოროებთან (კახნაკოვი) და ვარკვევა იმისა, აქვთ თუ არა ჩვენი მხარის ტარანტულების სოროებს რაიმე განსაკუთრებული განსხვავებული ნიშანი, როგორც უფრო ნესტიან ნიადაგში გათხრილებს.

3. ტარანტულების კვების საკითხის გადასინჯვა. კერძოდ, იკვებება ტარანტული სოროში თუ სოროს გარეთ, რადგან ზოგი ავტორის მიხედვით [5, გვ. 311] ტარანტულები იკვებებიან სოროში, სხვა ავტორების მიხედვით კი [7, გვ. 336] მხოლოდ სოროს გარეთ ნიადაგის ზედაპირზე.

შეჩვენებული რაიონის ტოპოგრაფია და ნიადაგი

სამუშაოდ შერჩეული რაიონი მდებარეობს ქალაქ ქუთაისის ფარგლებში. რუკას ხეობაში, რუკას ხიდიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე სოფელ ჯიმა-სტაროსაკენ მიმავალი გზის პირას, ღელე რუკას მარცხენა ნაპირას. ეს ადგილი, როგორც საერთოდ მთელი ამ ხეობის რაიონი, დაბალ ბორცვიან ადგილს წარმოადგენს: მისი ზედაპირი, ბორცვებისა და ჩაღრმავების გამო, ტალღისებურია. ბორცვები ჰქმნიან პატარა ფერდობებს, რომლებიც, თუ კი ადამიანი-საგან დაუხეილია, დაბალი ბალახითა და ალაგ-ალაგ ბუჩქებით არის დაფარული. ამ ბორცვების ასე თუ ისე მოსწორებულ ზედაპირზე, განსაკუთრებით სამხრეთით მიმართულ კალთებზე, უხვად მოიპოება ტარანტულების სოროები.

ამ მხარის ნიადაგი წითელი ფერისაა, თიხნარის მზგავსია და ნიადაგისაგან მთელ მიდამოებს დამახასიათებელი მოწითალო ფერი აქვს.

აღნიშნული თიხები გეოლოგიურად მიეკუთვნება ზედა იურულ ასაკის ე. წ. ფერად წყებას. ეს ნიადაგი ასე-თუ ისე ფხვიერია და მდიდარია წვრილი კენჭებითა და ბალახოვანი მცენარეების წვრილი ფესვებით. ბილიკებზე ნიადაგი თიხის მზგავსად გამკვრივებულია. ტარანტულების სოროთა ხერელები მრავლად მოიპოება როგორც ბალახით დაფარულ ფხვიერ ნიადაგში, ასევე ადამიანისა და საქონლის მიერ გატყეპნილ ბილიკებზეც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნიადაგი ძლიერ ფხვიერად არ ჩაითვლება, რაშიაც ვრწმუნდებოდით სოროების შემცველი ბელტების ამოთხრის დროს.

ველზე მუშაობი, მეთოდობა

სოროებიდან ტარანტულების ცოცხლად ამოსაყვანად მივმართავდით იმ ხერხს, რომელიც მოყვანილი აქვს კახნაკოვს [7, გვ. 355]: ძაფზე მიბმულ თაფლის სანთლის ბურთს ჩაუშვებდით სოროში ძირამდე. ამ სანთლის ბურთს ტარანტული თავის ქელიცერებს ჩასჭიდებდა როგორც მსხვერღს, და უკან ვეღარ ამოიღებდა, ამ რიგად ის ქელიცერებით თაფლის სანთლის ბურთზე მიკრული იქნებოდა, შემდეგ ბურთს ძაფით ამოვწევდით და ტარანტულიც მას თან ამო-



ყვებოდა. მაგრამ ეს ხერხი ბევრ დროსა და სიფრთხილეს მოითხოვდა, რადგან ხშირად სოროს შევიწროებულ ყელთან ტარანტული განთავისუფლებას ახერხებდა.

ჩვენ მივმართეთ მეორე ხერხს, რომელიც უფრო აიოლებდა მუშაობას: წყალში გახსნილ თაბაშირის პირდაპირ სოროში ვასხამდით. მაშინათვე სოროში მყოფი ტარანტული სწრაფად ამოძვრებოდა, რომლის დაქერა პინცეტით უკვე ძნელი არ იყო.

დაქერილ ტარანტულს სათანადოდ დანომრილ ქილაში ვათავსებდით 75% სპირტში [Шнитников, 8].

განთავისუფლებულ სოროში თაბაშირის ხსნარს ვუმატებდით პირამდე ყალიბის მისაღებად. ასეთ თაბაშირიან სოროებს ენიშნავდით დანომრილი ბაი-რალეებით და დაახლოებით ერთი-ორი საათის შემდეგ შეუდგებოდით ამ ყალიბების ამოთხრას მიწის ბელტებთან ერთად.

შემდეგი მუშაობა მიმდინარეობდა ან ველზე ან სახლში. ბელტებს ფრთხილად ვშლიდით, ვაცილიდით მიწას და ვლებულობდით სოროს თაბაშირიან ყალიბებს, რომლებიც ზუსტად იმეორებდნენ სოროს ფორმასა და ყოველ დეტალს.

მუშაობის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ტარანტულის კვების წესის საკითხის გარკვევა, ამიტომ ვაკვირდებოდით ყალიბის ძირს საკვების ნარჩენების აღმოჩენის მიზნით. შემდეგ ვაწარმოებდით სოროს გაზომვებს ხუთი განაზომით, ტარანტულების გაზომვას და სქესის გარკვევას.

დაბოლოს, ვაწარმოებდით სოროების ყალიბების მონტირებას ყუთებში.

მუშაობის შედეგები

ჩატარებული მუშაობის შედეგად ამოღებული გვაქვს 46 სოროს ყალიბი. სულ ხუთ ექსკურსიაში 24/VII—24/IX, 3, 8 და 14/X—1938 წ. ყველა ერთ რაიონში, ყველაში ტარანტულები იყვნენ, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დღისით ტარანტული სოროში ზის. მართალია, ტარანტულები მიწის ზედაპირზედაც გვყავდა შემჩნეული, მაგრამ იშვიათად, სულ 2—3 შემთხვევაში. ტარანტულების ცოცხლად ამოღება სოროებიდან შეეძლოთ 41 ცალისა, ხუთი კი, თაბაშირის ჩასხმის დროს სოროში მოექცა.

ყალიბების მიხედვით სოროთა სიგრძე (ანუ სიღრმე), სიგანე, ფორმა და სოროს სხვადასხვა ნაწილის დიამეტრი განსხვავდებიან ერთი მეორესაგან, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ შეგვხვედრია ორი სახესებით მსგავსი სორო. მაგრამ მაინც შესაძლებელია სოროს ზოგადი აგებულების მოცემა.

სორო მიწის ზედაპირზე მრგვალი ხერელით იწყება, რომელიც შემდეგ ვიწროვდება, ამ ადგილს ჩვენ ყელს ვუწოდებთ, ყელის შემდეგ სორო უფრო ფართოვდება. ეს გაფართოებული ნაწილი ტარანტულის ბინასა და საკვებ ადგილს წარმოადგენს, გაფართოებული კამერა ხშირად მოხრილია, ერთი რომელიმე მიმართულებით და, იშვიათად, სწორი კუთხით.

ნიადაგის თავისებურობის გამო სოროს კედელი ყოველთვის უსწორმასწოროა, ზოგ შემთხვევაში მეტად, და ზოგშიც ნაკლებად, რაც ნიადაგის სიფხ-

ვიერეზე და მაგარი ნაწილემის (კენჭების) მეტ-ნაკლებ არსებობაზეა დასაშვანი დასკვნები.

სოროს ფორმა ცხადად გვიჩვენებს, რომ ტარანტული სოროს გათხრის დროს იძულებულია სორო გათხაროს იმ მიმართულებით, სადაც ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება. მაგრამ საერთო ვერტიკალურ მიმართულებას მაინც იცავს. სწორეთ ამით უნდა აიხსნას სოროების ფორმის სხვადასხვაობა.

ჩვენ ვაწარმოეთ ყალიბების გაზომები თვითეული სოროს თავისებურობის გასაცნობად და ზოგადი დასკვნების მისაღებად.

გაზომილ იქნა: სოროს საერთო სიგრძე, ხერელის, ყელისა და უწვრილესი ადგილის დიამეტრები, აგრეთვე ძირისა ანუ ბოლო კამერის ფორმა და დიამეტრი. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავდით ყალიბების ამოღების ადგილსა და ნიადაგის ხასიათს.

არც ერთ სოროს არ აღმოაჩნდა დამატებითი გასავლები ან კამერები წყლისაგან თავის დასაცავად, ყველა სოროს ჰქონდა ერთი მთლიანი მილის სახე.

ხორხ სიგრძე (სიღრმე). სოროები სხვადასხვა სიგრძისაა, ზოგი ძლიერ პატარა 6—7 სმ. ზოგი პირიქით 24—27 სმ. მაგრამ უმრავლესობის სიგრძე 11—18 სმ. უდრის.

მხოლოდ ერთი ყალიბი აღმოჩნდა ძლიერ გრძელი—60 სმ. სიგრძის, რითაც აქარბებს ლიტერატურულ წყაროებში მოცემულ სიგრძეს ისიც *Lycosa singoriensis*-ის სოროსას. ასე მაგალითად, კაზნაკოვით 20 სმ. [7, გვ. 335] ოგნიოვით 30 სმ. და მეტიც. [6, გვ. 118] ხოლო დკოვსკის მიხედვით დედალი ტარანტულის სოროს სიღრმე 50 სმ-მდეა [3]. ამრიგად, ჩვენი № 46 სორო 10 სმ.-ით უფრო ღრმა აღმოჩნდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ნიმუშსაც, ყველა 46 სოროს სიგრძე შემდეგნაირად გამოიხატება: უმოკლესი 6 სმ. ყველაზე გრძელი 60 სმ., რხევადობა 54 სმ., საშუალო 17 სმ.

ხერელის დიამეტრი. ხერილი, როგორც წესი, ყელზე უფროა გაფართოებული. ჩვენს ნიმუშებში ყველაზე დიდ დიამეტრიანი ხერელი უდრის 3,1 სმ., ყველაზე პატარა 1,4 სმ. რხევადობა 1,7 სმ., საშუალო დიამეტრი 2,2 სმ².

ყელის დიამეტრი. ყელი თითქმის ყოველთვის ხერელზე უფრო ვიწროა, ზომები 2,5—1, 1 სმ., სხვაობა 2.4 სმ., საშუალო დიამეტრი 1.6 სმ.

უწვრილესი ადგილის დიამეტრი. სორო ყელისაგან მოყოლებული ერთი დიამეტრის არ არის. ჩვენს ყალიბებს ემჩნევა ბევრ შემთხვევაში გაწვრილება ერთ რომელიმე ადგილას—ზოგს შუა წელში, ზოგს უფრო ქვემოთ, ზოგსაც ყელის მახლობლად. ამ ადგილის დიამეტრის რხევადობა ხდება 2,2—1,2 სმ. ფარგლებში, სხვაობა 1,2 სმ., საშუალო დიამეტრი 1,4 სმ.

ამ ვიწრო ადგილის მნიშვნელობა, ჩვენი მოსაზრებით, უნდა იყოს ტარანტულის დაზამთრებასთან დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ტარანტულები იზამთრებენ თავიანთ სოროებში და სავსებით დაუხურავი სორო სანდო ბინად

¹ როგორც სოროს სიგრძის, ისე სხვა ნაწილთა ზომების რხევადობა ხშირად უნდა მიეწეროს ტარანტულების ასაკს, რაც ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია.



არ გამოდგებოდა მათთვის ცივ პერიოდში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ტრანსტულუმებს ზამთარში სოროში გარკვეული ტემპერატურული პირობების შესაქმნელად უნდა ჩაქონდეთ ზედაპირიდან მიწის ისეთი ნაკვეთები, რომლებიც გაეჩხირებიან რა ამ ვიწრო ადგილას, დახურავენ საცხოვრებელ კამერას საკმაოდ მკვიდროდ. ეს მოსაზრება საჭიროებს კიდევ შესწავლას და სოროების გასინჯვას ზამთრის პირობებში.

ძირის ანუ კამერის დიამეტრი. ძირი ანუ საცხოვრებელი კამერა ჩვეულებრივ გაფართოებულია. გაფართოება ემჩნევა ან ერთბაშად ბოლოში, ან სოროს სიგრძის ორი მესამედიდან. ჩვენს ნიმუშებში ძირის დიამეტრი ძლიერ სხვადასხვაობას იძლევა; უდიდესი ზომა 5 სმ. უდრის, უმცროსი — 1 სმ. რასაკვირველია ეს უკანასკნელი ძლიერ პატარა ზომის სოროებს ახასიათებს. საშუალო ზომა 2.4 სმ. უდრის.

ძირის ფორმა. კამერა ჩვეულებრივ მსხლისებურად ან ბოთლისებურადაა გამსხვილებული და ბოლოში მორკველებულია. კამერა ერთია. მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში კამერას გაორება ემჩნევა, რის მიზეზადაც ის უნდა ჩაითვალოს, რომ ტრანსტულუმს კამერის თხრის დროს რაიმე დაბრკოლება შეხვედრია ქვისა ან სხვა მაგარი საგნის სახით.

ზოგ სოროს (7 შემთხვევა) ბოლო ნაწილი სწორი აქვს (არა გამსხვილებული), ხოლო ერთ ნიმუშს კიდევ უფრო ვიწრო, ვიდრე სოროს დანარჩენი ნაწილები, შესაძლოა აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სოროებთან, რომელთა გაღრმავება და ჩვეულებრივი მოყვანილობის მიცემა ტრანსტულუმებს ვერ მოუხწვრიათ.

კამერა მეტ წილად მოხრილია ერთი მიმართულებით. ორ შემთხვევაში მოხრილია სწორი კუთხით, მაგ. ნიმუშები №№ 17 და 46.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე გრძელი ყალიბი (№ 46) თითქოს არღვევს ტრანსტულუმის სოროს ზოგად ფორმას. კამერა ორ ადგილას აქვს: ერთი ბოლოში და ერთი უფრო მაღლა. უფრო მაღლა არსებული კამერა სხვა ყალიბების ასეთსავე გამსხვილებას ჰგავს, მას მისდევს შევიწროებული მილი რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე, რომელიც შემდეგ ისევ მეორე კამერად მსხვილდება. ეს კამერა ბოლოში სწორი კუთხითაა მოხრილი და კიდევ ვიწროვდება.

რით არის გამოწვეული პირველი კამერის გაჩენა—არის ის შედეგი იმისა, რომ ამ ადგილას ტრანსტულუმს შეხვდა ბუნებრივი სიღრუე ნიადაგში თუ თვითონ გათხარა, ძნელი გადასაწყვეტია, და თუ ის მის მიერაა გათხრილი, შაშინ სოროს გაღრმავება და მეორე კამერის გათხრა ახსნას მოითხოვს.

46 ნიმუშიდან გაფართოებული ძირი აქვს 39 სოროს ე. ი. 84, 8¹/₂, სწორძირიანია 7, ე. ი. 15, 2⁰/₁.

ადგილი და ნიადაგი. ყალიბების უმრავლესობა ამოღებულია ბალახიან ადგილიდან. აქედან 17 ბილიკებიდან და გზის კიდედან. ნიადაგი ბილიკებზე მკვრივი იყო. ბალახოვან ადგილებზე ნიადაგი უფრო თხევითი, ფესვებიანი იყო. ჩვენი დაკვირვებით ტრანსტულუმი მაინცდამაინც უპირატესობას არ ანიჭებს რომელიმეს ამ ორ ადგილს შორის, მით უმეტეს, რომ ღიბი განსხვავება ნიადაგის სიმკვრივის შორის ბალახოვან და ბილიკიან ადგილებ შორის არ არის.

ტარანტულის სქესი და ზომა. სოროებიდან ამოყვანილი ტარანტულების გარჩევა სქესის მიხედვით ადასტურებს ლიტერატურულ ცნობებს, რომ უფრო ხშირად დედლები გვხვდებიან. ასე 41 ტარანტულის ზორის დედალი იყო 35, ე. ი. 85,3% მამლები შეგვხვდა მხოლოდ 6, ე. ი. 14,7%

დედალ-მამალი ტარანტულები განსხვავდებიან ზომით, დედალი მამალზე უფრო მოზრდილია

მამლების ზომა რხევადობს 1,52 სმ. ზორის
დედლების „ 1,32,6 სმ. „

გაზომვას ვაწარმოებდით ახლად დასპირლულ ტარანტულებზე, სანამ მოხდებოდა მუცლის ნაწილის შემციობა. სიგრძე იზომებოდა მთელი სხეულის-თავიდან მუცლის ბოლომდე (ანალურ ხერელამდე).

კვების წესი: სოროების შესწავლის დროს ერთ-ერთ საკითხად გვქონდა გამოყოფილი ქუთაისის მიდამოების ტარანტულების კვების წესი: სად იკვებებიან ტარანტულები, სოროში თუ ნიადაგის ზედაპირზე.

ზოგი ავტორის აზრით ტარანტულები, როგორც ღამის ცხოველები, ნიადაგის ზედაპირზე იკვებებიან. ასე, კაზნაკოვი სომხეთის ტარანტულების შესახებ ამბობს: „მე არასოდეს საკვების ნარჩენები სოროში და არც სოროს მახლობლად არ მინახავს“ ო. ზოგი ავტორი კი (Matveev, 5, გვ. 311), პირიქით, იმ აზრისაა, რომ კვება სწარმოებს სოროში.

ჩვენს მიერ შეგროვილ 46 ყალიბიდან 29 შემთხვევაში აშკარად შევამჩნიეთ მწერების ქერქების ნაწილები, ეს შეადგენს 63%. ეს მწერები ცხადია, დაქერილი იყო ტარანტულების მიერ თვით სოროში. საკვების ნარჩენების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ტარანტულების მსხვერპლს სხვადასხვა სახის ხოჭოები შეადგენდა. ეს ნათლად სჩანდა მით, რომ ყალიბების ძირზე მიკრული აღმოჩნდა ელითრების სხვადასხვა ზომის ნაწილები, ზოგჯერ კი მთელი ელითრიც. გარდა ამისა ერთ შემთხვევაში ჩვენ თვითონ ამოვიყვანეთ სოროდან Chrysomelidae-ბის ოჯახის ორი ხოჭო.

ხოჭოების გარდა, ტარანტულები, ეტყობა, იკვებებიან სხვა მწერებითაც, რაც ჩანს სხვადასხვა ნაირი ქერქების ნაწილების არსებობიდან ყალიბების ძირზე.

ამრიგად, ქუთაისის მიდამოების ტარანტულები რომ სოროში იკვებებიან, უმკვოდ უნდა იქნეს მიღებული. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოროს გარეთაც არ ხლებოდეს მათი ნადირობა მწერებზე და კვება.

სოროების განაზომები მოცემულის ტაბულაში (იხ. დამატება № 2)

დ ა ს კ ზ ნ ა

1. ქუთაისის მიდამოებში და კერძოდ რუას ხეობაში მრავლად მოიპოება ტარანტული *Lycosa vultuosa* Koch.
2. ქუთაისის მიდამოების ტარანტულის სოროს აგებულება ისეთივეა, როგორც სხვა მხარის ტარანტულის.
3. ჩვენი მხარის ტარანტული წყლისაგან დასაცავ თავშესაფარს დამატებითი კამერის ან გასავლების სახით არ იკეთებს.



4. სოროს უწვრილესი ადგილის არსებობა უნდა იხსნას დაზამთრების დროს სოროს დახურვის საჭიროებით.

5. ჩვენი მხარის ტარანტულის სოროს საშუალო სიღრმე 17-18 სმ. არ აღემატება.

6. ჩვენი მხარის ტარანტული სოროში იკვებება; თუმცა სოროს გარეთაც კვება გამოირიცხული არ არის

15 X 1928 წ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა № 1.

სოროების განაზომები

1. სოროს სიგრძე (საერთო რიცხვიდან 46).
რხევადობა $60-6=54$ სმ.
საშუალო 17 სმ.
2. ხვრელის დამეტრი (საერთო რიცხვიდან 46).
რხევადობა $3,1-1,4=1,7$ სმ.
საშუალო 2,2 სმ.
3. ყელის დამეტრი (საერთო რიცხვიდან 46).
რხევადობა $3,5-1,1=2,4$ სმ.
საშუალო 1,6 სმ.
4. უწვრილესი ადგილის დამეტრი (საერთო რიცხვიდან 46).
რხევადობა $2,2-1=1,2$ სმ.
საშუალო 1,4 სმ.
5. ძირის დამეტრი (საერთო რიცხვიდან 46).
რხევადობა $5-1=4$ სმ.
საშუალო 2,4 სმ.
6. ძირის ფორმა (საერთო რიცხვიდან 46).
გამსხვილებული $39=84,8\%$
სწორი $7=15,2\%$
7. ხაკვების ნარჩენები (საერთო რიცხვიდან 46)
არის $20=63\%$
არ არის $17=37\%$
8. ტარანტულების ხქეხი (საერთო რიცხვიდან 41).
დედალი $35-85,3\%$
მამალი $6=14,7\%$
9. ტარანტულების ზომა (საერთო რიცხვიდან 41),
რხევადობა $2,6-1=1,6$ სმ.
საშუალო 1,9 სმ.
დედლების $1,3-2,6$ სმ.
მამლების $1,5-2$ სმ.

К. Сванидзе

Из экологии тарантулов окрестностей Кутаиси. Норки тарантулов.

Резюме

Наша задача состояла в изучении строения норок тарантулов окрестностей г. Кутаиси, именно в ущелье речки Руа, холмистый левый берег которой богат норками.

Добыча тарантулов и их норок производилась методом заливания в норки жидкого гипса. Собранные тарантулы фиксировались 75% спиртом и измерялись в свежем виде (длина тела до анального отверстия). По полученным гипсовым формам норок делались промеры: диаметра входа, шейки, самого узкого места и жилой камеры, а также исследовалась форма этой камеры и сама камера на наличие в ней остатков пищи тарантула.

Материал собранный во время пяти полевых работ от 24/VI до 14/X—1938 г. состоит из 46 форм и 41 штук тарантулов.

Промеры норок, величины тарантулов, их пол, и пр. данные приводятся в приложенной таблице № 2.

Длина норок колеблется от 6 см. до 27 см., у большинства 11—18 см. Лишь одна норка оказалась необычайно длинной (№ 46)—60 см., размерами превышающая приводимые в литературе сведения о норках *Lycosa singoriensis* на 10 см.

Диаметр входа колеблется от 1,4 см. до 3,7 см. средний диаметр 2,2 см.

Диаметр шейки меньше и колеблется от 1,1 см. до 2,5 см., средний диаметр 1,6 см.

Диаметр наиболее узкого места равен 1,2—2,2 см., средний диаметр 1,4 см.

Диаметр жилой комеры от 1 см. до 5 см., средний диаметр равен 2,4 см.

Форма камеры грушевидная или бутылкообразная, обычно направленная в сторону, редко под углом, или цилиндрическая, не расширяющаяся. В этом случае можно предполагать, что мы имеем дело с неоформленной норкой, камера которой не дорыта.

Самая длинная норка (№ 46) представляет исключение как по своей длине, так и по присутствию двух расширений (камер).

Почва на месте производства работы состоит из глинистой довольно рыхлой пестроцветной породы.

Большинство тарантулов оказалось самками, из 41 экземпляров, лишь 6 были самцы.



Из общего числа 46 норок, в 29 случаях констатировано наличие остатков пищи в виде хитиновых частей.

На основании этих данных мы пришли к выводу:

1. В указанном пункте *Lycosa vultuosa* Koch встречается очень часто.
2. Тарантул окрестностей Кутаиси строит норки подобные по форме норкам тарантулов иных районов.
3. Никаких добавочных камер или ходов для защиты от дождевой воды, в связи с влажным и богатым атмосферными осадками климатом наш тарантул не делает.
4. Наличие самого узкого места норок очевидно связано с зимовкой тарантула и облегчает ему закупорку камеры на зиму.
5. Средняя длина норок нашего тарантула равна 17-18 см.
6. Нахождение остатков пищи указывает на то, что наш тарантул питается в норке, хотя возможность приема пищи и вне норки не исключена.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Харитонов, Д. В. Каталог русских пауков. Приложение к т. XXXII Ежег. Зоол. Муз. АН СССР, 1932.
2. " Пауки. Животный мир СССР, т. I, 1936.
3. Холодковский, Н. А. Тарантулы. Энци. Слов. Бр. и Эфр., т. 64, 1901.
4. Павловский, Е. Н. Ядовитые животные и значение их для человека, 1923.
5. Матвеев, Б. С. Курс зоологии, 1935.
6. Огнев, С. И. Зоология, 1933.
7. Казнаков, А. Н. Несколько наблюдений над жизнью тарантулов. Изв. Кав. Муз., т. X, в. 4, 1917.
8. Шнитников, В. Н. Наставление к собиранию паукообразных, 1931.

მ ბეჭედი და მ გამსახურადი

მაკლიურას ფოთლის და ნაყოფის ანალიზი

ჩვენში მაკლიურას ხეს იზვიათად ვხვდებით, მაგრამ იქ, სადაც იგი გავრცე-
ლებულია, მის ფოთლებს ხმარობენ ნაცვლად თუთისა *Bombyx mori*-ს კიების
გამოსაკვებად. მაკლიურა ეკუთვნის *Moraceae*-ს ოჯახს და ამასთანავე საღე-
ბავ მცენარეებს. მისი მერქანი ყვითელი ფერისაა საიდანაც შესაძლებელია
ექსტრაგირებული იქნეს საღებავი. ვინაიდან მაკლიურას ფოთლები იხმარება
აბრეშუმის კიების გამოსაკვებად, ჩვენ დავინტერესდით შეგვედარებინა მაკ-
ლიურას ფოთლის ანალიზი იმ თუთის ფოთლის ანალიზთან, რომელიც უფრო
გავრცელებულია მეაბრეშუმეობაში—(„*Morus alba tatarica*“) და ამასთან
ერთად განვიზრახეთ გამოვეკვლია მაკლიურას ნაყოფის ქიმიური შემადგენ-
ლობა. ფოთლების ანალიზის შედარება გვიჩვენებს, რომ მაკლიურას ხის ფოთ-
ლები დიდად არ განსხვავდება ქიმიური შემადგენლობით თუთის ხის ფოთლი-
დან და ამიტომაცაა, რომ აბრეშუმის კია მას ადვილად ითვისებს. (იხ.
ტაბ. № 1).

ტაბ. № 1

სახელი	სინესტე	ცხიმი	ნაცარი	აზოტი	ფოსფორი P ₂ O ₅	კალიუმი K ₂ O	ცელუ- ლოზი
Tatarica	60,7%	6,31%	18,2%	3,55%	2,91%	1,17%	9,09%
Maclura	54,0%	7,31%	24,5%	2,30%	2,65%	2,22%	8,582%

მაკლიურას ნაყოფი წვნიანია, მოტკბო და მწკლარტე გემოვნებისაა, ახა-
სიათებს მწებავი თვისება. მაკლიურა საკმაო რაოდენობით შეიცავს შაქრის
ნივთიერებას. მის ნაყოფში ჩვენ გამოვიკვლიეთ სინესტე, ნაცრიანობა, საერთო
შაქრიანობა და ცხიმი განესაზღვრეთ მარცვლებში.

გამოკვლევის შედეგად მივიღეთ: სინესტე 13,52%, ნაცარი 6,82%, სა-
ერთო შაქრიანობა 6,6%, ცხიმი 35,55%.

მაკლიურას თესლი მდიდარია ზეთით და ეს ზეთი მეტად სურნელოვანია.
ზეთი გამოვყავით სოქსლეტის აპარატით. ზეთს ახასიათებს ღია ქარვის ფერი
და სქელი კონსისტენცია აქვს. ჰაერი მასზე თითქმის არ მოქმედობს; სინათლეზე
მდგრადია, არ იჟანგება და, მაშასადამე, გამჭვირვალე რჩება. ქიმიური ბუნებით
მაკლიურას ზეთი გაუშრობელ ზეთებს. უნდა მივაკუთვნოთ, რაც ჩანს მიღებულ
კონსტანტებიდან და, ცხადია, მისი ეთერები ეკუთვნიან მაძლარ რიგის მჟა-
ვეებს. (იხ. ტაბ. № 3).

ტაბ. № 2

თესლი ნაყოფში	თესლი, ჩენჩოთი		თესლი გაშორებული ჩენჩოსაგან	
	სინესტე	ცხიმი	სინესტე	ცხიმი
26,6%	8,6%	35,55%	7,45%	44,25%

იმ თვისების გამო, რომელსაც მაკლიურას ზეთი იჩენს შესაძლებელია მისი გამოყენება პარტიუმერიაში და ზოგიერთი მანქანების საცხისადაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოჩამოთვლილ და სხვა თვისებების გამო, ეს ხე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მრავალმხრივ და ამიტომაც ღირსია ყურადღებისა და მის გავრცელებას ჩვენს სოფლის მეურნეობაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს.

ტაბ. № 3

მაკლიურას ზეთის კონსტანტები:

ხვედრი წონა	ლლობის წერტი	გაყინვის წერტი	მეფიანობა გრადუსებში	მუფიანობა რიცხვი	გასაპნის რიცხვი	მილიგრამ.	იოდის რიცხვი	ეთერის რიცხვი	რეფრაქცია		სხვის გარ- დატყვის კოე- ფიციენტი
									40°	25°	
0,95589	24°—26°	20°—18°	11,8	6,62	373,21	14,48	366,43	67,7	72,5	n _D . 25 = 1,4638	

M. Бекая и E. Гамсахурдия

Химический анализ листьев и плодов маклюры

Резюме

1. В виду того, что листья маклюры иногда используются в качестве корма для шелковичных червей, интересно установить ее химический состав и сравнить с составом листьев шелковицы. Анализом и сравнением установлено большое их сходство.

2. Что же касается плодов маклюры, интересно отметить их высококачественный жир с приятным запахом. Притом он в воздухе не окисляется и не высыхает, что указывает на предельный их характер.



ბ. კოკოჩავილი

ფასციოლოზის გადამტანი მოლუსკის ბავრცელების
საკითხისათვის საქართველოში*

ცხოველთა ფასციოლოზი, რომელსაც იწვევს ბრტყელ ჭიათა ერთ-ერთი სახე—ღვიძლის ფასციოლა (*Fasciola hepatica*), მეტად გავრცელებულ ჰელმინთოზად ითვლება. ის გავრცელებულია თითქმის ყველა ქვეყანაში (22) და, სხვა ჰელმინთოზთა შორის, ყველაზე დიდ ფართობზეა მოდებული.

სსრ კავშირში ფასციოლოზი არის როგორც მის ევროპულ, ასევე აზიურ ნაწილებში: დასავლეთის საზღვრებიდან შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებამდე და კავკასიისა და შუააზიის რესპუბლიკებიდან პოლარულ წრემდე.

ღვიძლის ფასციოლას ზრდადასრულებული ფორმა პარაზიტობს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ძუძუმწოვარი ცხოველის ღვიძლის სადინარებში. ასეთი ცხოველებია: ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ცხენი, ღორი, აქლემი, ირემი და სხვ. აგრეთვე ის უჩნდება ძაღლებს, კატებსა და მღრღნელებს და მრავალ გარეულ ძუძუმწოვარს. იშვიათ შემთხვევაში ადამიანსაც აღნიშნული ორგანიზმები ამ პარაზიტულ ჭიისათვის დეფინიტიურ მასპინძლებს წარმოადგენენ, ხოლო დროებით მასპინძლებად მტკნარი წყლის სხვადასხვა მუცელფეხიანი მოლუსკი ითვლება. ამ მოლუსკებში ღვიძლის ფასციოლამ უნდა გაიაროს განვითარების წინასწარი საფეხურები, როგორც იტყვიან, პედოგენეზური განვითარება იმისათვის, რომ შემდეგში ძუძუმწოვრებში შეძლონ პარაზიტობა. ამრიგად ლოკოკინების გარეშე პარაზიტული ჭიის განვითარება შეუძლებელია და ამიტომაც ასეთი მოლუსკები ფასციოლოზის გადამტან და გამავრცელებელ ცხოველებად ითვლებიან.

მესაქონლეობისათვის ფასციოლოზი დიდად საზიანო ინვაზიაა. ფასციოლოზით დაავადებული საქონელი უძლურდება და იღუპება კიდევ. ფასციოლოზს თან სდევს ღვიძლის სადინარების ქრონიკული კატარი, ინტერსტიციალური ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, მომწვლელი ფუნქციის აშლილობა, რასაც მოყვება ხოლმე ანემია, ქლოროზი, წყალმანკი და დაბოლოს, ცხოველის სიკვდილი.

ფასციოლოზური დაავადება ხშირად მიმდინარეობს მასიური ეპიზოოტიის ფორმით და განსაკუთრებით თავს იჩენს ნესტიანსა და ატმოსფერული ნალექებით მდიდარ წლებში.

* წაკითხულია მოხსენების სახით ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის III სამეცნიერო კონფერენციაზე 28 II 41 წელს.

ევროპისა და ამერიკის მეცხოველეობის პრაქტიკაში ცნობილი ფასციოლოზური ეპიზოტის რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ცხვარი მილიონობით დახოცილა. ხოლო ფასციოლოზის ჩვეულებრივი ინვაზიის დროს სასოფლო სამეურნეო ცხოველთა დაზიანება მაინც საგრძნობია. ეს იმაში გამოიხატება, რომ საქონელი ჰკარგავს სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით იმ ძვირფას თვისებებს, რისთვისაც მას ადამიანი აშენებს. ასე, საქონლის მიერ ცხიმის დაგროვება კლებულობს, ხორცის გემოვნებითი ხარისხი ცუდდება, წველადობა საგრძნობლად მცირდება, წუნდებულ ნაწილთა (ღვიძლი) რაოდენობა მატულობს და ა. შ.

ფასციოლოზის მთავარ გადამტანად სსრ კავშირსა და ევროპაში ცნობილი არის ქაობებში, ტბორებსა და წუმპებში მცხოვრები მოლუსკი *Limnaea truncatula* Müll. ზოგ სხვა ქვეყნებში ცნობილია აგრეთვე მტკნარი წყლის სხვა სახის მოლუსკებიც, რომლებიც ითვლებიან ამ ინვაზიის შესაძლებელ გამავრცელებლად.

Limnaea truncatula საბჭოთა კავშირში მეტად დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული და თითქმის ემთხვევა ღვიძლის ფასციოლას ჯავრცელების არეალს. თანახმად ჟადინისა და პანკრატოვას გამოკვლევისა [12] ის გავრცელებულია მთელი სსრკ-ის ტერიტორიაზე ლენინგრადიდან კამჩატკამდე და ამიერ კავკასიიდან პოლარულ წრემდე (გვ. 11).

2

ფასციოლოზის არსებობა საქართველოში დადასტურებულია როგორც პრაქტიკით, აგრეთვე ლიტერატურული ცნობებითაც. ქართველი ხალხი ფასციოლოზის გამომწვევ ქიას—ღვიძლის ფასციოლას კარგად იცნობს, იგი მას პეპელას უწოდებს.

იმ ცნობებიდან, რომლებიც მოიპოება ფასციოლოზის არსებობის შესახებ საქართველოში, მოვიყვანთ რამოდენიმეს.

სკრიაბინი და შულცი [22], იმ მუშაობის საფუძველზე, რომელიც ჩატარებულ იქნა სკრიაბინის ხელმძღვანელობით საქართველოში 1932 წელს, აღნიშნავენ, რომ ფასციოლოზი შემჩნეულია რქიანი საქონლის 458 ღვიძლში, რაც გამოკვლეული საქონლის 56,1% შეადგენს (გვ. 137).

ჰელმინთოლოგი პ. ბურჯანაძე ჰელმინთოლოგიის სახელმძღვანელოში [6] აღნიშნავს, რომ ჩვენში ფასციოლოზი ემართება თითქმის ყველა შინაურ ცხოველს, განსაკუთრებით ის საზარალოა მეცხვარეობისათვის; რომ ეს ინვაზია დასავლეთ საქართველოში შედარებით დიდ ზიანს აყენებს მსხვილფეხა რქიან საქონელსაც. ფასციოლოზი, ბურჯანაძის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონშიც ძლიერაა გავრცელებული. მაგ. ყაზბეგის, თელავის (ახალ-სოფლის საძოვრები), წალკის, ახალციხე—ახალქალაქისა და სხვა რაიონებში. ახალციხის რაიონში, მაგალითად, ფასციოლოზის ინვაზია, მისი აზრით, 90—100% აღწევს (გვ. 40).

ბუნებრივად ისმის საკითხი, —რაკი ფასციოლოზი რეგისტრირებული ყოფილა საქართველოს მრავალ კუთხეში და რაკი ამ ინვაზიის გავრცელებისათვის



აუცილებელია გადამტანი მოლუსკის არსებობა, — რომელი მოლუსკი ^{ჩვენს} ~~ეს~~ მოლუსკათა რომელი სახეები უნდა ჩაითვალოს ფასციოლოზის გამავრცელებლად ჩვენში. აგრეთვე, რა ფართობზეა ეს მოლუსკები გავრცელებული ანუ, როგორც იტყვიან, როგორია მათი გავრცელების არეალი საქართველოში, როგორი სიხშირით გვხვდებიან ისინი — მასიურად თუ აქა-იქ, რომელი ადგილები უნდა ჩაითვალოს დაავადებულ მოლუსკათა კერებად, რა ცნობები მოიპოვება სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხების შესახებ საქართველოს მიმართ?

ევროპისა და რუსსრ-ის ანალოგიით საფიქრებელია, რომ ფასციოლოზის მთავარ გადამტან მოლუსკს ჩვენშიც *Limnaea truncatula* უნდა წარმოადგენდეს.

რუსსრ-ის მიმართ ეს დამტკიცებულია მთელ რიგ ავტორთა მიერ და მათ შორის ჟადინისა და პანკრატოვას გამოკვლევით. აღნიშნული ავტორები [12] შენიშნავენ, რომ რუსსრ-ის პირობებში ფასციოლოზის გავრცელება შეუძლია სამი სახის მოლუსკს: *Limnaea truncatula* Müll., *Limnaea stagnalis* L. და *Limnaea peregra* Müll.-ს. მაგრამ პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ პირველს აქვს, რაც შემდეგით საბუთდება: 1. ყველაზე გავრცელებულია საძოვრებზე *L. truncatula*, 2. *L. stagnalis* ცხოვრობს წყლის აუზებში მეტ სიღრმეზე, რის გამოც მათი კონტაქტი ცხვრებთან უმნიშვნელოა, 3. *L. peregra* ნაკლებადაა გავრცელებული. ამ სახის მოლუსკების გაკვეთამ დაადასტურა, რომ *Fasciola hepatica*-ის პედოგენეზური ლარვებით დაავადებული არის მხოლოდ *Limnaea truncatula* და ერთ ჰექტარ დაჭაობებულ ფართობზე ასეთი დაავადებულ ლოკოკინათა რაოდენობა 20.000 უდრის (გვ. 133),

მდ. ვერტლუგისა (ვოლგის შენაკადი) და მდ. ტემის (ოკას შენაკადი) აუზებში ეს მოლუსკი, ჟადინის შრომის მიხედვით [14], ცხოვრობს უმთავრესად ჭაობებში, წუმპეებსა და ნოლაზე, მაგრამ აგრეთვე წყაროებსა და ნაკადებშიც ხვდება. ნოლაზე და სათიბებზე მოლუსკი ხშირად სულ მცირე ჩაღრმავებებით კმაყოფილდება, მაგ. საქონლის ნაკვალევით, სადაც მცირეოდენი წყალი დაგუბული (გვ. 547). ასეთი ეკოლოგიური პირობები, რასაკვირველია, ჩვენს მხარეშიც მოიპოვება.

საქართველოში სამივე სახის მოლუსკი არის.

ვნახოთ როგორ ერიან ისინი ჩვენში გავრცელებული, ე. ი. რა ფართობზე გვხვდებიან ისინი, რამდენად მასიურ მოსახლეობას ქმნიან და ემთხვევა თუ არა მათი გავრცელება მესაქონლეობის განვითარების რაიონებს.

ა) *Limnaea stagnalis* L.

პირველი ლიტერატურული ცნობები ამ სახის მოლუსკის შესახებ მოყავს 1847 წელს სიმაშკოს [21] კავკასიიდან (Caucasus), მაგრამ ადგილმოპოვების დაუზუსტებლად. შემდეგ, 1878 წელს შნეიდერი [25] ასახელებს მას საქართველოში (Grusien), აგრეთვე დაუზუსტებლად. ჟადინის მიხედვით [13] იგი მოიპოვება ლაგოდეხის ტბაში ადგილობრივი ფორმის სახით — var. *Lagodeschina* Bgt.

საქართველოს მუზეუმის კოლექციებში დაცული ნიმუშები გვიჩვენებს კიდევ ერთს ადგილს აღმოსავლეთ საქართველოში—ტაბისყურის ტბას, აქაც *morpha lagodeschina Bgt.*

ამავე ტაბისყურის ტბაში *L. stagnalis*-ის არსებობას ადასტურებენ ლ. ვ. არნოლდი [1], ა. ა. სადოვსკი [19] და დ. ლ. ტარნოგრადსკი [23].

ამრიგად, *L. stagnalis* საქართველოში ცნობილია მხოლოდ ორ პუნქტში: ლაგოდების ტბაში და ტაბისყურის ტბაში. აქედან ტაბისყურის ტბა (ახალქალაქის რ.) მესაქონლეობის რაიონში იმყოფება.

ბ) *Limnaea (Radix) peregra Müll.*

პირველ ცნობებს ამ მოლუსკის საქართველოში არსებობის შესახებ ვხვდებით შვეიცარიელი მკვლევარის მუსონის შრომებში 1876 წლისა [11] ახალქალაქიდან (var. *solidula Hartm.*). შედეგ იგი მოჰყავს გერმანელ მალაკოლოგს ოსკარ ბეტგერს [5] ბოგრეშის ტბიდან ზემო სვანეთში, მერე შელკოვნიკოვს [24]—ზუბიდან ლეჩხუმში და, დაბოლოს, ო. როზენს [18]—ცხენის წყლის ხეობიდან.

ამ ორ უკანასკნელ ადგილას შეგროვილი ნიმუშები: ზუბში და ცხენის წყლის ხეობაში ლენტეხის ქვემო (ქვემო სვანეთი) მოიპოება საქართველოს მუზეუმის კოლექციებში.

ამრიგად, ეს მოლუსკი საქართველოში ცნობილია მხოლოდ 4 პუნქტიდან: ახალქალაქიდან, ბოგრეშის ტბიდან, ზუბიდან და ლენტეხიდან. ეს პუნქტები, ზუბის ვარდა, მესაქონლეობის განვითარების ფარგლებშია.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორი სახის მელუსკს—*L. stagnalis* და *L. peregra*-ს, რსდსრ-ის ანალოგიით, ჩვენშიც პრაქტიკული მნიშვნელობა ფასციოლოზის გავრცელებაში შეიძლება არ ჰქონდეთ, მთავარ გადამტანად *L. truncatula* უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *L. stagnalis* და *L. peregra*-ს მიმართ ასეთი დასკვნის გადაჭრით გამოტანა ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია ჩვენ ქვეყნისათვის მანამ, სანამ ეს მოლუსკები არ იქნებიან შესწავლილი ამ თვალსაზრისით.

გ) *Limnaea (Galba) truncatula Müll.*

ამ მოლუსკის არსებობას საქართველოში სხვადასხვა ავტორები აღნიშნავენ: ო. ბეტგერი [3]—სურამიდან; იგივე [4]—თბილისიდან; რეტოვსკი [16]—მდ. ჭოროხის გამონარევიდან ბათუმის მახლობლად; იგივე [17]—ფსირციხიდან (var. *minima Colb.*); ჟადინი [15]—ქუთაისის მიდამოებიდან. სხვა შრომები, სადაც ეს მოლუსკი არის მოხსენებული, მაგ. როზენის [18] და ჟადინის [13], ახალსა და ზუსტი მოპოების ადგილებს არ გვიჩვენებენ.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური ინსტიტუტის კოლექციებში (ლენინგრადი) დაცულია ამ სახის მელუსკის ეგზემპლარები ქუთაისიდან და ბათუმიდან.

ჩვენ, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალების მიხედვით, შეგვიძლია დავემატოთ კიდევ ორი მოპოების ადგილი, რომლებიც მოყვანილი გვაქვს ჩვენს სადისერტაციო შრომაში [8]. ეს პუნქტებია: გელათი და სამტრედია.

ამრიგად *L. truncatula* საქართველოში ცნობილია 9 პუნქტიდან, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 2 პუნქტიდან და დასავლეთ საქართველოში 7 პუნქტიდან.

Limnaea truncatula-ს მოპოვების პუნქტები გვიჩვენებს, რომ მას საკმაოდ დიდი გავრცელების არეალი უჭირავს საქართველოში—აჭარა-აფხაზეთიდან იმერეთისაკენ, შემდეგ სურამით თბილისამდე. მაგრამ ამ დიდ ფართობზე მისი მასიური არსებობის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. თითქმის ყველა მოყვანილ ცნობაში ამ მოლუსკის რაოდენობა თითო-ორი ეგზემპლარით განისაზღვრება. ჟადინი [18] მაგალითად აღნიშნავს, რომ ქუთაისის მახლობლად მან ეს მოლუსკი ნახა მხოლოდ ერთ ცალად, მაშინ როდესაც იმავე პუნქტში, იმავე ბიოტოპში სხვა სახის მელუსკი (*Ancylus fluviatilis* var. *armeniacus* Bgt.) მრავალი იყო. ესევე შეგვიძლია ჩვენც აღვნიშნოთ: 18 III 40 წ. სამტრედიაში ერთ აუზში ჩვენ შევავროვეთ მრავალი *Physa acuta* Drap., ხოლო *L. truncatula* შეგვხვდა მხოლოდ 2 ცალი. 27 V 40 წ. გელათში *L. truncatula* ვნახეთ 8 ეგზემპლარი, მაშინ როდესაც *Ancylus fluviatilis* var. *armeniacus* Bgt. მრავალი.

ახლა საკითხი—თუ რამდენად ემთხვევა *L. truncatula*-ს მოპოვების ადგილები მესაქონლეობის განვითარების რაიონებს საქართველოში.

მესაქონლეობის რაიონებს საქართველოში უმთავრესად მთიანი ადგილები წარმოადგენენ. ცხვრისათვის დასავლეთ საქართველოშია: ვანის, ხულოს, ქედის რაიონები, აღმოსავლეთ საქართველოში—სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყაზბეგის, საგარეჯოს, დუშეთის, ბორჩალოს, ყარაიას და თიანეთის რაიონები. მსხვილფეხა რქიანი საქონლისათვის დასავლეთ საქართველოშია წალენჯიხის, ხობის, გეგეჭკორის, სენაკის, ხულოს, ქედის, ონის, ზემო სვანეთისა და ქვემო სვანეთის რაიონები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში: სიღნაღის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, საგარეჯოს, ლუქსემბურგის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონები.

L. truncatula კი, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ჯერჯერობით ცნობილია ან დაბლობიდან, ან მთაგორიანი ზოლის სხვადასხვა ადგილებიდან, რომლებიც მესაქონლეობის რაიონებად არ ითვლებიან. ასე: ბათუმი და მისი მიდამოები, ფსირცხა, სამტრედია, ქუთაისი და მისი მიდამოები, გელათი, სურამი, თბილისი. ამიტომ მოლუსკის მოპოვების დღემდე ცნობილი ადგილები არ ემთხვევა მესაქონლეობის განვითარების რაიონებს.

ზემოთქმულიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ:

1. ფსციოლოზის მთავარი გამავრცელებელი მოლუსკი *Limnaea truncatula* საქართველოში ცნობილია მცირე რიცხვის პუნქტში, თუმცა გავრცელების არეალი დიდი აქვს.

2. დღემდე ცნობილ მოპოვების ადგილებში ეს მოლუსკი გვხვდება არა მასიურად, არამედ მცირე რაოდენობით.

3. მოლუსკის დღემდე ცნობილი მოპოვების ადგილები მესაქონლეობის რაიონებს არ ემთხვევა.

4. *L. truncatula*-ს არეალისა და მესაქონლეობის რაიონების განსაზღვრა შეიძლება აიხსნას მით, რომ დღესდღეობით საქართველოს მთიანი და საერთოდ მესაქონლეობის რაიონები სათანადოდ შესწავლილი არ არის აღნიშნული მოლუსკის გავრცელების თვალსაზრისით, ან ეს მოლუსკი არ უნდა თამაშობდეს ჩვენში ისეთ როლს ფასციოლოზის გავრცელებაში, როგორც მას აქვს რსფსრ-ში, და თუ ეს ასეა, მაშინ ფასციოლოზის გადამტანი ჩვენში სხვა მოლუსკი უნდა იყოს.

ამ უკანასკნელ მოსაზრებას შესაძლოა მართლაც ჰქონდეს საფუძველი.

პარაზიტოლოგიურ და მალაკოლოგიურ ლიტერატურაში არის ცნობები იმის შესახებ, რომ ფასციოლოზის გავრცელება სხვა ქვეყნებში სხვა მოლუსკებსაც შეუძლიათ. ასე მაგალითად, სკრიაბინი და შულცი [22] ასახელებენ მთელ რიგ ასეთ მოლუსკებს, სულ 19 ფორმას (გვ. 99). მაგრამ ეს მოლუსკები, ერთის გარდა, საქართველოში ცნობილი არ არიან. ეს ერთი სახე არის *Physa fontinalis* L.

საჭიროდ მიგვაჩნია მცირე შენიშვნის მოყვანა ამ მოლუსკის სინონიმების შესახებ. ეს ფართოდ გავრცელებული ჰოლარქტიკური ფორმა პირველად აღწერილ იქნა კარლ ლინეს მიერ 1758 წელს *Physa fontinalis*-ის სახელწოდებით. შემდეგ პარეისმა (Parreyss) აღწერა მისი მზგავსი ახალი ფორმა *Physa gerhardi*. სწორედ ამ სახელწოდებით აქვს მოყვანილი რამოდენიმე ავტორს ეს მოლუსკი საქართველოდან. ჟადინი [13] ამიერ კავკასიაში ნახულ *Physa gerhardi*-ს ყველა შემთხვევაში *Physa fontinalis*-ს ჰგულისხმობს, ე. ი. ორი სახის ნაცვლად ამიერ კავკასიაში ერთ სახეს—*Physa fontinalis*-ს ლებულობს.

ამის მიხედვით ამიერ კავკასიაში, და მაშასადამე საქართველოშიც, არის *Physa fontinalis* (*Physa gerhardi* Parr.)

ამ მოლუსკის შესახებ ლიტერატურული ცნობები ერთობ ღარიბი და გაურკვეველია. მაგ. მუსონი [9, 10] ამბობს, რომ ეს მოლუსკი (*Ph. gerhardi*) საქართველოში მოიპოვებო. შნიდერი [25] იმეორებს მუსონის აზრს, მაგრამ არც ერთი ავტორი არ აზუსტებს თუ საქართველოს რომელ პუნქტში იგი ნახული. როზენი [18] ეპყვს გამოთქვამს, რომ *Ph. gerhardi* საქართველოში არსებობდეს, *Ph. fontinalis*-ს საქართველოსათვის არც კი იხსენიებს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი სახე მოყავს ჩრდილო კავკასიიდან. ჟადინს [13] *Ph. fontinalis* (*Ph. gerhardi*) გავრცელების არეალში ამიერ კავკასიაზე აქვს შეტანილი.

როგორც ჩანს, ცნობები ამ მოლუსკის საქართველოში არსებობის შესახებ არა საკმაოა. არა ჩანს არც ერთი კონკრეტული მოპოვების პუნქტი, არავითარი დასკვნის მიღებაც არ შეიძლება მისი გავრცელების შესახებ. ამიტომ, ამჟამად ყოველ შემთხვევაში, ფასციოლოზის გადამტანი მოლუსკათა რიცხვში მას ვერ მოვათავსებთ.

საქართველოს სხვადასხვა წყალსაცავში, რომლებიც საქონლისათვის ადვილი მისადგომია, მოიპოვება მოლუსკის ერთი სხვა სახე, რომელიც დაახლოებით ისეთსავე ეკოლოგიურ პირობებში ცხოვრობს, როგორც ზემოაღნიშნული საში

სახის მოლუსკი. ამიტომ შეიძლება მასზე ექვი აველო როგორც ფესკა-ლოზის შესაძლებელ გადამტანზე იმ შემთხვევაში, თუ სხვა მოლუსკების მიმართ მოლოდინი არ გამართლებოდა. ეს მოლუსკია *Physa acuta* Drap.

მართალია, ლიტერატურული წყაროები ამ მოლუსკს საქართველოსათვის არ აღნიშნავენ, ერთის გარდა, სადაც ნაჩვენებია, რომ იგი მოიპოება ამიერკავკასიაში [13]. მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური ინსტიტუტის კოლექციებში ინახება ამ მოლუსკის რამოდენიმე ეგზემპლარი სოხუმის ბოტანიკურ ბაღიდან.

ჩვენ ეს მოლუსკი მრავლად შეგვიგროვებია ბათუმსა და სამტრედიაში, ხოლო პროფ. ა. ა. საღოვესკისაგან მიღებული ცნობით ის აგრეთვე მოიპოება გაგრის მახლობლად.¹ ჩვენ კიდევ ხელთა გვაქვს იგი ფსირცხიდან.

ამრიგად, *Physa acuta*-ს საქართველოში ვიცნობთ 5 პუნქტიდან: ფსირცხა, სოხუმი, ბათუმი, სამტრედია და გაგრი. ეს პუნქტები მესაქონლეობის რაიონებს არ ემთხვევა.

ცნობებიდან ამ ოთხი მოლუსკის შესახებ ჩანს, რომ არცერთი მათგანი ჩვენში მასიურად გავრცელებული არ არის. ოთხი სახის მოლუსკიდან ორი მოლუსკის გავრცელება მესაქონლეობის რაიონებს ემთხვევა (*L. stagnalis* და *L. peregral*), ხოლო ორი სახისა კი—არა (*L. truncatula* და *Physa acuta*).

საკითხის გაშუქებისათვის შეიძლება კიდევ ერთი მოსაზრების წამოყენება. ცნობილია, რომ საქართველოს საძოვრებზე ზაფხულის პერიოდში დიდძალი საქონელი შემოყავთ გამოკვების მიზნით როგორც მის ჩრდილო, აგრეთვე სამხრეთ კუთხეებში. მაგალითად, ყაბარდოდან და ბალკარეთიდან სვანეთის საძოვრებზე, ჩრდილო ოსეთიდან სამხრეთ ოსეთში, ადერბაიჯანიდან კახეთის სხვადასხვა რაიონში. საქართველოს დაბა—ქალაქების სასაქლოები ხშირად ჩრდილოკავკასიური და ადერბაიჯნული საქონლით აკმაყოფილებენ ხორცის მოთხოვნილებას.

ასეთივე მომთაბარეობა სწარმოებს საწინააღმდეგო მიმართულებითაც—საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში და ადერბაიჯანში. მაგალითად, ჯავის, ყაზბეგის, ლენინგორის, დუშეთისა და თიანეთის რაიონებში ცხვარი ზაფხულში ძოვს თავისივე რაიონის იალალებზე, ხოლო შემოდგომით ჩრდილოეთ კავკასიისა და შირაქის საძოვრებზე [20, გვ. 6].

ამიტომ საქართველოში ფასციოლოზური დაავადების გარკვეული პროცენტი ამ შემოსულ საქონელს უნდა მიეწეროს, ან ჩვენს საქონლის დაავადება საქართველოს გარეშე უნდა ხდებოდეს.

გარდა ამისა, თვით საქართველოს არა ერთ რაიონში ძველადგანვე სისტემად შემოღებულია საკვების ბუნებრივი ბაზების გამოკვლის მიზნით მომთაბარეობა მთიან მხრიდან ბარში და პირუტყუ. ეს გარემოება მისაღებია მხედველობაში იმდენად, რამდენადაც საქონელი შეიძლება ბარშიც დაავადდეს.

მოყვანილი ცნობები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ფასციოლოზით დაავადებისა და ამ ინვაზიის გადამტანი მოლუსკების შესახებ გვიჩვენებს, რომ ფასციოლოზი საქართველოში საგრძნობლად არის გავრცელებული, ხოლო გა-

¹ ამ ცნობისათვის მას მადლობას ვუძღვნი.

დამტანი მოლუსკები შესწავლილია მეტად სუსტად. მდგომარეობა ^{არაა შესწავლილი} შეცვლება იმისა გამო ჩავთვლით ოთხივე სახის მოლუსკს ფასციოლოზის გადამტანად თუ ასეთად ერთს რომელიმეს მივიღებთ; შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირი იქნება, სახელდობრ ის, რომ ფასციოლოზური დაავადების გადამტანი მოლუსკათა შესწავლის საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ ჯეროვანად არ არის დაყენებული და პრობლემატიურად რჩება.

ჩვენს წინაშე მეცნიერების ის უბანია, სადაც პრაქტიკა წინ უსწრობს თეორიას, სადაც ფასციოლოზური დაავადების არსებობის უტყუარი ფაქტის წინაშე ჯერ კიდევ მცირე ცოდნა გვაქვს იმის შესახებ თუ რომელი სახის მოლუსკი უნდა ჩაითვალოს ამ ჰელმინთოზის მთავარ გამავრცელებლად საქართველოში, სად არის ამ მოლუსკათა გავრცელების კერები, როგორია მოლუსკათა დაავადების პროცენტი, როგორია ამ ინვაზიის შემოჭრის გზები იმ შემთხვევაში, თუ კერები ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების გარეშე იმყოფებიან.

3

თუ რამდენად აქტუალურია ამჟამად ამ საკითხის დასმა და მორიგ შესასრულებელ ამოცანათა რიგში დაყენება ჩანს იმ დადგენილებიდან, რომელიც მიღებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე და რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე ხუთწლიანი გეგმის შედგენას მეცხოველეობის დარგში.

„მესამე ხუთწლედში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა უნდა გადიდდეს 38,3 პროცენტით, ცხერისა და თხის რაოდენობა—29 პროცენტით, ღორების სულადობა—27 პროცენტით, ცხენების სულადობა—33 პროცენტით“ [2, გვ. 156].

გარდა ამისა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 X 40 წ. დადგენილებით ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ გათვალისწინებულია აღნიშნულ რაიონებში მეცხოველეობის მეტი განვითარება და შინაური საქონლის სულადობის მომატება. ასე, 1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონების კოლმეურნეობების პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობა აყვანილი უნდა იქნეს:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—190 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 102 ათასი სულისა;

ბ) ცხვარისა და თხისა—558 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 209,1 ათას სულისა;

გ) ღორისა—20 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 5.750 სულისა;

დ) ცხენისა—7,0 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 4,6 ათას სულისა [7].

ეს დადგენილებები მიგვითითებენ შინაური საქონლის არა მარტო რიცხვის გადიდებაზე და საკვებით მათი უზრუნველყოფის საჭიროებაზე, არამედ

მზრუნველობაზეც საქონლის გაჯანსაღებისათვის. მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და გაჯანსაღების ერთერთ გადაუდებელ ამოცანად უნდა აღიქვას სახოს ფასციოლოზის გადამტანი მოლუსკების შესწავლა საქართველოში და მათთან ბრძოლა, რაც ჰელმინთოლოგიის, მალაკოლოგიისა და ვეტერინარიის შეერთებული ძალებით უნდა განხორციელდეს.

კერძოდ, მოლუსკების შესწავლის დარგში ჩვენ გვესახება შემდეგი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ საკითხის ანალიზიდან:

1. ბუნებაში მუშაობითა და ლაბორატორიული ცდების საშუალებით გარკვევა იმისა თუ რომელი სახის მოლუსკი უნდა ჩაითვალოს ფასციოლოზის მთავარ გადამტანად და მეცხოველეობისათვის პრაქტიკულად საზიანოდ.

2. პრაქტიკულად საზიანო მოლუსკის მასიური გავრცელების ზუსტი ფართობისა და დაავადების კერების შესწავლა, განსაკუთრებით მესაქონლეობის განვითარების რაიონებში (საძოვრები, სათიბები).

3. ბუნებასა და ექსპერიმენტალურ პირობებში გადამტანი მოლუსკის ბიოლოგიური მხარეების შესწავლა, როგორცაა მაგ. მოლუსკის განვითარების ციკლი, ასაკობა, გამრავლების წესი და ინტენსივობა, გამრავლების პერიოდები, გენერაციათა რაოდენობა და სხვა.

4. აგრეთვე ბუნებასა და ექსპერიმენტალურ პირობებში გადამტანი მოლუსკის ეკოლოგიური მხარეების შესწავლა, მაგ. ტემპერატურის გავლენა საციკობლო მოვლენებზე, შეგუება დროებითი უწყლოობისადმი, დაზამთრების პირობები, ანაბიოზური მდგომარეობა და სხვა.

5. გადამტანი მოლუსკის საწინააღმდეგო ბრძოლის იმ საშუალებათა გამოცდა ჩვენი ბუნების პირობებში, რომლებიც ნაცადია რსფსრ-ში და, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, ეფექტურ საბრძოლო საშუალებათა გამოუშვება.

Г. Кочашвили

К вопросу о распространении моллюсков-передатчиков фасциоза в Грузии

Резюме

Фасциоз является обычным инвазийным заболеванием рогатого скота в Грузии; он зарегистрирован во многих районах, в некоторых же, как напр. в Ахалкалакском районе эта инвазия достигает 90—100%.

Несмотря на наличие фасциоза, вопрос о роли моллюсков передатчиков в Грузии до сих пор не может считаться изученным. Обычно таким передатчиком считается пресноводный брюхоногий моллюск *Limnaea truncatula* Müll., но это мнение основано скорее на общей традиции, а не на действительном знании о нем.

По аналогии с РСФСР, где вопрос о передатчике фасциоза может считаться решенным, можно предположить, что и в Грузии главным передатчиком является *Limnaea truncatula* Müll., а под подозрение могут быть взяты *L. stagnalis* L.

и *L. peregra* Müll., но для такого заключения сведения об их распространении на территории Грузии не достаточны, а экспериментальных подтверждений и вовсе не имеется.

В то время, как все эти три вида моллюсков в Грузии имеются, они известны из малого числа пунктов и в небольших количествах. Так, *L. stagnalis*—только из 2 пунктов, *L. peregra*—из 4 пунктов, а *L. truncatula*—из 9 пунктов, при этом местонахождения первых двух моллюсков приходится на области развития животноводства, а местонахождения *L. truncatula* остаются вне этих областей и падают на изменчивость и на зону предгорий, хотя *L. truncatula* и имеет довольно значительный ареал распространения.

По примеру некоторых стран можно было бы предположить, что таким передатчиком может являться и *Physa fontinalis* L. Но сведения о ее нахождении в Грузии не уточнены и само наличие ее у нас вызывает некоторое сомнение.

Автор выдвигает вопрос о возможности передачи фасциоза другим моллюском, *Physa acuta* Drap., обитающим в Грузии в условиях приблизительно сходных с условиями обитания других моллюсков передатчиков. Но, будучи пока известен лишь из 5 пунктов и при том не из животноводческих районов, признание и этого моллюска за несомненного вредителя остается открытым впредь до экспериментальных изысканий.

Из анализа данных о распространении названных моллюсков в Грузии автор приходит к выводу, что вопрос о передатчиках фасциоза в Грузии остается проблематичным и требует скорейшего изучения в связи с задачами развития животноводства у нас.

К вопросам подлежащим выяснению относятся:

1. Какой моллюск должен считаться в Грузии главным передатчиком фасциоза и практически вредным для животноводства,
2. какова площадь массового обитания и какова степень зараженности практически вредного моллюска, преимущественно в скотоводческих районах,
3. каковы биологические и экологические особенности моллюска передатчика в условиях природы Грузии,
4. испытание мер борьбы с моллюсками передатчиками, применяемыми в РСФСР и выработка новых эффективных мер соответственно с природными условиями Грузии.

ლიტერატურა

1. Арнольди, А. В. Лимнологический очерк озер Ахалкалакского плато. Джавахетия. Материалы по изучению природных ресурсов Ахалкалакск. нагорья, 1933.
2. ბაქრაძე, ვ. სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. საქ. სოციალისტ. მეურნეობა, № 3-4, 1939, გვ. 156.



3. Boettger, O. Kaukasische Mollusken. Jahrb. d. d. Mal. Ges., 1879.
4. — Sechstes Verzeichniss. Jahrb. d. d. Mal. Ges., 1881.
5. — Siebentes Verzeichniss. Jahrb. d. d. Mal Ges., 1883.
6. ბურჯანაძე, პ. ჰელმინთოლოგია, 1937.
7. დადგენილება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა საქ. სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ 15 X 40 წ., გაზ. კომუნისტი, 20 X 1940, წ. № 245 (5946).
8. Кокочавили, Г. В. Моллюски Западной Грузии и их распределение по ландшафтным зонам, 1940, (рукопись, диссерт. раб.).
9. Mousson, A. Coquilles terrestres etc, Vierteljar d. Nat. Ges., 1859.
10. — Coquilles terrestrres etc. Vierteljar. d. Nat. Ges., 1863.
11. — Coquilles recueillies par Sievers, Not III, Journ. de Conchyl, XVI, v. XXIV, 1876.
12. Жадин, В. И. и Панкратова, В. Я. Исследования по биол. моллюсков передатчиков фасциоза и выработке мер борьбы с ними. Раб. Окской биол. странц., т. VI, № 1—3, 1931.
13. Жадин, В. И. Пресноводные моллюски СССР, 1933.
14. — Полевые и экспериментальные исследов. над передатчиком фасциоза *Lymnaea truncatula* Müll. Тр. Зоол. Инст. АН СССР, т. IV, 1937.
15. — Фауна рек и водохранилищ СССР, Тр. Зоол. Инст. АН СССР, т. V, в. 3—4, 1940.
16. Retowski, O. Von Konstantinopel nach Batum. Bericht über die Senek. Naturforsch. Ges., 1889.
17. Materialien zur Kenntnis der Molluskenfauna des Kaukasus. Изв. Кав. Муз., т. VI, в. 4, 1914.
18. Rosen, O. Katalog der schalentr. Moll. des Kaukasus. Изв. Кав. Муз., т. VI, в. 2—3, 1914.
19. Садовский, А. А. Материалы к гидробиологии озер Тапараван и Табис—кури. Джавахетия. Матер. по изуч. природн. ресурсов Ахалкалакск. нагорья, 1933.
ტეტანიზაციის ინტენსიობის ცვლილებისა: გამაღიზიანებელი ძალის გაძლიერე-
ბისას ეფექტის ოდენობაც მატულობს და პირიქით. ამავე დროს ისიც არის
ცნობილი, რომ დადლილ პრეპარატზე უფრო ძლიერი გაღიზიანების ხმარებით
ჩვენ შეიძლება მივალწიოთ ეფექტის მომატებას წინაღ არსებულთან შედარ-
ებით.

ვედენსკი, რომელიც დაინტერესებული იყო ნერვის მიმართ დაღალვის
მოვლენის განვითარების საკითხის შესწავლით, თავისი ცდების წარმოებისას
წააწყდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ტეტანური გაღიზიანების ინტენსიობისა
და მიღებული ეფექტის ცვლილებებს შორის მყარდება არა პირდაპირი (რო-
გორც ეს მანამდის იყო ცნობილი), არამედ შებრუნებული დამოკიდებულება:
ბაყაყის ნერვ-კუნთის პრეპარატის განსაზღვრული სიხშირით ხანგრძლივი და
შეუწყვეტელი ტეტანიზაციისას გარკვეულ პერიოდში გაღიზიანების ინტენ-
სიობის შემცირებას მოჰყვება ეფექტის გაზრდა და ამავე პერიოდში გაღიზიან-
ების ინტენსიობის მატებას მოჰყვება ეფექტის შემცირება. ის შედარებით უფ-
რო დიდი ოდენობის ეფექტი, რომელიც ტეტანიზაციის განუწყვეტელ პირო-
ბაში წარმოიშვის მცირე ინტენსიობის გაღიზიანებაზე, ვედენსკის მიერ აღნიშ-
ნულია თერმინით ოპტიმუმი—Optimum. ის შედარებით უფრო მცირე ოდენ-
ობის ეფექტი კიდევ, რომელიც ტეტანიზაციის განუწყვეტელ პირობაში წარ-
მოიშვის დიდი ინტენსიობით გაღიზიანებაზე, ვედენსკის მიერ აღნიშნულია თერ-
მინით პესიმუმი—Pessimum (1).

ვედენსკიმ გვაჩვენა, რომ გაღიზიანების ინტენსიობისა და მიღებული ეფექ-
ტის ოდენობის ცვლილებათა შორის პირდაპირ დამოკიდებულებას ტეტანიზა-
ციის დასაწყისში აქვს ადგილი, ხოლო შებრუნებულ დამოკიდებულებას კიდევ,



ე. ი. პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების გამოვლინებას, ტეტანიზაციის მეორე ნახევარში ვამჩნევთ.

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების დაკვირვება ტეტანიზაციის სხვადასხვა ინტენსიობაზე ვედენსკის ჩვენებით შესაძლებელია გალიზიანების ინტენსიობის როგორც თანდათანობითი ცვლილებისას (ვთქვათ ინდუქტორიუმზე თითო-თითო სანტიმეტრით გალიზიანების გაძლიერებისას, ან ასეთნაირადვე მისი შემცირებისას), ისე აგრეთვე გალიზიანების შედარებით დიდ ფარგლებში ვარიაციისას (უეცრად გალიზიანების 10-15 სანტი-ით გაძლიერებისას, ან ასეთნაირადვე მისი შემცირებისას) — იმ თავისებურებით, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ეფექტთა განსხვავება უფრო მეტი თვალსაჩინოებით გამოისახება. (მაშასადამე, ამ მხრივ არ არსებობს პრინციპიალური განსხვავება პესიმალურ და ოპტიმალურ ეფექტთა განვითარების მხრივ).

ვედენსკიმ გვაჩვენა, რომ პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების განვითარება ერთგვარად დამოკიდებული არის ზღურბლზე; ასე რომ ზღურბლის ცოდნით ჩვენ წინდაწინ შეგვიძლიან განვსაზღვროთ ინდუქტორიუმზე პესიმალურ და ოპტიმალურ გალიზიანებათა სკალა. სახელდობრ ვედენსკიმ გვაჩვენა, რომ ტეტანიზაციის ზღურბლიდან 4-6 სანტიმეტრით გაძლიერება მაჩვენებელია ოპტიმალური (და სუბოპტიმალური) ძალით გალიზიანების სკალისა; ზღურბლიდან კიდევ 10-15 სანტიმეტრით (და ზევით) გაძლიერება კიდევ მაჩვენებელია პესიმალური ძალით გალიზიანების სკალისა. ავტორის ამ მითითებას მნიშვნელობა აქვს ცდათა წარმოებისას.

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ვედენსკის მიერ უმთავრესად დაკვირვებულია:

1) ტეტანიზაციის სიხშირის უცვლელ პირობაში ელექტროდენის ინტენსიობის ცვალებადობით (ინდუქტორიუმის მეორადი კოქსს ადგილის გადანაცვლებით).

2) ტეტანიზაციის სიხშირის უცვლელ პირობებში ელექტროდენის ისევე ინტენსიობის ცვალებადობით, ხოლო უკანასკნელი გამოიწვევა ინდუქტორიუმის მეორადი კოქსს ადგილის გადანაცვლებით კი არა, არამედ მეორად წრეში დროდადრო წინააღმდეგობის შეტანით და მისი შემდგომი გამორთვით.

3) ფარადიული ელექტროდენის სიხშირის ცვალებადობით ტეტანიზაციის ინტენსიობის უცვლელ პირობაში (უკანასკნელი ყოველთვის მაქსიმალურია ადგილი, ზღურბლიდან 10-15 სანტიმეტრით უფრო ძლიერი).

4) ტეტანიზაციის როგორც სიხშირის, ისე აგრეთვე ინტენსიობის უცვლელობისას ასე ვთქვათ — ვერდითი გზებით; ასეთებია: ა) როდესაც მამოძრავებელი ნერვის პროქსიმალურ ბოლოზე ცდის მიმდინარეობაში უცვლელ ტეტანიზაციას ვიწვევთ და მის დისტალურ ბოლოზე დროგამოშვებით ამა თუ იმ სახის მუდმივი დენით ზეგავლენას მოვახდენთ; მაშინ მუდმივი დენის ზეგავლენის თანდართვით (რომელიც ცნობილ ელექტრო-ფიზიოლოგიურ ცვლილებებს ანვითარებს) შესაძლებელი ხდება პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების დაკვირვება; ბ) როდესაც ნერვ-კუნთის პრეპარატზე ნერვის პროქ-

სიმაღური ბოლოს ტეტანიზაცია ცდის მიმდინარეობაში უცვლელად მდგრადი და ინტენსივობით ხდება და იგივე ნერვის დისტალურ ბოლოზე დროგამოშვებით ნაირგვარი ტემპერატურით გავლენას ვაწარმოებთ (ნერვზე რინგერის 20 გრადუსამდის გამთბარი, ან 1-2 გრადუსამდის გაცივებული ხსნარით მოქმედება); მაშინ ტემპერატურის გავლენით შესაძლებელი ხდება პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების დაკვირვება. (სხვათა შორის ამ დროს ტემპერატურის მომატებას მოსდევს პესიმალური ეფექტის განვითარება და ტემპერატურის შემცირებას კიდევ მოსდევს ოპტიმალური ეფექტის წარმოშობა).

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების დასაკვირვებლად ვედენსკი მიგვითითებს შემდეგ აუცილებელ პირობათა დაცვას: 1) ტეტანიზაციის სისწორე ნორმალური პრეპარატისათვის არ უნდა იყოს სეკუნდში 50 რხევაზე ნაკლები. 2) ტეტანიზაცია სრულიად რითმული უნდა იყოს, ე. ი. ტეტანოავტომატი (კამერტონი იქნება ეს, თუ სხვა ხელსაწყო) უნდა მუშაობდეს თანაბარ-ზომიერად. 3) ტეტანიზაცია უნდა ვაწარმოოთ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად და პესიმალური გალიზიანების ოპტიმალურ გალიზიანებაზე შენაცვლება უნდა ხდებოდეს ტეტანიზაციის შეუწყვეტლივ. 4) თავდაპირველად ტეტანიზაცია პრეპარატისა უნდა ხდებოდეს პესიმალური ძალით და როდესაც ამაზე მრუდე დაეცემა, მხოლოდ მერე, ტეტანიზაციის მეორე ნახევარში, ვაწარმოოთ ოპტიმალურ და პესიმალურ გალიზიანებათა თანამორიგეობითი ერთმანეთზე შენაცვლება.

გარდა ამ ძირითადი მომენტებისა შეიძლება გავარჩიოთ დამხმარე ფაქტორები, რომელნიც ხელს უწყობენ პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების განვითარებას. ასეთ დამხმარე ფაქტორებს ვედენსკის დაკვირვებით, მაგ., ეკუთვნის პრეპარატის დალაღვა, ე. ი. დალაღვა ერთგვარად ხელს უწყობს პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების დაკვირვებას (პრეპარატის ძლიერად დალაღვისას ეფექტთა გამოსახულებას აღარა აქვს ადგილი).

როგორც პესიმალური ძალის, ისე აგრეთვე ოპტიმალური ძალის გალიზიანებანი დასაწყისში მაქსიმალური სიდიდის შეკუმშვას ანვითარებენ. ეს ზედღიზედ (პაუზებით) რამდენიმეჯერ შეიძლება განმეორებული იყოს მორიგეობით თანამიმდევარ ხანმოკლე ტეტანიზაციისას. ამასთანავე ვედენსკის მიერ შემდეგია აღნიშნული: როდესაც ახალ პრეპარატზე ტეტანიზაციას ვიწყებთ ოპტიმალური ძალით და იგი ცდის მიმდინარეობაში არ იცვლება, მაშინ მრუდე თანდათანობით და ნელა ეცემა, და ეს დაცემა ერთგვარად თანაბარ-ზომიერად მიმდინარეობს. როდესაც კიდევ ბაყაყის ნერვ-კუნთის ახალ პრეპარატზე ნერვის ტეტანიზაცია ხდება პესიმალური ძალით და ცდის მიმდინარეობაში ეს გალიზიანება არ იცვლება, მაშინ ჩვეულებრივ ტეტანური შეკუმშვის მრუდე ტალღისებრივ მიმდინარეობს (ეს მოვლენა შესწავლილია აგრეთვე ჩვენს მიერ (94, 95, 96), მთლიანი შედეგები ცალკე იქნება წარმოდგენილი (97).

ვედენსკის მიერ შესწავლილია აგრეთვე ოპტიმალური ეფექტის ცვლილება გალიზიანების ინტენსიობის მიხედვით: აღნიშნულია, რომ რამდენადაც ოპტიმალური გალიზიანება ზღურბლთან მახლობელია (მაგრამ მაქსიმალური), მით ოპტიმალური ეფექტი მკვეთრად არის გამოსახული; გალიზიანების გაძლიერე-



ბისას კიდევ ოპტიმალური ეფექტი დაკნინებული ხდება; რაც უფრო დაკნინებულია ზიანების მნიშვნელოვან გიძლიერებას ვაწარმოებთ, მით ეფექტი თავისი გამოსახულებით უფრო მეტად უახლოვდება პესიმალურს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახალი პრეპარატისათვის როგორც ოპტიმალური ძალის, ისე აგრეთვე პესიმალური ძალის გაღიზიანებანი მაქსიმალური შეკუმშვის გამოიწვევს ანუ ოპტიმალურ ზეგავლენებს წარმოადგენენ, ხოლო ხანგძლივი შეუწყვეტელი ტეტანიზაციისას ცდის მიმდინარეობაში ოპტიმალური ეფექტის გამოიწვევეს სკალა თანდათან სულ უფრო და უფრო ზღურბლისაკენ გადინაცვლებს ადგილს.

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების დაკვირვებისას ვედენსკის მიერ შესწავლილია აგრეთვე აგზნებადობის (ანუ ავტორის თერმინოლოგიით გამოიხატება) ცვლილებების საკითხი. ეს რანდენიშენაირად არის ნაწარმოები: ა) ერთხელობრივ გაღიზიანებათა რიგით, ბ) ოპტიმალური და გ) პესიმალური ძალის გაღიზიანებით; ცდები ჩატარებულია როგორც ხანგრძლივად მიმდინარე პესიმალური ძალით გაღიზიანების ფონზე, ისე აგრეთვე სხვადასხვა ხანგრძლივობით პესიმალური ძალით გაღიზიანებაზე ტეტანური შეკუმშვის წარმოშობის შემდგომ; ცდები ასეც არის ჩატარებული: პესიმალური ძალის გაღიზიანება დროდადრო, ცდის მიმდინარეობაში ძალიან ხანმოკლე დროით (სექუნდის ათეულ ნაწილებში), პერიოდულად წყდება. შედეგები გვიჩვენებენ, რომ აგზნებადობის (გამღიზიანებადობის) ხარისხი ცვალებადობს. ეს ვედენსკის იმ დაკვირვებიდანაც ჩანს, რომ როდესაც ბაყაყის ნერვ-კუნთის ახალი პრეპარატის მიმართ პესიმალური ძალით გაღიზიანებაზე ტეტანური შეკუმშვის მრუდუ დაცემას იწყებს (პირველადი დაცემა), მაშინ გაღიზიანების მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ ტეტანიზაციის განახლებისას იგივე (პესიმალური ძალის) გაღიზიანება წინაარსებულთან შედარებით უფრო ნაკლები ოდენობის ეფექტს იძლევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დროს აგზნებადობის (გამღიზიანებადობის) ხარისხი შემცირებულია. როდესაც კიდევ ცდის შემდგომ მიმდინარეობაში პესიმალური ძალით გაღიზიანებაზე ტეტანური შეკუმშვის მრუდუ ამალდება იწყებს (მეორედი ამალდება), მაშინ გაღიზიანების მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ ტეტანიზაციის განახლებისას იგივე (პესიმალური ძალის) გაღიზიანება წინაარსებულთან შედარებით უფრო დიდი ოდენობის ეფექტს იძლევა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დროს აგზნებადობის (გამღიზიანებადობის) ხარისხი მომატებულია. ამრიგად (დაასკენის ვედენსკი), შეიძლება ვთქვათ, რომ პესიმალური ძალის გაღიზიანებით გამოწვეული ტეტანური შეკუმშვის მრუდის მსვლელობა ამავე დროს გამოსახავს კუნთის აგზნებადობითი (გამღიზიანებადობითი) ცვლილებასაც თვით ცდის მიმდინარეობის პერიოდში.

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების განვითარებაში ვედენსკი დიდ ადგილს უთმობს დალაღვის ფაქტორს. დალაღვის მოვლენაში ამ ავტორის აზრით ორგვარი მომენტია გასარჩევი: დალაღვა შეკუმშვისა გამო და დალაღვა გაღიზიანების არა საკმარისი ინტერვალის ანუ ფარული გაღიზიანებისა გამო. ამასთანავე ვედენსკის აზრით პესიმალური მდგომარეობისათვის უფრო დამახასიათებელია დალაღვა გაღიზიანების არასაკმარისი ინტერვალის გამო, ანუ დალაღვა უმთავრესად ფიზიკური ფაქტორის ზეგავლენით; ამ დროს კუნთი ერთ



გვარად ისვენებს შეკუმშვისაგან. ოპტიმალური ეფექტისათვის კიდევ უფრო დამახასიათებელია დალაღვა შეკუმშვისა გამო ანუ ამ დროს დამახასიათებელია დალაღვა უფრო ქიმიური ფაქტორის ზეგავლენით. რომ მართლაც, ამბობს ვედენსკი, პესიმალური მდგომარეობისას პრეპარატი ერთგვარად ისვენებს შეკუმშვისაგან, ეს იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ხანგძლივი ტეტანიზაციის პირობაში ოპტიმალური ძალით გალიზიანების სინჯს წინ უსწრებს შედარებით დიდი დროის პესიმალური გალიზიანება, მაშინ ოპტიმალური ეფექტის სიდიდე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაშინ, როდესაც ოპტიმალური ძალით გალიზიანების სინჯს წინ უსწრებს შედარებით ხანმოკლე დროის პესიმალური გალიზიანება. პესიმალური მდგომარეობა ხელს უწყობს ოპტიმალური ეფექტის განვითარებას, რამდენადაც იგი (პესიმალური მდგომარეობა) კუნთს ასვენებს შეკუმშვისაგან და მასში სწარმოებენ აღდგენითი პროცესები. ოპტიმალური მდგომარეობა კიდევ თავის მხრივ ხელს უწყობს პესიმალური ეფექტის განვითარებას, რამდენადაც იგი (ოპტიმალური მდგომარეობა) ხელს უწყობს კუნთის დალაღვას შეკუმშვისა გამო.

საინტერესოა, რომ ვედენსკის დაკვირვებით პესიმალური ძალით გალიზიანების ერთგვარი, შედარებით პესიმალური ზეგავლენა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს ტეტანიზაციის დასაწყისშივე. ეს იქიდან ჩანს, რომ ტეტანიზაციის დასაწყისში ასეთ დროს პესიმალური ძალით გალიზიანებაზე შეკუმშვა მაქსიმალურზე ნაკლებია, ე. ი. უფრო მცირეა, ვიდრე შეკუმშვა ტეტანიზაციის დასაწყისში ოპტიმალური ძალით გალიზიანებაზე. ამ ავტორით ასეთი შედეგი მიიღება მაღალი სიხშირით ტეტანიზაციისას, როგორც არის 250 რხევა სეკუნდში.

პესიმალური მდგომარეობა ვედენსკის აზრით ჩვეულებრივად კუნთში უნდა ვითარდებოდეს, ნერვულ ბოჭკოს კი არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. პესიმალური მდგომარეობის განვითარებაში, რადგანაც ნერვული ბოჭკოს ნ-ნ საათის განმავლობაში ტეტანიზაცია ამავე ავტორის დაკვირვებით არ იძლეოდა სრული დალაღვის განვითარებას. კუნთში კი პესიმალური მდგომარეობა რამოდენაღე მინუტში ვითარდება. მაგრამ ნერვულ ბოჭკოში პესიმალური მდგომარეობის განვითარების შესაძლებლობას (როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ) არ უარყოფს ვედენსკი, როგორც ეს ჩანს მოყვანილი ციტატიდან: „При крайне бо́льшей частоте раздражения и нерв должен впадать в состояние пессимума“.

(ნახეთ მისი დისერტაციიდან § 86, გვ. 209, 1886 წ.).

მართალია კურარიზირებულ კუნთზე ტეტანიზაციის ინტენსიობის ცვალებადობისას ვედენსკიმ ვერ მიიღო პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები, მაგრამ იგივე ავტორმა კურარიზირებულ კუნთზე მიიღო პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ტეტანიზაციის სიხშირის ცვალებადობაზე. ამასთანავე კურარიზირებულ კუნთზე ეფექტები უფრო ძნელად და ნაკლები სიმკვეთრით მიიღება, ვიდრე იგივე მოვლენები ბაყაყის ნორმულ ნერვ-კუნთის პრეპარატზე. ნერვის ტეტანიზაციით პესიმალური მდგომარეობის განვითარებაში ვედენსკი დიდ როლს აკუთვნებს აგრეთვე ნერვულ დაბოლოებებს.



ვედენსკის მიერ დაკვირვებულია აგრეთვე ე. წ. მეორადი ოპტიმიზმისა და მეორადი პესიმუმის მოვლენები. მეორადი ოპტიმიზმი — ერთგვარი ოდენობით შეკუმშვა — მიიღება პირველადი პესიმალური ძალით გალიზიანებაზე უფრო მეტი ინტენსიობით, მეორადი პესიმუმი კიდევ მიიღება უფრო მეტი ინტენსიობით გალიზიანებაზე, ვიდრე მეორადი ოპტიმიზმი (ვედენსკის დისერტაცია, § 5, § 106). მეორადი ოპტიმიზმისა და მეორადი პესიმუმის ეფექტები არ მიიღება ყოველთვის (არამუდმივნი არიან), ხშირად დაკავშირებული არიან ინდუქციური დენის პრეპარატზე უარყოფით („დამაჩლუნგებელ“) გავლენასთან და მეორადი ოპტიმიზმის ეფექტი არასოდეს არ აღწევს პირველადის დონეს. საერთოდ კი მოვლენები (მეორადი ეფექტები) დღესაც ნაკლებად შესწავლილი არიან (ამ ნარკვევში ჩვენს მიერ მეორადი ოპტიმიზმისა და მეორადი პესიმუმის მოვლენები არ განიხილება).

პესიმალური და ოპტიმალური მოვლენები, მიღებული სხვადასხვა წესით ა) ტეტანიზაციის სიხშირის ცვლილებაზე, ბ) ტეტანიზაციის ინტენსიობის ცვლილებაზე, გ) ტეტანიზაციისა და დამატებით მუდვივი დენის გავლენით, დ) ტეტანიზაციისა ნერვზე ტემპერატურის ზეგავლენით და სხვა — ვედენსკის აზრით ერთმანეთისადმი თავისი მიმდინარეობით ექვივალენტური არიან. არსებითად ამ დროს ყველა შემთხვევებში ადგილი აქვს აგზნების იმპულსთა ნაირგვარობას: პესიმალური მდგომარეობისას სააგზნებო იმპულსთა სიხშირე ორმაგად მეტია ოპტიმალურ ეფექტთან შედარებით. ეს კი იმასთან არის დაკავშირებული, რომ პესიმალური მდგომარეობის დროს მთავარ როლს თამაშობს გალიზიანებათა შორის მცირე ინტერვალი (აქ უპირატესად ვითარდება დაღალვა ფარული გალიზიანებისა, ანუ არასაკმარისი ინტერვალისა გამო). ოპტიმალური ეფექტის დროს კი ადგილი აქვს უპირატესად დაღალვისა გამო აქ არ თამაშობს არსებით როლს. ვედენსკის ეს დაკვირვებები ნაწარმოები აქვს აგზნების იმპულსთა ტანონური მეთოდით შემოწმებისას; მართალია ტელეფონური მეთოდი გამოკვლევის სიზუსტე არ შეიძლება შევადაროთ თანამედროვე გალვანომეტრულ მეთოდს (სიმის განომეტრი ეთ-პოვენისა) აგზნების ბუნების შესასწავლად, მაგრამ მაშინ, როდესაც სიზუსტე განომეტრი ჯერ არ იყო შემოღებული, შედარებით უფრო ტლანქი მეთოდით ვედენსკის მიეცა შესაძლებლობა გამოეყვანა მართებული დასკვნა სააგზნებო იმპულსთა მიმდინარეობაზე პესიმალურისა და ოპტიმალური ეფექტების დროს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნ. ვედენსკიმ (2) გამოაქვეყნა ახალი ექსპერიმენტული გამოკვლევები ე. წ. პარაბიოზის მოვლენის შესახებ, რომლებიც ეხება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზედმოქმედებას ნერვზე: ავტორს აქ მოჰყავს თავისი წინანდელი გამოკვლევებიც პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების შესახებ და, რაც მთავარია, ჯკანასკნელს აქ ავტორი განიხილავს როგორც კერძო (ფიზიოლოგიურ) შემთხვევას ნერვის პარაბიოზულ თვისებისას. მოვიყვანთ საყურადღებო ციტატას: „В то время как состояние парабриоза в нерве вызывается применением непосредственно к нему ядов, или других агентов, но при такой интенсивности и продолжительности их воздействия, которые становятся уже несомнен-

ნამ ინსულტომ და იგი, სრულყოფილად შესაბამისი პარაბოზი ცვლილება (სოს-
 ანიე ნესიმუმი) ვ კონცევის პლასტინაჲს დრავტელისი ნერვა მოჲთ ბუჲ ვიჲვანო
 ჩისო ფიზიოლოგიკისი მომენტი—სილნიჲნი და ჩასტიჲნი იმპულსაჲნი, პრიაჲსიჲნი
 კ ნიჲნი ს ნერვისი ვოლკონი, ს უსრანიეჲნი კოტორი იმ თოტჲს ჯე ვოჲვრაცჲსი
 სნოვა ვსი იჲნი ნორმალნი რაჲჯრჲთილნი. (ვოჲბუჲჯენი, თორმოჲჯენი და ნარკოზი.
 1935 წლის გამოცემა, გვ. 111).

ციტატიდან ჩანს, რომ ვედენსკი პესიმალურ და ოპტიმალურ ეფექტებს
 ბოლო დროს განიხილავს როგორც კერძო შემთხვევას ნერვ-კუნთის სისტემის
 ზოგად პარაბოზულ თვისებისას.

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების, ისევე როგორც პარაბოზის
 მოვლენის განვითარებაში ვედენსკი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერს ე. წ.
 ფუნქციურ წარმართვას, ანუ ლაბილობას (функциональная подвижность или
 лабильность). ლაბილობის სახელწოდების ქვეშ ავტორი გულისხმობს „იმ ელე-
 მენტარულ რეაქციათა მეტსა და ნაკლებ სისწრაფეს, რომელიც თანახლავს
 მოცემული აპარატის ფიზიოლოგიურ მოქმედებას“; ყველაზე შესაფერის და
 ზოგად საზომად ავტორი საამისოდ სთვლის: „იმ ელექტრული ოსცილაციის
 უდიდეს რიცხვს, რომელიც მოცემულ ფიზიოლოგიურ აპარატს შეუძლიან
 მოიცეს 1 სეკუნდში, მაქსიმალური გაღიზიანების რითმთან სრული შეფარდ-
 ბის შენარჩუნებით“. (ვოჲბუჲჯენი, თორმოჲჯენი და ნარკოზი, გვ. 114, 1935 წ. ახალი
 განმეორ. გამოც.).

შემდეგში ნ. ვედენსკიმ (3) პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები შეის-
 წავლა ცენტრალური ნერვული სისტემის მიმართ იმ განსხვავებით, რომ მისი
 ცდები ნაწარმოებია სტრიქინით მოწამლულ ბაყაყზე—(აღიზიანებდა აფერენ-
 ტულ ნერვს). საბოლოოდ ავტორი დაასკვნის, რომ სტრიქინული მოწამვლის
 სტადიების განვითარების გათვალისწინებით ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე
 პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ისევე გამოივლინებიან, როგორც
 ამას მისივე დაკვირვებით ადგილი აქვს პერიფერიაზე (ნერვ-კუნთის პრეპარატ-
 ზე). აქედან გამომდინარე ვედენსკი სთვლის, რომ ცენტრალური შეკავება ეს
 არის შედეგი ხშირი და ძლიერი, ანუ პესიმალური იმპულსებისა. მოგვყავს
 ავტორის სიტყვები: „Результат электрического раздражения чувствующего нерва
 положительный (рефлекторное вздрагивание) или отрицательный (рефлекторное тормо-
 жение) будет слагаться в зависимости от того, с каким характером приходят возбуждения
 в двигательный центр: при возбуждениях более умеренных и редких он будет
 реагировать в первом смысле, под влиянием возбуждений более сильных и частых
 он обнаружит второе (т. е. пессимальное, или тормозящее—А. Г.) состояние“.

პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ავტორს (ვედენსკის) გამო-
 კვლევული აქვს აგრეთვე თბილისხლიანი ცხოველის ნერვ-კუნთის პრეპარატზე,
 შემდეგ სასტრეციო აპარატზე (chorda tympani-ს მიმართ) და აგრეთვე ბაყაყის
 ნორმალური პრეპარატის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (დაუმთავრებელი);
 მიღებულია იგივენაირი შედეგი; რაც თავდაპირველად ბაყაყის ნერვ-კუნთის
 ნაწილებზე.



თავისი გამოკვლევები ნ. ვედენსკიმ შემდეგში გააგრძელა უმთავრესად პარაბოზის შესწავლის გარშემო. ამავე საკითხებზე მუშაობას აგრძელებდნენ მისი მოწაფეები. ამნაირად, ბოლოს შეიქმნა ვედენსკის სკოლა (4), რომელსაც შემდეგში (1922 წლიდან) სათავეში ჩაუდგა ვედენსკისავე მოწაფე ამჟამად აკადემიკოსი—ა. ა. უხტომსკი (უხტომსკის სკოლა—5); ამ სკოლამ სხვა ლაბორატორიებზედაც იქონია გავლენა.

აკად. ბერიტაშვილს (6) პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები შესწავლილი აქვს ელექტროგრაფიკული წესით (სიმის გაღვანომეტრი ეითოპოვინისა); ავტორი გვაჩვენებს, რომ პესიმალური ეფექტის დროს აგზნების იმპულსთარიცხვი ორმაგად მეტია ოპტიმალურ ეფექტთან შედარებით; ამასთან დაკავშირებით პესიმალური მდგომარეობის დროს აგზნების იმპულსთა ინტენსიობა უფრო მცირეა, ვიდრე ოპტიმალური ეფექტის დროს; ავტორი პესიმალური და ოპტიმალური ეფექტის განვითარებას არსებითად აკავშირებს რეფრაქტორულ ფაზებთან: პესიმალური ეფექტის დროს ტეტანიზაციის პირობებთან დაკავშირებით ისეთი მდგომარეობა ვითარდება, რომ ყოველი მომდევნო გაღიზიანება მოდის შეფარდებითი რეფრაქტიურული ფაზის ადრეულ სტადიაში (აგზნების იმპულსთა რიცხვის გაორმაგებისა გამო); ამ იმპულსთა ინტენსიობის შემცირებასთან დაკავშირებით ვითარდება შემცირებული მექანიკური ანუ პესიმალური ეფექტი. ოპტიმალური მდგომარეობის დროს კიდევ ტეტანიზაციის პირობებთან დაკავშირებით ისეთი მდგომარეობა ვითარდება, რომ ყოველი მომდევნო გაღიზიანება მოდის შეფარდებითი რეფრაქტორული ფაზის ბოლო სტადიაში (ან მის დამლევს) და ამ იმპულსთა დიდი ინტენსიობისა გამო ვითარდება უფრო დიდი ოდენობის მექანიკური, ანუ ოპტიმალური ეფექტი. ამ გამოკვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების წარმოშობის ბუნების კვლევის მხრივ. ამასთან ამავე ავტორის გამოკვლევით პესიმალური მდგომარეობა შეიძლება განვითარდეს როგორც კუნთში, ისე აგრეთვე განსაზღვრულ პირობებში ნერვულ ღეროში; ნერვულ დაბოლოებაში კი პესიმალური განვითარების პირობას ჩვეულებრივ ადგილი არა აქვს (6, 7). ბერიტაშვილის ეს გამოკვლევა შეიძლება ჩაითვალოს მისი წინა გამოკვლევების გაგრძელებად ნერვ-კუნთის ეფექტის ელექტროგრაფიკული წესით შესწავლის გარშემო (8). ბერიტაშვილის ეს გამოკვლევა ზოგიერთ ნაწილებში ეწინააღმდეგება ვედენსკის შეხედულებას: ვედენსკის აზრით პესიმალური მდგომარეობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნერვულ დაბოლოებას, ნერვულ ბოჭკოს კი ჩვეულებრივ პირობაში არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვედენსკი პრინციპიალურად არ უარყოფდა ნერვულ ბოჭკოში პესიმალური მდგომარეობის განვითარების შეხედულებას (როგორც მკვლევარებს ეს ჰგონიათ ჩვეულებრივ). ეს ჩანს მისი შემდეგი ციტატიდან: „те же явления (т. е. явления оптимума и пессимума—А. Г.), которые приписываются нами здесь обыкновенно мышце, надо ожидать встретить и на жерне, но только на последнем, соответственно его известной большой подвижности.

более скорому протеканию в нем токов действия, при еще большей частоте импульсов, при еще меньшей величине интервала раздражения“ (9).

(აქედან ისიცა ჩანს, რომ ვედენსკი პესიმალური მოვლენის განვითარებაში თავდაპირველი გამოკვლევისას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა გალიზიანებათა შორის ინტერვალს).

რეზიაკოვი (10) გვიმტკიცებს, რომ პესიმუმის მოვლენა უმთავრესად დამოკიდებულია არა კუნთის დაღალვაზე, არამედ მამოძრავებელი ნერვულ დაბოლოებაში აგზნებათა „ბლოკირებაზე“, რადგანაც კუნთის პირდაპირი გალიზიანება გვიჩვენებს პესიმუმის დროს ლაბილობის შეუცვლელობას.

საინტერესოა, რომ იგივე ავტორის გამოკვლევით ტვირთის მომატება (განსაზღვრულ ფარგლებში) ხელს უწყობს კუნთის ლაბილობის აღმატებას.

რეზიაკოვი (11) აგრეთვე იმ შეხედულებას ანვითარებს, რომ ყოველგვარი შეკავების ბუნება თანაბარგვარია; იგი ამბობს: „в одних условиях возникает торможение вслед за возбуждением, в других — реципрокное торможение и, наконец, в известных условиях мы имеем торможение Введенского. Однако природа всех этих родов торможения одна“.

ამავე დროს ავტორი გვაძლევს ახალ ჰიპოთეზას—შეკავების ოპტიმუმისა და შეკავების პესიმუმის შესახებ.

რეზიაკოვის ეს უკანასკნელი შრომა არსებითად ეწინააღმდეგება თვით ვედენსკის პირვანდელ შეხედულებას. ამ სკოლის მოძღვრებით ცენტრალური შეკავება უნდა განვიხილოთ როგორც შედეგი პესიმალური ფაქტორისა ხშირი (და მძლავრი) იმპულსაციის გავლენით: სხვანაირად რომ ვთქვათ ამ მოძღვრებით აგზნებითი (ოპტიმალური) და შეკავებითი (პესიმალური) მოვლენები ერთიდაიგივენაირი ბუნების მქონე პროცესთა სხვადასხვა სისხირე-სიმძლავრის მიმდინარეობის შედეგად უნდა ჩაითვალოს. რეზიაკოვი კი გვაწვდის ახალ მასალას: შეკავების ოპტიმუმისა და პესიმუმის ჰიპოთეზას; ეს ჰიპოთეზა თავის მხრივ გულისხმობს აგზნების ოპტიმუმისა და პესიმუმის არსებობას, ე. ი. აღიარებს იმას, რომ აგზნება და შეკავება არიან ცალკეული პროცესები (პროცესები sui generis), რაც არსებითად ეწინააღმდეგება ვედენსკი-უხტომსკის სკოლის სწავლებას.

ვასილიევი (12), იკვლევდა რა ნერვ-კუნთის ნაწილებზე სხვადასხვა ქიმიურ აგენტთა მოქმედებას, იმ დასკვნამდის მივიდა, რომ სხვადასხვა ქიმიური აგენტები, რომელნიც პერიფერიულ (პარაბიოტულ) შეკავებას ანვითარებენ, ორჯგუფად იყოფიან. ამასთან ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს ანტაგონისტურად შეეფარდებიან; ერთიდაიგივე ჯგუფისანი კიდეც ერთმანეთს შეეფარდებიან სინერგისტულად. აქედან ვასილიევი ანვითარებს შეკავების შესახებ ბინალურ თეორიას; მოვიყვანთ ციტატას: „Основной аргумент в пользу монистической теории торможения Н. Е. Введенского оказывается неправильным“.

იქვე ქვემოთ: „В перве могут быть вызваны тормозные состояния двух противоположных типов. Таким образом мы (т. е. Васильев—А. Г.) приходим к дуалистической (бинарной) теории торможения“ (13).

აღსანიშნავია, რომ ვასილიევი ცენტრალურ (რეცეპტორულ) შეკავებას მთლიანად ხსნის პარაბიოზული (პესიმალური) ბუნებით: „Нетрудно заметить, что формы центральных торможений, которые никак не могут быть уложены в схему парабриоза, самому Н. Е. Введенскому так и не удалось свести к парабриозу реципрокное торможение“ (14).

ვორონცოვის პესიმალური მოვლენა რამდენიმენაირად აქვს შესწავლილი აღენიშნავთ მთავარს: ნერვის პესიმალური გალიზიანებისას ტეტანიზაციის ხანმოკლე (0,03—0,2 სეკუნდი) შეწყვეტა კარგად გამოხატული პესიმუმის დროს იძლევა შეკუმშვის დროებით მომატებას (ნახტომისებრივად); ეს აღმატება შეკუმშვისა თავისი გამოსახულებით წაემსგავსება ერთხელობრივ ან დაწყებითი შეკუმშვას: ოპტიმალური გალიზიანების ასეთივე შეწყვეტა ან არ იძლევა ცვლილებებს კუნთის შეკუმშვის მრუდის სვლაში, ან კიდევ იძლევა მრუდის ხანმოკლე დაშვებას (შემცირებას): კუნთის ასეთი რეაქცია პესიმალური გალიზიანების დროს, ე. ი. შეკუმშვის ნაუცბადევი ამაღლება ტეტანიზაციის ხანმოკლე შეწყვეტისას, ვორონცოვის მიერ განიხილება როგორც შედეგი „შეკავების გამოვარდნისა“, რომელიც პესიმუმის დროს ნერვულ დაბოლოებათა პარაბიოზული მდგომარეობის ფონზე ვითარდება ყოველი მიმდევრო იმპულსის ზეგავლენით ნერვულ დაბოლოებაში აქ წარვლინებულ წინაარსებულ იმპულსზე“ (15).

შემდეგში იგივე მოვლენა ვორონცოვმა შეისწავლა ელექტროგრაფიკული წესით. აღმოჩნდა, რომ ნერვის პესიმალური ტეტანიზაციის ხანმოკლედ შეწყვეტის შემდეგ მოქმედების ელექტროდენი იზრდება; ამასთან ტეტანიზაციის განახლებისას პირველი ელექტროდენი ყველაზე ძლიერად იზრდება. შემდეგი ელექტროდენები კი თანდათანობით მცირდებიან; რადგანაც ეს აღმატება, ამბობს ავტორი, ვრცელდება არა მარტო მოქმედების პირველ ელექტროდენზე, არამედ შემდეგაც რამოდენიმეზე, ამიტომ არ შეიძლება ეს მოვლენა ავხსნათ დასვენებით, ან შეფარდებითი რეფრაქტორული ფაზის ცვლილებით. ეს მოვლენა ვორონცოვის აზრით იმით აიხსნება, რომ ძლიერი და ხშირი გალიზიანებათა დროს ყოველი მიმდევარი იმპულსი აქტიურად „შეაკავებს“ წინაარსებულ იმპულსს თავისი მოქმედების ელექტროდენით (16).

ვორონცოვი ჩონჩხის კუნთში არჩევს ორგვარ ბოკკოებს—სწრაფად შეკუმშვისა და ნელა, ტონური შეკუმშვის მომცემს. სრული პესიმალური მდგომარეობის დროს ე. წ. ნარჩენი შეკუმშვის არსებობას ვორონცოვი ხსნის ამ ტონური ბოკკოების მოქმედებით. აი ციტატიც: „Феномен Введенского (pessimum) всегда сопровождается развитием тонического сокращения. В этой то стадии токи действия сильно уменьшаются или даже совершенно исчезают, несмотря на наличие ясного сокращения“ (Серков)—(17).

ანალოგიურ მასალას ვორონცოვი სხვაგანაც იძლევა (18): სერკოვის მიერ კბობებზე დაკვირვებულა, რომ იშვიათი გალიზიანების დროს მიიღება ტონური შეკუმშვა, ხშირი გალიზიანების საპასუხოდ კიდევ ტეტანური. სერკოვის მიერ კიბობებზე მიღებული მოვლენა ვორონცოვის თქმით შეიძლება დაკვირვებულ იქნეს ბაყაყის დალილ პრეპარატზედაც.

ჩემის აზრით ეს სწორედ იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ პესი-
 მუმი, რომლის დროსაც გაღიზიანება უფრო ხშირია, ვიდრე ოპტიმალური
 გაღიზიანების დროს, არ შეიძლება შევადაროთ ტონუსთან, რომელიც სერკო-
 ვით მიიღება უფრო იშვიათი გაღიზიანების პირობაში. ამასვე ადასტურებს
 თვით ვორონცოვის ნარკვევიც აგზნების ბუნების შესახებ (19). ამასთან თვით
 ვორონცოვი მეორე ადგილას ადასტურებს იმ გარემობას, რომ არ არსებობს
 პესიმუმი მოქმედების ელექტროდენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება წინა ცი-
 ტირებულს (შეადარეთ); აი ციტატიც: „Ведь все-таки, как бы глубоко не было
 пессимальное состояние, тем не менее мы получаем токи действия, хотя и очень
 слабые. Следовательно и мышца и нервные окончание продолжают работать.“. (ნახვთ
 ვვ.—16, 505).

იუდენიჩის გამოკვლევით (20) კუნთი, რომელიც ალტერნირებულია
 $Ca Cl_2$ -ით ნერვიდან გაღიზიანებისას პესიმალურ მდგომარეობაში უფრო ადვი-
 ლად ვარდება (პესიმალური მდგომარეობა ვითარდება ისეთ იშვიათი გაღიზი-
 ანებაზედაც, როგორც არის მაგ. 10-25 სიხშირე სეკუნდში); ციანის პრეპარატე-
 ზით მოქმედების დროსაც ($NaCN$, KCN) იზრდება ფარგალი პესიმუმისა— იგი
 მიიღება უფრო იშვიათ გაღიზიანებაზე (25-50 რხევა სეკუნდში); ორივე შემთ-
 ვევაში პესიმუმის დროს კუნთი მთლიანად არ მოდუნდება და რჩება ერთგვარი
 ნარჩენი შეკუმშვისა, რომლის დროსაც მოქმედების ელექტროდენი ან სულ
 არ არის, ან მცირედად არის გამოხატული. დარიშხანის პრეპარატები, პირიქით,
 აფერხებენ პესიმუმის წარმოშობას. (დარიშხანით მოქმედების შემდეგ პესიმალური
 მდგომარეობა მიიღება უფრო ხშირი და ძლიერი გაღიზიანების პირობაში).

მაგნიციკიმ (21, 37, 38) შეისწავლა პესიმალური მოვლენის განვითარების სა-
 კითხი სხვადასხვა ელექტროლიტებით (KCl , $Ca Cl_2$ და სხვა). გამოკვავს დასკვნა,
 რომ პესიმუმი დამოკიდებულია არა მარტო იონთა აბსოლუტურ რაოდენობაზე,
 არამედ აგრეთვე მათ შეფარდებაზე. სახელდობრ Loeb-ის ფორმულისადმი კა-
 ლიუმის იონთა მატება აფერხებს პესიმუმის განვითარებას, კალიუმის იონთა
 შემცირება კიდევ, პირიქით, ხელს უწყობს პესიმუმის განვითარებას. აქედან
 ავტორი იმ აზრს ანვითარებს, რომ პესიმუმი დაკავშირებულია კალიუმისა და
 კალციუმის შემაკავებელ მოქმედებასთან. ავტორის მიერ ამასთან ერთად
 ნაჩვენებია ნატრიუმისა და კალციუმის იონთა ანტაგონისტური ზეგავლენა პესი-
 მუმზე; ამ მოვლენას ფიზიოლოგიური სარჩული ეძლევაო დასძემს ავტორი;
 მას საკითხი შესწავლილი აქვს ე. წ. პესიმუმის ზღურბლით („Нормы pessimum-а,
 т. е. та минимальная сила тока, при которой еще происходит максимальное па-
 дение кривой тетануса“).

ავტორს იონთა მოქმედების შესწავლა პესიმალური მოვლენის განვითარე-
 ბაზე შემდეგ გაღრმავებული აქვს (28, 29). ფიზიოლოგთა მეორე საკავშირო
 ყრილობაზე კამათში გამოსული პროფ. ვორონცოვი მაგნიციკის მოყვანილ თემა-
 ზე მოხსენების გარშემო აღნიშნავს, რომ ავტორი (მაგნიციკი) შეტისმეტად დიდ
 მნიშვნელობას აძლევს იონებს პესიმუმისა და პარაბიოზის მოვლენის წარმო-
 შობაში, მაშინ როდესაც პარაბიოზის მოვლენის მიღება შეიძლება იონთა კონ-
 ცენტრაციის შეუსტეველადაც (напр. задушение) (22).



ჩვენი ცდების მხრივ საინტერესოა, რომ მაგნიციის სნიაკინთან ერთად (23) შესწავლილი აქვს დატვირთვის ზეგავლენის საკითხი პესიმუმზე. ავტორები საზღვრავდნენ ელექტროდენის იმ „მინიმალურ“ ძალას, რომლის დროსაც წარმოდგება ტეტანური შეკუმშვის პესიმალური დაცემა ტვირთის მომატების პირობაში. ავტორების მიერ ნაჩვენებია, რომ დატვირთვის მცირეოდენი მატება არ ცვლის პესიმუმს. დიდი ოდენობით ტვირთის მატებისას კიდევ პესიმუმი წარმოსდგება უფრო მცირე ინტენსიობის ელექტროდენით, ვიდრე კუნთის დაუტვირთელ პირობაში.

მასალა მოხსენებულია ფიზიოლოგთა მესამე საკავშირო ყრილობაზე. კამათში ამ მოხსენების გარშემო გამოსულა აკად. ბერიტაშვილი, რომელსაც აღუნიშნავს იმ დროს ჩვენ მიერ ჩატარებულ ცდათა შედეგები პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების განვითარებაზე კუნთის დატვირთვის ზეგავლენის შესახებ (91).

ჩვენი ცდები თავისი მიმდინარეობით არსებითად განსხვავდება მაგნიციისა და სნიაკინის მიერ ჩატარებული ცდებისაგან, რადგანაც ეს ავტორები არსებითად შეისწავლიდნენ ე. წ. პესიმუმის „ზღურბლს“ ტეტანიზაციის ინტენსიობის მხრივ და პესიმუმის განვითარებას ტეტანიზაციის სიხშირის ფარგლებში დატვირთვის დროს; ჩვენ კი შევისწავლიდით დატვირთვის გავლენას პესიმუმზე ტეტანიზაციის ინტენსიობისა და სიხშირის თანაბარ პირობებში. ჩვენ შემდეგში გავაგრძელებთ ამ მოვლენათა შესწავლას, ხოლო სხვა მიმართულებით (92, 93).

მაგნიცი პესიმუმს საკოორდინაციო მნიშვნელობასაც აწერს (24). ამასთანავე პესიმუმის განვითარების მიზეზად იგი სთვლის ჰეტერო-ქრონიზმს, რომელიც მყარდება პესიმალური გალიზიანების პირობაში ნერვსა და კუნთს შორის (25).

მაგნიციის მიერ შესწავლილია ქრონაქსიის ცვლილება პესიმუმის დროს (26, 27, 28); ავტორი აღნიშნავს, რომ პესიმუმის დროს რეობაზე ნერვისა საშუალოდ ხანგრძლივდება 370%-ით, რეობაზე კუნთის კიდევ 58%-ით; იცვლება ქრონაქსიაც, იგი მატულობს, მაგრამ ნერვში უფრო ნაკლებად, ვიდრე კუნთში. ვითარდება ჰეტეროქრონიზმი, რომელიც საშუალოდ აღწევს 5,1; ოპტიმალური გალიზიანებისას კიდევ ავტორის გამოკვლევით ნერვის რეობაზე ხანგრძლივდება 51%-ით, რეობაზე კუნთისა—373%-ით; ჰეტეროქრონიზმი ნელნელა ვითარდება და აღწევს 1,6; ცვლილებები, რომელიც ოპტიმალური გალიზიანების დროს ვითარდება, უფრო ხშირად შეუბრუნებელია: ცვლილებები კიდევ, რომელიც პესიმალური გალიზიანებით ვითარდება, ადვილად იძლევა შებრუნებას. შემდეგ მაგნიციის შესწავლილი აქვს ნახშირწყლების (გლიკოგენის) ხარჯვის საკითხი პესიმუმის დროს (26, 29). მიღებულია, რომ პესიმალური გალიზიანების დროს სამჯერ უფრო ნაკლები გლიკოგენი იხარჯება, ვიდრე ოპტიმალური გალიზიანებისას. პესიმალური გალიზიანების დროს ორჯერ უფრო ნაკლები რაოდენობის რძის სიმეავე წარმოიშვება, ვიდრე ოპტიმალური გალიზიანების პირობაში. ეს დებულება, რომელიც თავის მხრივ საინტერესოა, როგორც მაჩვენებელი ენერგეტიული ცვლისა პესიმუმის დროს, არსებითად ეწინააღმდეგება აკ. უხტომსკის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც შეკავება ორ-



განიზმს უფრო „ძვირად უჯდება“. აი რას გვეუბნება ამის შესახებ უსტრომსკი „торможение... более утомительно чем обычное возбуждение. Выработка его (т. е. торможения—А. Г.) стоит организму дороже, чем обычное возбуждение“ (30). ამასთან მაგნიციკის ეს დაკვირვება (რომ პესიმუმის დროს გლიკოგენი და რძის მჟავა უფრო ნაკლები ოდენობის იხარჯება), საესებით ემთხვევა ვედენსკის ცდებს, რომლის მიხედვით პესიმუმის დროს კუნთი ერთგვარად ისვენებს შეკუმშვით ძალებისაგან (1).

მაგნიციკის და მის თანამშრომლებს (გრინბერგი, ვოზერსკაია-ილიაშვეა) შემდეგში ნაწარმოები აქვთ შესწავლა პესიმალური ეფექტის განვითარების საკითხისა და ღალის მოვლენასთან დაკავშირებით (44, 45, 46) ცდათა ნაირგვარ პირობებში. ეს გამოკვლევები, რომლებიც ნაწარმოებია მის მიერ ტურბაბას, პერელმანისა, ლივანოვთან ერთად, მცირედნაევ თავდაპირველი გამოკვლევისაგან განსხვავებულია, მაგრამ ძირითადად მაინც შედეგი ანალოგიურია იმ მიმართულებით, რომ პესიმუმის დროს რძის სიმჟავის წარმოშობა და ნახშირწყლების დახარჯვა უფრო ნაკლებია, ვიდრე გალიზიანების ოპტიმალურ პირობებში (39, 40, 41, 42, 43).

დელოვს შესწავლილი აქვს პესიმალური ეფექტის განვითარება ელექტროგრაფიკული წესით (32). იგი ცალკეულად აძლევს მნიშვნელობას იმპულსთა სიდიდეს და იმპულსთა სიხშირეს პესიმუმის დროს. სახელდობრ, დელოვის დაკვირვებით პესიმუმის დროს კუნთის მიერ წარმოებული აგზნების იმპულსთა სიდიდე ყოველთვის მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე იგივე ოპტიმუმის დროს. ავტორის აზრით სწორეთ ამასთან არის დაკავშირებული კუნთის მექანიკური ეფექტის პესიმალური შემცირება. პესიმუმის დროს კიდევ აგზნების იმპულსთა სიხშირე დელოვის დაკვირვებით ნაირგვარია; იგი ან ორჯერ აღემატება გალიზიანების რითმს, ან მას შეესაბამება, ან კიდევ, ტეტანიზაციის შემდეგ სტადიებში, ხდება ორმაგად მცირე. აგზნების რითმის გაორმაგებას პესიმუმის დროს ადგილი აქვს არა მარტო ჩვეულებრივი ინდუქციური კვეთებით გალიზიანების პირობაში, — ამბობს ავტორი, — არამედ აგრეთვე ჩაკტვის ინდუქციური კვეთებათა გამორიცხვის პირობაშიც; ოპტიმალური გალიზიანების პირობაში კიდევ დელოვით სააგზნებო იმპულსები გალიზიანებასთან ცოტათ თუ ბევრად იზორითმულად მომდინარეობენ.

დელოვი-ფილისტოვიჩისა და შეველოვასთან ერთად საერთო შემდგომ გამოკვლევაში (33) ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ პესიმუმის დროს აგზნების იმპულსთა შესუსტებას შეიძლება არ მოჰყვეს იმავე იმპულსთა გახშირება. უფრო მეტსაც აღნიშნავს ავტორი: ტეტანიზაციის განსაზღვრულ სტადიაში პესიმალური რიგის იმპულსები უფრო ნაკლები სიხშირისაა, ვიდრე ოპტიმალური რიგისა და მიუხედავად ამისა პესიმუმის დროს აგზნების იმპულსთა სიდიდე მაინც მცირეა. ამას ავტორი იმითა ხსნის, რომ პესიმალურ რიგში ცალკეული შუალედური იმპულსები ჰქრებიან რეტრაქტორული ფაზისა გამო, მაგრამ მაინც სტოვებენ შემდეგმოქმედებას, რომლის მეოხებით შემდგომი იმპულსის სიდიდე შემცირებული ხდება.

საყურადღებოა შემდეგი: დელოვის დაკვირვება იმის შესახებ, რომ პესიმუმის დროს აგზნებათა იმპულსები შემცირებული ხდება და რითმი კიდევ



გაორმაგებულია, ადასტურებს ბერიტაშვილის კონცეპციას პესიმუმის განვითარებაში ძირითადად რეფრაქტორული ფაზების მნიშვნელობის შესახებ (6, 7) და სამაგიეროდ ეწინააღმდეგება ვედენსკისა და უხტომსკის პირვანდელ შეხედულებას იმის შესახებ, რომ პესიმუმის დროს ადგილი აქვს ძლიერ იმპულსაციას (30, 31). პესიმუმის შესწავლისას აგზნების იმპულსთა სიხშირის თანაბრობა პირიქით იმპულსთა უფრო ნაკლები სიხშირე ოპტიმუმთან შედარებით ბერიტაშვილის მიერ არაა დაკვირვებული. ამდენად დელოვისა და ბერიტაშვილის დაკვირვებანი ამ ნაწილში ერთგვარად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

დელოვის მიერ (32) კიდევ დაკვირვებულია, რომ პესიმუმის დროს სრულ შეკავებას იმპულსებისას არა აქვს ადგილი; ეს კიდევ თავის მხრივ ეწინააღმდეგება ვორონცოვის კონცეპციას, რომლის შეხედულებითაც (სერკოვის ცდების მიხედვით) პესიმუმს თან ახლავს ყოველთვის ტონური შეკუმშვა, რომელსაც არ ახასიათებს მოქმედების ელექტროდენი.

საინტერესოა, რომ დელოვს თანამომუშავეებთან ერთად (33) პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები მიღებული აქვთ აგრეთვე ნერვ-კუნთის პრეპარატზე განმზილოებული ნერვული ბოჭკოთი (კატოს ცდები)—იგივენაირი შედეგებით. დელოვს პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ელექტროგრაფიკულად (ლაპიკისთან ერთად) შესწავლილი აქვს აგრეთვე ზურგის ტვინის მიმართ (34).

უფლიანდის შოშინასთან ერთად გამოკვლევით (35) დღეს უკვე ცნობილია, რომ ოპტიმალური და პესიმალური ეფექტები შეიძლება შესწავლილ იქნეს არა მარტო ტეტანიზაციის ინტენსიობის ცვლილებაზე, არამედ აგრეთვე ტეტანიზაციის უცვლელ პირობაში ცალკეული კვეთების ხანგრძლივობის ცვლილებასთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ ავტორებს შესწავლა ნაწარმოები აქვთ ერთდროულად რამოდენიმე კუნთზე; სპეციალურად ეს საკითხი არაა გარჩეული, მაგრამ მკითხველი ადვილად ხედავს, რომ რამოდენიმე კუნთის ერთდროული რეგისტრაციისას პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ზეგულბრივ ერთდროულად მიმდინარეობენ, ამასთან პარალელურად; მაგრამ მრუდეებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ პესიმალური ეფექტის სიღრმე ერთდროულად რეგისტრირებული კუნთის თანაბარ მომენტებში არ არის თანაბარი. რამდენიმე კუნთის ერთდროულ რეგისტრაციისას ავტორებს დაკვირვებული აქვთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საერთო ნერვული ტოტის ტეტანიზაციისას (ცალკეული კვეთების ნაირგვარი ხანგრძლივობით—გალიზიანების შეუწყვეტელ პირობაში) ერთდროულად ერთს რომელისამე კუნთზე გამოივლინება პესიმალური ეფექტი, მეორეზე კი ოპტიმალური ეტექტი; ამიტომ ავტორები დაკვირვებულ მოვლენას მიაწერენ მიონევრალურ ზონას. შემდეგში იგივე მოვლენები ავტორებს მიღებული აქვთ სპინალური რეფლექსების მიმართ (ნორმალურ ობიექტებზე) (36).

ელექტროგრაფიკული წესით პესიმალური ეფექტი შესწავლილი აქვს აგრეთვე გინეცინსკის მიხელსონთან ერთად—(47, 48). ამ ავტორთ ცდები უმთავრესად ნაწარმოები აქვთ ბაყაყის თერძის კუნთზე ნერვიდან ტეტანიზაციისას ხანმოკლე დროის განმავლობაში (0,5 სეკუნდი). ავტორებს დაკვირვებუ-



ლი აქვთ, რომ პესიმუმის დროს კუნთი იძლევა უოსცილატიო ნეგატივობას პესიმუმის დროს გალიზიანების რითმი შეიძლება შეესაბამებოდეს აგზნების რითმს. ამასთან პესიმუმის დროს აგზნების იმპულსთა სიმაღლეები შემცირებულია, აგზნების იმპულსთა ტრანსფორმაცია დამახასიათებელია არა პესიმალური, არამედ ოპტიმალურ მდგომარეობისათვის; აგზნების იმპულსთა ტრანსფორმაცია ხსნის პესიმუმს. ავტორის დაკვირვებით პესიმუმის მოვლენა არ შეიძლება მიეწეროს მარტო მიონევრალურ სუბსტანციას, არამედ აგრეთვე კუნთოვან ქსოვილს. ავტორებს შესწავლილი აქვთ აგრეთვე პესიმუმის მიღება კურარიზირებულ პრეპარატზე (48, 49).

გინეცინსკი შემდეგში გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ პესიმალური რეაქციის მიზეზი, Cowan-ის შეხედულების ანალოგიურად, აიხსნება მიონევრალურ შეერთებაში აცეტილქოლინის დაგროვებით (50).

გინეცინსკის მიერ მიხელსონთან ერთად ნაწარმოები ცდები პესიმუმის შესახებ ჩემის აზრით არ ეფარდებიან ვედენსკის მიერ ნაწარმოებ ცდებს, რადგანაც გინეცინსკი აწარმოებდა შესწავლას მხოლოდ 0,5 სეკუნდით ტეტანიზაციის პირობაში (48), მაშინ, როდესაც ვედენსკი (1) პესიმალურ და ოპტიმალურ ეფექტებს ჩვეულებრივ ნორმალურ პირობებში უმთავრესად შეისწავლიდა ტეტანიზაციის მეორე ნახევარში (ტეტანიზაციის პირველ ნახევარს ვედენსკი უწოდებს მოსამზადებელ სტადიას პესიმალურ და ოპტიმალურ ეფექტთა დასაკვირვებლად. ეს სტადია გრძელდება რამოდენიმე ათეული სეკუნდი). მაშასადამე, ვედენსკი და გინეცინსკი ეფექტებს თანადროულ მომენტებში არ შეისწავლიდნენ და ამიტომ ძნელდება შედგეგების დაპირისპირებაც.

მოვლენა პესიმალური და ოპტიმალური ეფექტებისა ვედენსკის შემდეგ, ისევე როგორც სხვა ფენომენები ვედენსკისა (პარაბიოზისა, პერიელექტროტონისა და სხვა) შეისწავლება აკადემიკოს უხტომსკის მიერ (51-63). ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა აქ შეეჩრდეთ ყველა ამ საკითხებზე; აღვნიშნავთ, რომ პესიმალური მოვლენა ამ სკოლას მიაჩნია როგორც კერძო შემთხვევა პარაბიოზის ზოგადი მოვლენისა. პარაბიოზის მოვლენა კიდევ უხტომსკის მიერ გამოყენებულია მის მიერ წამოყენებული ე. წ. დომინანტის მოძღვრებასთან (51, 55, 59) დაკავშირებით. შევეხებით რამოდენიმე ნაშრომს უხტომსკის ლაბორატორიიდან.

გარშკოვსა და გუსევეს (64) შესწავლილი აქვთ ეფექტები Briskoe-სი. ავტორები აგვიწერენ, რომ ოპტიმალური და პესიმალური ეფექტები შეიძლება დაკვირვებული იქნეს როგორც ტეტანური, ისე აგრეთვე ტონური რეაქციების მიმართ. ტონურ და ტეტანურ რეაქციათა ფარგლები (თვითულისათვის ადეკვატური სიხშირისა და ძალით გალიზიანების პირობაში) განცალკავებულია პესიმუმით. ამასთან საზღვრული პესიმუმის აღმოცენება შესაძლებელია გალიზიანების ტიპის შეცვლისას (ტეტანურისა ტონუსურისკენ და პირიქით); სახელდობრ შედარებით უფრო იშვიათი (სეკუნდში 25-30 სიხშირით) და მცირე ინტენსიობით გალიზიანება შეესაბამება ტონუსს და შედარებით უფრო ხშირი (სიხშირით 100-200 რხევა სეკუნდში) და დიდი ინტენსიობით გალიზიანება კიდევ შეესაბამება ტეტანუსს. თუ კი პრეპარატს გალიზიანებას დავიწყებთ



იშვიათი და მცირე ინტენსიობით, შემდეგ კიდევ გალიზიანებას გავაძლიერებთ და გავაზშირებთ, მაშინ ორჯერ მივიღებთ ოპტიმუმს მათ შორის პესიმუმის შუალედით. აქედან პირველადი ოპტიმუმი შეესაბამება ტონუსს, მეორადი ოპტიმუმი კიდევ შეესაბამება ტეტანუსს. თუ კიდევ თავიდანვე ავიღებთ ძლიერსა და ხშირ გალიზიანებას, მაშინ შეიძლება გამოვტოვოთ ტონური ეფექტები და პირდაპირ ვღებულობდეთ ტეტანურ ეფექტს. საყურადღებოა რომ აღწერილ ცდებში ნერვის ტეტანიზაცია ხანმოკლე დროით ხდება (რამოდენიმე სეკუნდით) და დროგამოშვებით (ინტერვალებით) განახლება იგი.

ამ შრომის შესახებ ჩვენ შეიძლება შემდეგი ავლნიშნოთ: Briskoe-ის მიერ მოცემული მოვლენა. გარშკოვსა და გუსევის (უხტომსკის ლაბორატორიიდან) ელექტროგრაფიკულად შესწავლილი არა აქვთ. მოსალოდნელია, რომ მოვლენათა დაკვირვებისას იცვლება სააგზნებო იმპულსთა რითმი და ინტენსიობა; ამას კი, რასაკვირველია, უნდა მოჰყვეს მექანიკური ეფექტის ცვლილებაც. შემდეგ: ვედენსკი თავისი ცდების წარმოებისას არ ხმარობდა ისეთ იშვიათ გალიზიანებას, როგორც არის 25-30 რხევა. სეკუნდში და ამაზე მცირე (ავტორებით ადევკატური ტონუსური რეაქციის). მაშასადამე ვედენსკის ცდებში პესიმალური რეაქციები მუდამ ტეტანური ხასიათისა იყო. ამნაირად, ის, რაც გარშკოვსა და გუსევის ცდებში აღნიშნულია მეორადი ოპტიმუმის და მეორადი პესიმუმის სახელწოდებით, ვედენსკის ცდებში ეს პირველადი ხასიათისაა. (თუმცა ვედენსკის მიერაც არის დაკვირვებული ე. წ. მეორადი ოპტიმუმისა და მეორადი პესიმუმის მოვლენები, მაგრამ ცდის სრულიად სხვა პირობებში და ორივენი ტეტანურ რეაქციათა მიმართ).

შემდეგში გარშკოვსა და გუსევის იგივენაირი რეაქციები შესწავლილი აქვთ ბაყაყის ნერვ-კუნთის ნაწილების მიმართ (65) იგივენაირი შედეგებით.

ლივანოვმა (66) ნახა, რომ კუნთის წებოვნება უფრო მეტია პესიმუმის დროს, ვიდრე იგივე ოპტიმუმისას; ელასტიურობა კი, პირიქით, მეტია ოპტიმუმის დროს. აქედან ავტორი დაასკვნის; რომ ე. წ. ნარჩენი შეკუმშვა პესიმუმის დროს ემსგავსება კონტრაქტურას (ტონუსს).

ბაყაყის კანჭის ტყუპ კუნთზე კატოდის ხანგრძლივი მოქმედებით რუსინოვმა (67) მიიღო რამოდენიმე პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ელექტროდენის ძაბვაზე მუდმივი დენით კონტრაქტურის გამოწვევის ფონზე. ეს იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები შეიძლება გამოწვეულ იქნენ როგორც კონტრაქტურის ფონზე, ისე აგრეთვე უამისოდ.

ელდიანი (Adrian—68, 70) და ლუკასი (K. Lucas—71, 72) ისევე როგორც ბერიტაშვილი (6, 7, 8) პესიმალური მოვლენის წარმოშობას მიაწერენ შეფარდებითი რეფრაქტორულ ფაზის მნიშვნელობას. მაგ. ბერიტაშვილი ამბობს, რომ პესიმალური გალიზიანების პირობაში ადგილი აქვს სააგზნებო იმპულსთა გაზშირებას (გაორმაგებას), რის გამო ყოველი გალიზიანება ხდება შეფარდებითი რეფრაქტორული ფაზის ადრეულ სტადიაში, რასაც მოჰყვება სააგზნებო იმპულსთა ამპლიტუდის შემცირება და მაშასადამე, მექანიკური ეფექტის დაქვეითება.



სრულიად ცალკეულად დგას ჰოფმანის (73, 74, 75) გამოკვლევა. ჰოფმანი
გაიმეორა ვედენსკის ცდები; ვედენსკის აზრით პრინციპიალური განსხვავება ჰოფ-
მანისა და მის (ვედენსკის) ცდათა შედეგებს შორის სრულიად არ არსებობს.
მაშინ როდესაც ჰოფმანი სთვლის რომ მათ შორის განსხვავება კარდინალურ-
რია. ჰოფმანი აწარმოებდა ცდებს როგორც ბაყაყებზე, ისე აგრეთვე ბაჭიებზე-
მის მიერ ცდები ნაწარმოებია მთლიან ობიექტებზე, სისხლის მიმოქცევის დაც-
ვის პირობაში. შემდეგ, იგი აწარმოებდა ცდებს არა მარტო ნორმალურ
პრეპარატებზე; არამედ აგრეთვე პრეპარატის კურარეთი, ეთერთ, ან ნიკო-
ტინით მოწამვლისას. ჰოფმანი ტეტანიზაციას უმთავრესად აწარმოებდა 5 სე-
კუნდის განმავლობაში გალიზიანების როგორც სიხშირის, ისე აგრეთვე ინტენ-
სიობის ცვალებადობისას, მაშინ როდესაც ვედენსკი პესიმალურ და ოპტიმა-
ლურ ეფექტებს უმთავრესად შეისწავლიდა გალიზიანების მეორე ნახევარში.

როზენბლუტი და მორისონი (76) იმ აზრს იზიარებენ, რომ საავზნებო იმ-
პულსთა გადაცემა მოტორული ნერვიდან კუნთზე სრულდება ჰუმორული გზით და
დამოკიდებულია აცეტილქოლინზე. ამასთან ამავე ავტორთა აზრით პესიმუმის
მოვლენის განვითარება დამოკიდებულია მიონევრალურ სუბსტანციაში ამ ჰუმო-
რული ფაქტორის (აცეტილქოლინის) ქარბად დაგროვებაზე.

პესიმუმის აცეტილქოლინური ბუნების სასარგებლოდ გამოვიდა აგრეთვე
ზეიდლიცი (77).

მოტორული ნერვიდან კუნთზე ავზნების ჰუმორული გზით გადაცემის შე-
დედეულების საწინააღმდეგოდ გაილაშქრა ჩენი დროის უდიდესმა ფიზიოლოგმა
ბერიტაშვილმა (78, 79), რომელიც ამავე დროს იმაზე მიუთითებს, რომ
აცეტიქოლინი ხსნის პესიმუმს.

პესიმალური მდგომარეობის აცეტილქოლინური ბუნების საწინააღმდეგოდ
გამოვიდა აგრეთვე ვორონცოვი (80), რომელიც გვარწმუნებს, რომ პესიმალური
მდგომარეობის გადასვლა ოპტიმალურში და პირიქით იმდენად სწრაფად მიმ-
დინარეა, რომ გამორიცხავს მისი აცეტილქოლინური ბუნების შესაძლებ-
ლობას.

გარდა ჩონჩხის მუსკულატურისა პესიმალური და ოპტიმალური ეფექტე-
ბი შესწავლილია აგრეთვე სხეულის სხვა ნაწილთა მიმართ. პესიმალური და
ოპტიმალური მოვლენები ჯერ ისევ ვედენსკიმ შეისწავლა სანერწყვე ჯირკ-
ვლებზე ქორდული ნერვის გალიზიანებით.

კირზონმა (81, 82) აღწერა პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები ორბე-
ლი-გინეცინსკის ფენომენის მხრივ, ე. ი. სიმპათიკური ნერვული სისტემის
მიმართ. ამასთან ერთად კირზონი იმაზე მიგვითითებს, რომ პესიმალური
და ოპტიმალური ეფექტების დასაკვირვებლად უნდა ყურადღება მივაქციოთ
არა მარტო ტეტანიზაციის სიხშირეს და ძალას, არამედ აგრეთვე ყოველი გა-
მალიზიანებელი სტიმულის ფორმას და ხანგრძლივობას. ასეთივეგვარი მითითე-
ბას ამავე მიმართულებით იძლევა მაკაროვი (83).

არშავსკიმ (84) მიიღო კუმქვედა ჯირკვლის მოქმედების ცვლილებები
დაკავშირებით ცდომილი ნერვის ტეტანიზაციის სიხშირის ცვალებადობასთან.



საქართველოს

მეცნიერებათა

ბაბსკიმ (85) გვაჩვენა ნაწლავთა ჩვეულებრივი მოტორული ფუნქციის ცვლილებები დაკავშირებით ნაირგვარი ტეტანიზაციასთან. ჩვეულებრივ შეკავებით მოქმედებას სიმპათიკური ნერვისა და ამავზნებელ მოქმედებას პარასიმპათიკური ნერვისა ნაწლავთა მოტორულ ფუნქციაზე ადგილი აქვს, ავტორის ჩვენებით, მხოლოდ ოპტიმალური გალიზიანების პირობაში; იმავე ობიექტის პესიმალური გალიზიანების პირობაში კიდევ ადგილი აქვს სრულიად საწინააღმდეგო სურათს: ნაწლავთა მოტორულ ფუნქციაზე ამავზნებელი მოქმედება სიმპათიკური ნერვიდან და შემაკავებელი მოქმედება პარასიმპათიკური ნერვიდან.

შაროვატოვამ (86) ნახა, რომ მცირე კონცენტრაციის ბენზინის ორთქლით გალიზიანებისას მიიღება კუჭის სეკრეციის გაძლიერება, გამაღიზიანებელი აგენტის გაძლიერებისას კიდევ მიიღება იმავე სეკრეციის შემცირება.

ფილიპოვამ (87) აღწერა ოპტიმალური და პესიმალური მოვლენები გალიზიანების გახშირებაზე ბაყაყის გულის კუნთის მიმართ.

ი. ვედენსკაიამ (88) ნახა ოპტიმალური და პესიმალური მოვლენები მესამე ქუთუთოს რეფლექსური რეაქციების მიმართ.

მრავალი ცდა იყო ნაწარმოები პარაბიოზულ (და მაშასადამე, პესიმალურ) მოვლენათა გადატანისა პირობით (ინდივიდურ) რეაქციათა სფეროში (რზენკოვი და სხვები).

შჩერბაკოვი (89) შეეცადა ვედენსკის მოვლენების გადატანას სასოფლო სამეურნეო პრაქტიკაში (ცხენებზე).

შემდგომში შჩერბაკოვმა (90) გააღრმავა თავისი კვლევა ბაყაყებზე ნაწარმოები ცდებით, საიდანაც გამოჰყავს დასკვნა იმის შესახებ, რომ ავტონომიურ ნერვულ სისტემას უშუალო მნიშვნელობა აქვს პესიმალურ და ოპტიმალურ მოვლენათა წარმოშობაში.

ამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება მონაცემები პესიმალურსა და ოპტიმალურ ეფექტებზე; ამ მხრივ ლიტერატურა დიდია; მაგრამ მოყვანილი მასალებიდანაც ჩანს, რომ არსებობს წინააღმდეგობანი სხვადასხვა მონაცემებს შორის, უმთავრესად კი ეს შეეხება თეორეტიულ ინტერპრეტაციას; არის აგრეთვე მთელი რიგი გადაუწყვეტელი საკითხებისა, რისთვისაც ჩვენც განვიზრახეთ ერთგვარი წვლილი შეგვეტანა ამ საკითხის რკვევაში (91-97).

ლიტერატურა

Литература

1. Н. ВВЕДЕНСКИЙ. О соотношениях между раздражением и возбуждением при тетанусе. 1886 г. СПб. (Записки Академии Наук. 1887 г. т. L IV, прил. 3). Тоже второе издание Ленингр. Госуд. Унив. 1934 г. (სადოქტორო დისერტაცია).
2. Н. ВВЕДЕНСКИЙ. Возбуждение, торможение и наркоз. 1901. Тоже *Pflüg. Arch. b.* 100. Тоже, второе издание Ленинград. Госуд. Универс. (см. собран. сочинен. т. IV (первый полутом) 1935 г.

3. Н. ВВЕДЕНСКИЙ. Возбуждение и торможение в рефлекторном аппарате при стрихнинном отравлении. Работы физиологической лаборатории СПб Университета 1906 г. (отдельный оттиск).
4. ვედეცკის სკალის ნაშრომები უმთავრესად ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში: Труды физиологической лаборатории СПб Университета
5. ვედეცკის შემდეგ უბტომისკის მეთაურობით უმთავრესად შრომები ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში: Труды физиологической лаборатории Ленинградского Университета (№№ 4, 15, 16, 17, 18, 19).
6. Н. БЕРИТОВ. О значении рефракторной фазы в деятельности нервно-мышечного препарата. Физиологический журнал т. I стр. 35. 1917 г.
7. Н. БЕРИТОВ. Общая физиология мышечной и нервной системы 1937 г. Москва—Ленинград стр. 218.
8. J. BERITOFF. *Zur Kenntnis d. Erregungsrhythmik des Nerven u. Muskelsystems. Zeitschr. f. Biol.* 64 125. 1913.
9. Н. ВВЕДЕНСКИЙ. ნახვთ № 1. § 106. გვ. 314. (1886 წლ.)
10. Н. РЕЗВЯКОВ. Миографический метод изучения лабильности мышцы. Материалы 4-го Всесоюзн. съезда физиологов. 1930 г. стр. 201.
11. Н. РЕЗВЯКОВ. Оптимум и пессимум торможения. Труды общества Российских физиологов им. И. М. Сеченева, вып. 3 1929 г. стр. 39.
12. Л. ВАСИЛЬЕВ. Об основных функциональных состояниях нервной ткани. Новое в рефлексологии и физиологии нервной системы. Лен.—Москва 1925 г. стр. 1.
13. Там же, стр. 15 и 16.
14. Там же, стр. 38.
15. Д. С. ВОРОНЦОВ. К вопросу о механизме периферического торможения скелетной мышцы. Физиол. Журнал. СССР, том 22, в. 3-4, стр. 317. 1937 г.
16. Д. С. ВОРОНЦОВ. О механизме периферического торможения скелетной мышцы. Физиологический журнал. СССР, т. 24 в. 3, стр. 502. 1938 г.
17. Д. С. ВОРОНЦОВ. Физиологические отношения между двигательным нервом и скелетной мышцей. Тезисы сообщ. 15 Междунар. Физиолог. конгресс. 1935 г. стр. 76.
18. Д. С. ВОРОНЦОВ. Об основных свойствах нервного процесса, определяющих его роль в координирующей деятельности нервной системы. Сборник докладов VI Всесоюзн. Съезда Физиолог., биохим. и фармакол. 1937 г. стр. 75.
19. Д. С. ВОРОНЦОВ. О природе возбуждения. V Всесоюзный Съезд физиологов, биохим. и фармак. 1934 г. стр. 28.
20. Н. ЮДЕНИЧ. К физиологии нервных окончаний скелетной мышцы. Сборн. докл. VI Всес. Съезд. Физиол., биохим. фармак. 1937 г. стр. 262.
21. А. МАГНИЦКИЙ. Применение формулы *Loeb'a* к явлению *Pessimum'a*. Тр. 2-го Всесоюзн. Физиол. съезда. 1926 г. стр. 291.



22. Д. ВОРОНЦОВ. Труды 2-го Всесоюзн. съезда 1926 г. (сборник докладов Магницкого)
23. А. МАГНИЦКИЙ и И. СНЯКИН. Действие нагрузки на *pessimum*. Тр. 3-го Всесоюзн. Физиол. съезда. стр. 175. 1928 г. (см. также журн. Экспер. мед. т. I, в 3 1928 г. стр. 29).
24. А. МАГНИЦКИЙ. Торможение и утомление при мышечной работе. Тр. 3-го Всесоюзн. Физиолог. Съезда 1925 г. стр. 173.
25. А. МАГНИЦКИЙ. Архив Биол. Наук том 33 в. 3-4, стр. 437 1933.
26. А. МАГНИЦКИЙ. К вопросу о значении хронаксии в механизме пессимума. 15 Междун. Физиолог. Конгресс. 1936 г. стр. 257.
27. А. МАГНИЦКИЙ. Значение коллоидального процесса в местном мышечном утомлении. 4 Всесоюзн. съезд Физиол., биохим. и фармак. 1930 г. стр. 139.
28. А. МАГНИЦКИЙ и В. МУЖЕЕВ. Парабиоз и хронаксия. Труды Физиол. отд. Коммун. Акад. 1930 г. стр. 77.
29. А. МАГНИЦКИЙ. К вопросу об энергетике парабиоза. Проблемы биологии и медицины. Посвящен. Л. С. Штерн, 1935 г. стр. 265.
30. А. УХТОМСКИЙ. Физиология двигательного аппарата в. I. Изд. Практ. Мед. Ленингр. 1927 г. стр. 145.
31. А. УХТОМСКИЙ. 15 лет Советской физиологии. Моск.—Ленингр. 1933 г. см. также физиолог. журн. СССР т. XVI стр. 1.
32. В. ДЕЛОВ. Электрографическое исследование пессимума Введенского в зависимости от силы раздражения. Тез. 15 Межд. физиолог. Конгресса, стр. 139, 1935 г.
33. В. ДЕЛОВ, В. ФЕЛИСТОВИЧ и В. ШЕВЕЛЕВА. О некоторых механизмах торможения и суммации возбуждения. Сборн. докладов Всес. Физиол. съезда стр. 687. 1937 г.
34. В. ДЕЛОВ и Д. ЛАПИЦКИЙ. Акционные токи спинного мозга в зависимости от силы и частоты раздражения. Труды Ин-та по изучению мозга им. Бехтерева. П. Физико-химические основы первой деятельности. 1935 г. стр. 70.
35. Ю. УФЛЯНД и Н. ШОШИНА. *Optimum* и *pessimum* длительности отдельного стимула. Физиол. журнал, т. 23, в. 2 стр. 187. 1937 г.
36. Ю. УФЛЯНД и Н. ШОШИНА. Оптимум и пессимум длительности отдельного стимула для спинномозговых рефлексов. Бюлл. Эксп. Биол. и Мед. том VI, в. 4 стр. 495; 1938 г.
37. А. МАГНИЦКИЙ. Значение металлических ионов в явлении парабиоза. Русск. Физиол. журнал, т. VIII в. 1-2, стр. 31, 1925 г. т. V I в. в 3—4 стр. 117 1925 г.
38. А. МАГНИЦКИЙ. Дальнейшие исследования о значении металлических ионов в явлении *Pessimum'a*. Русск. Физиол. Журн. т. IX. в. I стр. 151. 1936 г.
39. А. МАГНИЦКИЙ, В. ТУРБАВА и Е. ПЕРЕЛЬМАЦ. Утомление и торможение. Сообщ. III. Трата гликогена и образование молочной кислоты мышцей при пессимуме и утомлении. Бюлл. Эксп. Биол. и Мед. т. V, в. 3 стр. 152; 1938 г.
40. А. МАГНИЦКИЙ. Утомление и торможение. Сообщ. I. Изменение хронаксии и реобазы нерва и мышцы при пессимуме и оптимуме. Физиол. ж. СССР т. XXV, в. 3 стр. 218. 1938 г.



41. М. ЛИВАЦОВ. Утомление и торможение. Сообщ. II. Изменение вязкости и эластичности мышцы при состояниях пессимума и оптимума. Физиол. журнал СССР т. 25 в. 3, стр. 236, 1938 г.
42. А. МАГИЦКИЙ и Е. ПЕРЕЛЬМАН. Утомление и торможение. Сообщение III. Трата гликогена мышцей при пессимуме и утомлении. Физиол. журн. СССР т. 25 в. 3, стр. 244, 1938 г.
43. А. МАГИЦКИЙ и В. ТУРБАБА. Сообщение IV. Образование молочной кислоты в мышце при пессимуме и утомлении. Физиол. журн. СССР, том 25, в. 3, стр. 248; 1938 г.
44. А. МАГИЦКИЙ. Утомление и торможение. Сообщ. I. Влияние пессимума и утомления на электропроводность мышцы. Журнал Экспер. Мед. (под ред. Разенкова), т. I, в. 2 1938 г. стр. 5—17.
45. Г. ГРИНБЕРГ. Утомление и торможение. Сообщ. 2. Действие постоянного тока при утомлении и торможении. Журн. Эксп. Мед. под. ред. Разенкова, т. I вып. 2 1928 г. стр. 18—29.
46. Н. ВОЗЕРСКАЯ—ИЛЬЯШЕВА. Утомление и торможение. Сообщ. III. Влияние пессимума и утомления на редуцирующие свойства мышечной ткани. Журн. Экспер. Мед. т.—I, в. 3, стр. I. 1928 г.
47. А. ГИНЕЦИНСКИЙ. О соотношении процессов в мионевральном соединении и в мышце при раздражении током пессимальной частоты и силы. Тезисы 15 Между. Физиол. конгресса 1935 г. стр. 107.
48. А. ГИНЕЦИНСКИЙ и В. МИХЕЛЬСОН. Электрическая реакция во время пессимального сокращения мышцы. Физиологический Журнал СССР, том XIX, вып. 5, стр. 968, 1935 г.
49. А. ГИНЕЦИНСКИЙ и В. МИХЕЛЬСОН. Электрические явления при непрерывном раздражении мышцы, отравленной кураре. Физиологический журнал СССР. Том XIX, вып. 5, стр. 980. 1935 г.
50. А. ГИНЕЦИНСКИЙ. О гуморальной передаче первого импульса в окончании соматических нервов лягушки. Сборн. докл. VI Всес. съезда физиологов. 1937 г. стр. 193.
51. А. УХТОМСКИЙ. Парабноз и доминанта; см. сборн. Учение о парабнозе Ухтомского, Васильева и Виноградова. Москва. Изд. коммун. Ак. 1927 г.
52. А. УХТОМСКИЙ. Из истории учения о нервном торможении. Журнал Природа. № 10, стр. 164. 1937 г.
53. А. УХТОМСКИЙ. Из текущей проблемы в наследстве Н. Введенского. Тезисы к докладу на VI Всесоюз. съезде физиологов в Тбилиси.
54. А. УХТОМСКИЙ. Физиологическая лабильность и акт торможения. Тезисы сообщ. 15 Между. Физиол. конгр. Москва—Ленинград стр. 494, 1935 г.
55. А. УХТОМСКИЙ. Доминанта, как рабочий принцип нерв. центров. Русск. Физиолог. журн. т. VI, стр. 41, 1923 г.
56. А. УХТОМСКИЙ. Доминанта и интегральный образ. Врачебная газета № 2, стр. 27. 1924 г.



საქართველოს
საბუნებისმეტყველო

57. А. УХТОМСКИЙ и М. ВИНОГРАДОВ. Об инерции доминанты. Сборн. посвящ. 75 л. ак. Павлова. Ленинград—Москва 1925 г. стр. 47.
58. А. УХТОМСКИЙ. О зависимости двигательных кортикальных эффектов от побочных центральных влияний. Юрьев. 1911.
59. А. УХТОМСКИЙ. Принцип доминанты. Новое в рефлексологии и физиологии нервной системы. Т. I, стр. 60; 1925 г.
60. А. УХТОМСКИЙ. Физиологический Институт Ленинградского Университета в истории своего возникновения. Физиол. журн. т. XIX. в. I, стр. 307, 1935 г. Успехи современной биологии, т. IV. в. 4-5, стр. 307. 1935 г.
61. А. УХТОМСКИЙ. XV Международный конгрессе физиологов. 1936 г. изд. Акад. Наук. Москв. Лен. 1936 г.
62. А. УХТОМСКИЙ. Возбуждение, торможение, утомление. Физиологический журнал СССР, Том XVII, стр. 1114.
63. А. УХТОМСКИЙ. Университетская школа физиологов в Ленинграде за 20 лет Советской жизни. Физиологический журнал СССР, т. XXIII, в. 4-5, стр. 389. 1937 г.
64. С. ГОРШКОВ и Е. ГУСЕВА. *Optima u pessima* частоты и силы импульсов как нормальный фактор нервной координации. Труды физиологического Института Ленинградского Госунта. № 14, стр. 78. 1934 г.
65. С. ГОРШКОВ и Е. ГУСЕВА. Физиологическая природа двойного оптимума и пессимума в нервно—мышечном приборе. Труды Ленинградск. Общества Естествоиспыт. т. XIV, в. 3, стр. 371. 1935 г.
66. М. ЛИВАНОВ. Утомление и торможение. Сообщ. II. Изменение вязкости и эластичности мышцы при состояниях пессимума и оптимума. Бюл. Экспер. Биол. и Медич. т. IV в. 5, стр. 386. 1937 г.
67. В. РУСИНОВ. Об обратной контрактуре скелетной мышцы. V всеоюзный Съезд физиол. 1934 г. стр. 34.
68. E. ADRIAN. *Wedensky inhibition in relation to the „all or none principle“ in nerve.* Journ. of physiol. 46, 384, 1913.
69. E. ADRIAN. *Some recent work on inhibition.* Brain. 47. 399. 1924.
70. E. ADRIAN a. D. BOCK. *The discharge of impulses in motor nerve fibres. Part. II.* Journ. of. physiol. 67. 119. 1929.
71. K. LUCAS. *On the recovery of muscle and nerve after the passage of propagated disturbance* Journ. of physiol. 41. 368. 1910.
72. K. LUCAS. *On the transference of the propagated disturbance from nerve to muscle...* Journ. of phsiol. 43. 46, 191.
73. F. HOFMANN. *Studien über den Tetanus. I. Ueber die Abhängigkeit des Tetanusverlaufs von der Reizfrequenz bei maximaler indirecter Reizung.*
Pflüger's Archiv für die gesamt. Physiologie Bd. 93, s. 182. 1902.
74. F. HOFMANN. *Studien über den Tetanus. II. Ueber den Einfluss der Reizstärke auf den Tetanusverlauf bei indirecter Reizung.*
Pflüger's Archiv für die gesamt. Physiologie. Bd. 95. s. 484. 1903.

75. F. HOFMANN. *Studien über den Tetanus. III. Zur Erklärung der scheinbaren Hemmungen am Nervmuskelpräparate.*
Pflüger's Archiv für die gesamt. Physiolog. Bd. 103. s. 291. 1904.
76. A. ROSENBLUETH and R. Morison. *Curarization, Fatigue and Wedensky Inhibition. The American Journal of Physiologic.*
Vol. 119. № 2. 236. 1937.
77. О. ЗЕЙДЛИЦ. Доказательство ацетилхолиновой природы парабноза Введенского. Биол. Экспер. Биол. и Мед. том IX, вып. 6, стр. 405—1940 г.
78. И. БЕРИТОВ. О действии ацетилхолина на скелетную мышцу лягушки. Физиологический журнал СССР т. XXVII, в. 6. 1939 г. стр. 667.
79. И. БЕРИТОВ. О действии ацетилхолина на мышечную и нервную систему. Тезисы и Авторефераты 8 Кавк. С'езд. Физиол., Биох. и Фармак. 1939 г. Баку, стр. 5.
80. Д. ВОРОШЦОВ. Доклад на III Всеукраинском С'езде физиолог. биохимиков и фармакологов.
81. М. КИРЗОН. *Optima u pessima* электрического раздражения *sympathici* в связи с вопросом о лабильности последнего. Труды Научно—Исследов. Физиол. Инст. Ленинград. Госуд. Унив. № 14—1934 г.
82. КИРЗОН. Гуморальный и экситаторный момент в вегетативных влияниях на мышцу. Тезисы к XV междун. физиол. конгр. 1935 г. стр. 199.
83. МАКАРОВ. Труды Ленингр. Общ. Естествоисп.
84. АРШАВСКИЙ. Нервный и гуморальный механизм регуляции процессов возбуждения и торможения. 1936 г. *დისკრტაცია; ციტატები* Разенков-ის; *ხანეთ* Вопросы питания т. 7. № 4-5 стр. 3. 1938.
85. Е. БАВСКИЙ. Об условиях определяющих характер действия центральных нервов тонких кишок. 4-й Всесоюзн. С'езд физиологов. 1930 г. стр. 9.
86. О. ШАРОВАТОВА. Влияние соотношения силы и времени действия раздражения на секретную работу желудочных желез. Тезисы 15 Междунар. Физиол. конгр. 1935 г. стр. 445.
87. А. ФИЛИПОВА. Явления оптимума и пессимума частоты в симпатическом эффекте на сердце лягушки. Сообщ. I Бюл. Эксп. Биол. и Мед. Т. V. в. 5-6 стр. 458. 1938 г. и Сообщ. II тамже, стр. 462.
88. И. ВВЕДЕНСКАЯ. Явления оптимума и пессимума в рефлекторных реакциях третьего века. Бюл. Эксп. Биол. и Мед. т. VIII, в. 6. № 12 стр. 405. 1939 г.
89. ЩЕРБАКОВ. Утомление и торможение на работающем организме. Сообщ. I. К определению утомления и парабноза у работающей лошади. По ихнограммам. Бюл. Экспер. Биол. и Мед. Т. III, в. 6. 1937 г. стр. 626. Сообщ. II. Течение восстановительного процесса периода у лошади по ихнограммам после кратковременной напряженной работы. см. этот же журнал. стр.



90. П. ЩЕРБАКОВ. К вегетативной теории функциональных состояний при мышечной деятельности. Академия Наук УРСР, Институт клинической физиологии, т. IX, в. 2, 1939 г.
91. А. ГОЦИРИДЗЕ. Исследование пессимального и оптимального эффектов мышцы при разных условиях ее деятельности. Физиологический журнал СССР т. 19, № 5, стр. 1031. 1935 г.
 См. также материалы VI-го Кавказского физиологического съезда в гор. Эривани, 1934 г.
92. ა. გოცირიძე. პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების გამოვლენა კუნთის მოქმედების სხვადასხვა პირობებში (მონსენება 2-რე). იბეჭდება ქუთ. პედინსტიტუტის შრომებში, ტომი 4.
93. ა. გოცირიძე. ტეტანური შეკუმშვის ცვლილება განუწყვეტელი პესიმალური გაღიზიანების თანამიმდევრულად წყვეტილზე შენაცვლებისას. იბეჭდება ქუთ. პედინსტიტუტის შრომებში, ტომი 4.
94. А. ГОЦИРИДЗЕ. Исследование волнообразного течения тетануса при пессимальном раздражении. Сообщение 1-ое. Об общих условиях возникновения данного феномена Введенского. Физиологический журнал СССР т. 24, в. 6, стр. 1078. 1938 г. См. также Бюллетень Экспериментальной Биологии и Медицины т. 6, в. 3, стр. 314. 1938 г.
95. А. ГОЦИРИДЗЕ. Дальнейшее исследование волнообразного течения тетануса при пессимальном раздражении. Авторефераты и тезисы VIII-го Кавказского съезда физиологов, биохимиков и фармакологов. Гор. Баку, стр. 57, 1939 г.
96. А. ГОЦИРИДЗЕ. Электрофизиологическое исследование волнообразного течения тетануса при пессимальном раздражении. Доклад на всеукраинском обществе физиологов, биохимиков и фармакологов, в полярбе 1939 года.
97. А. ГОЦИРИДЗЕ. Исследование волнообразного течения тетануса при непрямом пессимальном раздражении мышцы.
 (მთლიანი მასალები—ხელნაწერი).



ბრ. ღვდარძინი

სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასების დათარიღებისათვის

სამეგრელოს ვაკეს უჭირავს სივრცე სამეგრელოს მაღალმთიან ნაწილსა და კოლხეთის დაბლობს შორის. დასავლეთისაკენ იგი გრძელდება მდ. ენგურის აუზში და უკავშირდება აფხაზეთის ბორცვიან მხარეს, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით ვრცელდება მდ. ცხენისწყლის აუზისაკენ. საერთოდ სამეგრელოს ვაკე ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი რელიეფით, სადაც მდინარული ხეობების გაყოლებით მდებარე დაბლობები მორიგეობენ ხეობათა შორის მდებარე გასწვრივ წყალგამყოფებთან, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე საშუალოდ 70—100 მ. არ აღემატება. წყალგამყოფები ჩვეულებრივად მოვაკებული ზედაპირებით ხასიათდებიან. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შევხვდებით უფრო მკვეთრ ფორმებს ცალკეული კონუსისებური მაღლობების სახით, რომელთა განვითარების მიზეზს წარმოადგენს გეოლოგიური სტრუქტურა, კერძოდ, მათ აგებულიებაში მაგარი ქანების-კირქვების ან კონგლომერატების მონაწილეობა.

ვაკეს სამხრეთიდან ეკვრის ურთა—ეკის მთების ზოლი, რომელიც წარმოადგენს საზღვარს სამეგრელოს ვაკესა და კოლხეთის დაბლობს შორის. ურთა—ეკის მთები მათ ჩრდილოეთით მდებარე ვაკეს აღემატებიან სიმაღლით, მაგრამ რელიეფის კონტრასტი აქ ისეთი თვალსაჩინო არ არის, როგორც ვაკის ჩრდილო საზღვრის გასწვრივ, სადაც დაბალ ბორცვიან ზედაპირს სწრაფად სცვლის მაღალი მთები.

ამგვარად, სამეგრელოს ვაკე წარმოადგენს ბორცვიანი, ტალღებრივი რელიეფის მქონე სივრცეს, რომელიც ოდნავადაა დახრილი დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით, მას სამ მხარეზე ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან აკრავს უფრო მაღალი რელიეფის მქონე ზონები, ხოლო დასავლეთისაკენ კი გაშლილია და დაბალი, ამიტომ საერთო გეოგრაფიული მდებარეობით, ერთი შეხედვით, სტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს აქ ოდესღაც ყოფილა უბე.

ასეთი რელიეფის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს გეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც აქ საკმაოდ მარტივია, მაგრამ მაინც შესაძინევ დაღს ასვამს მორთოლოგიაზე. უძველეს დანალექ ქანებს სამეგრელოს ვაკისათვის შეადგენს ზედა ცარცი, რომელიც წარმოადგენილია უმთავრესად კირქვებით. მაგრამ ის არ ხასიათდება დიდი გავრცელებით, არამედ გვხვდება მხოლოდ განაპირა—მაღლობების, კერძოდ ურთის, ეკის, ნოქალაქევის და ჩრდილოეთიდან მოსახლვრე მაღალ მთებში, დანარჩენი სივრ-



ცე, ე. ი. თითქმის მთელი ვაკე, ძირითადად შეიცავს შესამეუღლს და მისი ქანებს, როგორც პალეოგენს, ასევე ნეოგენსაც, აქედან მეტი გავრცელება აქვს ნეოგენს. ლითოლოგიურად შესამეუღლის მთავარი შემადგენელია ფხვიერი ქანები: თიხები, ქვიშები, ქვიშაქვები, უფრო გამძლე ქანებიდან კი ალსანიშნავია პლიოცენის კონგლომერატები, რომელთა შემადგენელ მასალას წარმოადგენს მალალი მთებიდან ჩამოტანილი კირქვის და ვულკანური ქანების დარგვალბული ნატეხები. შემადგენელი ქანების ლითოლოგიური სხვადასხვაობა შესამჩნევ კონტრასტებს იწვევს რელიეფში, მაგ. მაგარი მასალა (კირქვები, კონგლომერატები) უფრო გამძლეა დენუდაციის და ეროზიის მიმართ, რის გამოც მათი გადარეცხვა უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო რბილი—ფხვიერი მასალა, რომელსაც დიდი გავრცელება აქვს სამეგრელოს ვაკეში, უფრო ადვილად ირეცხება. ამიტომ პირველ შემთხვევაში ვითარდება უფრო მკვეთრი ფორმები, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მოვაკებული, ბორცვიანი ფორმები. ამიტომ რაიონის ის ნაწილები, რომლებიც შედგება კირქვების ან მერგელებისაგან, მთებითაა წარმოდგენილი, ხოლო სივრცეები აგებული ქვიშისა და თიხისაგან—ვაკებით ან ბორცვებით. პირველ შემთხვევაში მდინარული ხეობები ღრმა და ვიწროა, ხშირად კანიონისებური, ხოლო მეორე შემთხვევაში დაბალი და განიერი.

გარდა ლითოლოგიური თვისებებისა, რელიეფზე დიდ გავლენას ახდენს ტექტონიკა. საკუთრივ სამეგრელოს ვაკე წარმოადგენს სინკლინს, რომელიც აღმოსავლეთისაკენ გრძელდება მდ. ტეხურამდე („სამეგრელოს სინკლინი“). ის მოქცეულია სამეგრელოს მაღალ მთებსა და ურთა-ეკი—ნოქალაქევის მთებს შორის. ეს უკანასკნელნი სტრუქტურულად წარმოადგენენ ანტიკლინებს, რომლებიც გადაირეცხენ დენუდაციის და ეროზიის შედეგად, ამიტომ ამჟამად ცალკეულ მაღლობებად არიან დარჩენილი. გარდა ამ ძირითადი სტრუქტურული ფორმებისა, აქა-იქ ვხვდებით სხვა სახის სტრუქტურულ გართულებებსაც, კერძოდ ნაწყვეტ ფორმებს, განსაკუთრებით სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში.

ამგვარად, განაპირა მაღლობები უშთავრესად ანტიკლინებს წარმოადგენს, უფრო დაბალი ნაწილი კი სინკლინური აგებულებისაა.

სამეგრელოს ვაკის სტრუქტურული თავისებურებანი გამოწვეულია კავკასიონის ოროგენული მოძრაობებით, რომელნიც მიმდინარეობდნენ შესამეულში და გრძელდებოდნენ მეოთხეულშიც.

ძირითადი ქანები ხშირად დაფარულია ახალგაზრდა (მეოთხეული) საფარით, რომელიც უშთავრესად შეიცავს ალუვიურ, დელუვიურ და ელუვიურ მასალებს. პირველი ტიპის ნაფენები (ალუვიური) გავრცელებულია მდინარულ ხეობებში, მეორე ტიპის (დელუვიური) ხეობათა ფერდობებზე და უკანასკნელი (ელუვიური) კი წყალგამყოფებზე.

სამეგრელოს ვაკე საკმაოდ ინტენსიური ჰიდროგრაფიული დანაწევრებით ხასიათდება. მდინარეთა უმრავლესობის სათავეები რაიონის გარეშე, მაღალ მთებში მდებარეობს, ხოლო მათი ზოგიერთი შემდინარეები იწყებიან რაიონის ფარგლებში ცალკეული მაღლობებიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეებია:



ტეხური (ერთვის რიონს), ცივი (ერთვის რიონს), ხობისწყალი (ჩადისწყალში), ჭანისწყალი (ერთვის ხობისწყალს), ვაკის ფარგლებში აღნიშნულ მდინარეთა მხოლოდ შუა წელი მდგარეობს, ზემო და ქვემო წელი კი რაიონის გარეშეა.

რადგან რელიეფი აქ არ ხასიათდება დიდი კონტრასტებით, ამიტომ მდინარეთა კალაპოტებიც ნაკლებად არის დახრილი, რის გამოც წყლის დინებაც მდორეა, მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მდინარე ჰკვეთს კირქვებისაგან შემდგარ რომელიმე მაღლობს, იცვლება როგორც ხეობის რელიეფი, ისე დინების სიჩქარე. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მდინარე ტეხური ნოქალაქივთან. დანარჩენ შემთხვევაში ხეობები თითქმის ერთფეროვანია: განიერი და დაბალი, ტალღევის სუსტი დახრილობით.

თითქმის ყველა მდინარულ ხეობას ახასიათებს ტერასები, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ხეობათა ხნოვანებაზე. ძველ ხეობებში ტერასები მეტი რაოდენობითაა, მათ შემდინარეებს კი ტერასების ნაკლები რაოდენობა ახასიათებს. მთავარი მდინარეები (ტეხური) ხობისწყალი, ამ მხრივ თითქმის ერთმანეთის ანალოგიურ მდგომარეობაშია, ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ ცნობები: ¹

№№ რიგ.	მ დ ი ნ ა რ ე	მერეანუ რივე.	I-ლი ტერასი	II ტერასი	III ტერასი
1.	ტ ე ხ უ რ ი	1—2 მ.	8—10 მ.	18—20 მ.	35—45 მ.
2.	ც ი ვ ი	1—2 „	5—8 „	15—18 „	25—30 „
3.	ხობისწყალი	2—3 „	8—10 „	15—18 „	30—35 „
4.	ჭანისწყალი	1—3 „	6—10 „	15—20 „	35—40 „

აქედან ჩანს, რომ ხეობებს, გარდა მერესი ახასიათებს სამი ტერასი, რომელთა შეფარდებითი სიმაღლეები დაახლოებით თანაბარია, განსხვავებები ალბათ გამოწვეულია მით, რომ ცალკეულ ხეობათა ტერასები შავი ზღვის სანაპიროდან სხვადასხვა მანძილზე იქნა გაზომილი და, როგორც ცნობილია, ერთი და იგივე ტერასის შეფარდებითი სიმაღლე შესართავიდან სათავისაკენ მატულობს, რაც ამ შემთხვევაში კუკასიონის ამოწვევის შედეგია.

ხეობებში ყველგან ერთნაირი რაოდენობით არ არის ტერასები წარმოდგენილი, ზოგან ერთია, ზოგან ორი, ცალკეულ შემთხვევებში კი სამივე ტერასი ერთადაა საფეხურებად განვითარებული; გარდა ამისა, ზოგიერთ ტერასს, განსაკუთრებით ძველს, ახასიათებს გართულებანი, მეორადი საფეხურები; ასეთი საფეხურები შემჩნეულ იქნა ტეხურის ხეობის მარჯვენა მხარეზე სოფ. გურძემთან. ამიტომ ტეხურის მესამე ტერასს სიმაღლის ვარიირება მიეცით 35-45 მ.

შემოაღნიშნული ცნობებით დასტურდება ყველა მდინარულ ხეობათა ტერასების მსგავსება სიმაღლის მიხედვით, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მათთვის

¹ ტერასების სიმაღლეები აღებულია ხეობათა სხვადასხვა ნაწილებში, ზოგისათვის შესართავისაკენ, ზოგისაც კიდევ სათავისაკენ.



მივიღოთ საშუალო სიმაღლეები. სამეგრელოს ვაკის დაახლოებით შემოქმედებულია ში ყველა ხეობებისათვის შეიძლება დავადგინოთ ტერასების შემდეგი სიმაღლეები: I ტერასი 10 მ., II ტერასი 17 მ., III ტერასი 35 მ. სამეგრელოს მაღალ მთებამდე აღნიშნული ტერასების შეფარდებითი სიმაღლის ცვალებადობა უმნიშვნელოა, ხოლო მთიან ნაწილში კი მათი სიმაღლე შესამჩნევად მატულობს.

როგორც საერთოდ ცნობილია, მდინარულ ხეობათა განვითარება შედეგია ეროზიისა, რომელიც ორგვარად შეიძლება მიმდინარეობდეს (სიღრმისა და გვერდითი ეროზია). პირველის დროს ხეობა განიცდის გაღრმავებას, ხოლო მეორის შედეგად გაფართოებას. ისეთ ხეობებში, რომელთაც არ დაუსრულებიათ წონასწორობის მრუდის გამომუშავება, ჩვეულებრივად მიმდინარეობს სიღრმის ეროზია; ასეთი ხეობები დამახასიათებელია მთიანი მხარეებისათვის, ვაკე-დაბლობებში კი ხეობებს ან სრულებით აღარ ახასიათებს სიღრმის ეროზია. ან კიდევ იგი ძლიერ სუსტად მიმდინარეობს. სამაგიეროდ გვერდითი ეროზია ასეთ ხეობებში საკმაოდ ინტენსიურია. ზოგიერთ შემთხვევებში ხეობის განვითარების მსულებლობა სწრაფად იცვლება, ეროზია ან ძლიერდება, ან კიდევ სუსტდება. შესაძლებელია ისეთ ხეობებში, სადაც მხოლოდ გვერდითი ეროზია მიმდინარეობდა, დაიწყოს სიღრმის ეროზია, ან კიდევ სიღრმის ეროზიის არსებული პროცესი გაძლიერდეს, ზოგიერთ შემთხვევებში კი, პირიქით, შესუსტდეს. ამ მოვლენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდინარული ხეობების განვითარებისათვის.

ხეობების განვითარებაზე შემოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ორი: 1. ეროზიის ბაზისის აწევ-დაწევა და 2. მდინარის ზემო წელის ვერტიკალური მოძრაობანი. ეროზიული ბაზისის ვერტიკალური მოძრაობის შედეგად ეროზია სუსტდება, ან კი ძლიერდება უკუსვლით, რეგრესიულად, მეორე შემთხვევაშიც ასევე ხდება, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს უშუალოდ მთელი ხეობის სიგრძეზე. მაგ. ეროზიის ბაზისის აწევის დროს სიღრმის ეროზია სუსტდება, დაწევის დროს კი ძლიერდება და რადგან პროცესი სათავისაკენაა მიმართული, ამიტომ ბაზისის მდგომარეობის შეცვლის გავლენა ხეობის ქვემო წელში უფრო გავრცელებულია. მეორე შემთხვევაში კი სათავის ვერტიკალური მოძრაობა მეტ ცვლილებებს გამოიწვევს ხეობის ზემო წელში. სათავის ამოწევა გამოიწვევს ხეობის გაღრმავებას, ე. ი. სიღრმის ეროზიის გაძლიერებას, ხოლო დაწევა, პირიქით, შესუსტებას. პროცესი ამ შემთხვევაში ნახტომისებურად გავრცელებულია. ამ ცვლილებების ინტენსივობა დამოკიდებულია ვერტიკალური მოძრაობის ამპლიტუდაზე.

ზემოაღნიშნულ მოვლენებს დიდი მნიშვნელობა აქვს ტერასების განვითარებისათვის. ზემოხსენებული ფაქტორების გავლენის გარეშე, ხეობის განვითარება ერთფეროვნად მიმდინარეობს, მაგრამ მოხდება თუ არა ეროზიის ბაზისის დაწევა, ან სათავის ამოწევა, ხეობა სწრაფად ღრმავდება, ხოლო მის ფერდობებზე დარჩება საფეხურისმაგვარი ბაქნები ე. ი. ტერასება. თვითეული ასეთი საფეხური მოძრაობის ერთ ციკლს შეეფარდება. ამგვარად ხეობის განვითარებას პროცესი ციკლიურად მიმდინარეობს, — მოძრაობის ციკლის რაოდენობას შეესაბამება ტერასების რაოდენობა.

კონტინენტის ცალკეული ნაწილების ვერტიკალური (ეპიროგენული); მოძრაობა განსაკუთრებით დიდი ამპლიტუდებით ხდებოდა ხოლო მეოთხეულში, ზოგიერთი მკვლევარი ამ მოძრაობას უკავშირებს ყინვარულ პერიოდებს, კერძოდ ამ შეხედულებით გაყინვარების დროს ხდებოდა დაწვევა, ხოლო გაყინვარებათა შორის (ინტერგლაციალურ) პერიოდებში ამოწვევა. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ მდინარულ ხეობებში საფეხურების განვითარების დრო ინტერგლაციალური პერიოდების სინქრონული იქნება, რადგან ტერასების განვითარებისათვის საჭირო იყო ამოწვევა. ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობა მიმდინარეობდა არა მარტო მთიან მხარეებში, არამედ კონტინენტის სხვა ნაწილებშიც, ეს კი იწვევდა ზღვის ტრანსგრესია—რეგრესიებს. პირველ შემთხვევაში ეროზიის ბაზისის ამალღება ხდებოდა, რაც ეროზიას ასუსტებდა, ხოლო რეგრესიის დროს კი ეროზია ძლიერდებოდა და ამას შედეგად ვითარდებოდა ტერასები. ამგვარად, თუ შესაძლებელია ზღვის ტრანსგრესია—რეგრესიების სინქრონიზაცია მთიან მხარეებში (მდინარეთა სათავეებში) ვერტიკალური მოძრაობის პერიოდებთან, მაშინ შეიძლება დაეადგინოთ ზღვის დონის ცვალებადობისა და გაყინვარების პერიოდთა ერთდროულობაც, რითაც შესაძლებელი გახდება მდინარული ტერასების დათარიღებაც. ეს მეთოდი გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა, ა. პენკმა, რომელმაც ხმელთაშუა ზღვას მეოთხეული ტერასები დაუკავშირა მის მიერვე გამოყოფილი გაყინვარების პერიოდებს, და ეპიროგენული მოძრაობის მიმდინარეობას ალპებში. ამის შემდეგ მრავალი სხვა, როგორც დასავლეთ ევროპის, ისე საბჭოთა მკვლევარი სარგებლობს აღნიშნული მეთოდით მეოთხეული ნალექების დათარიღებისათვის. დეპერემ (4) მოახდინა ხმელთაშუა ზღვის ტერასების სინქრონიზაცია მდინარულ ტერასებთან და გაყინვარების პერიოდებთან მდ. რონას და გარონას მაგალითზე. მის მიერ მოცემულია სინქრონიზაციის შემდეგი სქემა:

№№	ზღვის ტერასები	მდინარული ტერასები	გაყინვარება
1.	სიცილიური (90—100)	90—100 მ.	გიუნცური
2.	მილაცური (55—60 მ.)	55—60 მ.	მინდელური
3.	ტირენული (30—35 მ.)	30 მ.	რისული
4.	მონასტრული (18—20 მ.)	18—20 მ.	ვიურმული

შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ შავმა ზღვამ მეოთხეულში განიცადა რამდენიმეჯერ ნაპირების პერიოდული აწევ-დაწვევა. ჩვეულებრივად, ამოწვევის დროს წყალი მტკნარდებოდა, ხოლო დაწვევით მარილიანობა მატულობდა, ამ მოვლენას მკვლევარები სხვადასხვა მიზეზით ხსნიდნენ, ზოგი აღნიშნავდა, რომ ინტერგლაციალურ პერიოდებში ყინვარების უკან დახვევა იწვევდა დიდი რაოდენობის მტკნარი ყინვარული წყლის დაგროვებას შავი ზღვის აუზში, სხვა ავტორები დაწვევას უკავშირებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მლაშე წყლის გადმოდინებას შავ ზღვაში ბოსფორ-დარდანელით. ამ უკანასკნელ აზრს



განსაკუთრებით იცავს ა. დ. არხანგელსკი (2), იგი ამტკიცებს, რომ მდინარის აუზის განვითარების ისტორია იყოფა მეოთხეულში რამდენიმე პერიოდად, კერძოდ, ორ გამტკნარებისა და გამლაშების პერიოდად. პირველი მტკნარი აუზი ცნობილია ძველევქსინურის სახელწოდებით, მაშინ შავი ზღვა წარმოადგენდა ჩაკეტილ აუზს, შემდეგ მისმა ნაპირებმა თანდათანობით დაიწიეს, ამით წარმოიშვა ბოსფორ-დარდანელის სრუტეები, რომელთა საშუალებით ხმელთაშუა ზღვის მლაშე წყალმა იწყო დინება შავი ზღვისაკენ და გამოიწვია მისი წყლის თანდათანობით გამლაშება. გამლაშების პერიოდი ავტორმა გაყო ორ ქვეპერიოდად უზუნღარულად, როდესაც წყალს ძლიერი სიმლაშე არ ახასიათებდა და კარანგატულად, როდესაც მარილიანობა ძლიერ გაიზარდა, თვითუფ ამ პერიოდს ახასიათებს საკუთარ ფაუნა, მაგ. ძველი ევქსინური მტკნარი აუზის დამახასიათებელი: *Didacna crassa* (D. ponto—caspia), *Monodacna pseudocardium* Deel. და სხვა. უზუნღარულ აუზში ფაუნა თანდათან შეიცვალა, ჯერ ნახევრად მლაშე წყლის დამახასიათებელი წარმომადგენლებით. *Cardium edule* და სხვა შემდეგ კარანგატულ პერიოდში უფრო მლაშე წყლის ფაუნით *Retusa trunculata*, *Modiola adriatica*, *Cardium tuberculatum* და სხვა.

კარანგატული პერიოდის ბოლოს ნაპირებმა ხელახალი ამოწევა განიცადეს, ამით ხმელთაშუა ზღვასთან კავშირი შეწყდა და შავი ზღვა ისევ იქცა ჩაკეტილ აუზად. ეს დრო ცნობილია ახალევქსინური პერიოდის სახელწოდებით, ამგვარი სახელწოდება ამ პერიოდმა იმიტომ მიიღო, რომ მაშინდელი შავი ზღვა ანალოგიური იყო ძველევქსინურისა. მლაშე წყლის ფაუნა ისევ შეიცვალა გამტკნარებული წყლის ფაუნით, როგორცაა: *Adacna plicata*, *Dreissusia polymorpha* და სხვა. ახალევქსინური პერიოდი თავდება ისევ დაწვეით და ხმელთაშუა ზღვასთან შეერთებით, ამით სიმლაშემ ისევ მოიმატა, ამასთან დაკავშირებით ფაუნაც შეიცვალა (ძველი შავი ზღვის აუზი). ამის შემდეგ თანდათანობით განვითარდა თანამედროვე შავი ზღვა, განსაკუთრებულ ცვლილებს ადგილი აღარ ჰქონია. უნდა აღინიშნოს, რომ ა. დ. არხანგელსკიმდე შავი ზღვის აუზის განვითარების შესახებ კვლევა აწარმოვა ანდრუსოვმა, კერძოდ, მან გამოყო ძველი და ახალი ევქსინური პერიოდები, ხოლო უზუნღარულ-კარანგატული მისთვის უცნობი იყო.

მლაშე და მტკნარი აუზების მორიგეობას გამოჰყოფენ ფაუნების სახელწოდებით, აქედან ორი გამლაშების პერიოდი ცნობილია ხმელთაშუა ზღვის ფაუნად. ხოლო გამტკნარების პერიოდები ორ „კასპიურ“ ფაუნად. როგორც დადასტურდა შავი ზღვის აუზს კავშირი ჰქონდა ხოლმე გარდა ხმელთაშუა ზღვის აუზისა კასპის აუზთან მანიჩის სრუტის (ხეობის) საშუალებით, მაგრამ ეს კავშირი მყარდებოდა ხოლმე შავი ზღვის არა გამლაშების პერიოდებში, არამედ გამტკნარების დროს, მაგ. ძველევქსინური აუზი დაკავშირებული იყო ზეზარულ (კასპის) აუზთან, ხოლო ახალევქსინური ხვალისსურთან. ამის შედეგად კასპის ჩაკეტილ მტკნარ აუზში შავი ზღვიდან გადავიდა მლაშე წყლის ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგ. *Cardium edule*.

ზემო აღნიშნულით დასტურდება, რომ შავი ზღვის აუზის განვითარება სრულიად დამოუკიდებლად არ მიმდის

ნარეობდა, კერძოდ, განსაკუთრებით დადი დაასველებული ხმელთაშუა ზღვასთან კავშირმა, რომლის შედეგად ზღვა იმყოფებოდა ხოლმე დონის საერთო მოძრაობის გავლენის ქვეშ.

ამით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხმელთაშუა ზღვის ბედს რამდენიმე დღეობდა შავი ზღვაც. ამიტომ მათი სანაპიროების განვიჯარების ისტორია ნაწილობრივ ანალოგიურ მდგომარეობაში უნდა იყოს.

საბჭოთა მკვლევარებმა, შეისწავლეს რა შავი ზღვის ნაპირები, დაადასტურეს მეოთხეული ხნოვანების რამდენიმე ტერასი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის სანაპიროები, სადაც ყველაზე კარგად არის შენახული ტერასები. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი ტერასების რაოდენობის, სიმაღლისა და მათი დათარიღების საკითხში. ჩვენ მოვიყვანთ უკანასკნელი გამოკვლევის შედეგად მიღებულ ცნობებს:

1) ა. მოსკვიტინი (6) შავი ზღვის სანაპიროზე მდ. მზიმთას ქვემო დინებასთან გამოჰყოფს რამდენიმე ტერასს: 1) 16—20 მ. 2) 34—43 მ. 3) 55—64 მ. 4) 87—94. მ.

2) ბ. დობრინინი (3) ახალ გაგრაში აღნიშნავს: 1) 5—6 მ. 2) 13—14 მ. 3) 20—24 მ. 4) 45—48 მ.

3) ა. კოზლოვი (5) კელასურთან: 1) 5—6 მ. 2) 8—10 მ. 3) 20—24 მ. 4) 45—48 მ.

4 ე. შანცერი (7) შავი ზღვის აფხაზეთის ნაპირებზე: 1) 4—8, 2) 12—17 მ. 3) 33—40 მ.

რამდენადაც შავი ზღვის სანაპირო ტერასების სიმაღლე ნაპირების ვერტიკალური მოძრაობის ამპლიტუდაზე იყო დამოკიდებული, იმდენად შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების ხეობათა ქვემო წელში არსებული ტერასებიც ხსენებული მოძრაობების შესატყვისი იქნება. ამგვარად კავშირის დადგენა, როგორც ზემოდ ითქვა, შესაძლებელი გახდა ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, რის მაგალითი მოგვცეს, პენკმა და დეპერემ. მოსკვიტინმა მდ. მზიმთას 15—20 მ. ტერასი დაუკავშირა ასაკობრივად შავი ზღვის 16—20 მ. ტერასს. ასეთივე პარალელიზაცია შეიძლება მოვახდინოთ აფხაზეთისა და სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასებისთვისაც. ასე მაგ. სამეგრელოს ვაკის მდინარულ ხეობათა 17 მ. ტერასი სინქრონულია შავი ზღვის ამავე სიმაღლის ტერასისა, რომელსაც შანცერი აკუთვნებს შავი ზღვის ახალევქსინური აუზის პერიოდს. სამეგრელოს ვაკის უფრო ძველი (35 მ.) ტერასი შეიძლება შეფარდებულ იქნას შავი ზღვის 33—40 მ. (შანცერის) ტერასთან, რომელსაც ავტორი უკავშირებს შავი ზღვის კარანგატულ პერიოდს. არზანგელსკის (1) აზრით, შესაძლებელია, რომ უზუნდარულ და კარანგატულ პერიოდებს შორის მოხდა შავი ზღვის ნაპირების განსაზღვრული ამპლიტუდით ამოწევა, ამიტომ 35 მ. ტერასი შეიძლება მიეკუთვნოს არა კარანგატულს, არამედ უზუნდარულ-კარანგატულს. რაც შეეხება ყველაზე ახალ-




ვაზრდა ათმეტრიან ტერასს, იგი მიეკუთვნება ახალი ეცესი-
 ნური პერიოდის შემდგომ დროს, როდესაც, თუმცა ^{მოსკვიტინმა} მასშტაბით, მაგრამ მაინც ხდებოდა შავი ზღვის აუზის დო-
 ნის ვერტიკალური რყევა.

მოსკვიტინმა (6) აღნიშნა შავი ზღვის ტერასების ხმელთაშუა ზღვის ტე-
 რასებთან სინქრონულობა, კერძოდ, შავი ზღვის 16—20 მ. ტერასი დაუკავ-
 შირა დებერეს მონასტრულ ტერასს, 34—43 მ. ტერასი ტირეაულს და ა. შ.
 ზემოაღნიშნულის საფუძველზე სამეგრელოს ვაკის ტერასე-
 ბიც შეიძლება სინქრონული გავხადოთ ხმელთაშუა ზღვის
 ტერასებთან, ისე რომ ჩვიდმეტმეტრიანი ტერასი იქნეს
 მონასტრულის ანალოგიური, ხოლო ოცდახუთმეტრიანი
 კი—ტირენულისა.

ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის ზღვიურ და მდინარულ ტერასებს აკავ-
 შირებენ ხოლმე აგრეთვე გაყინვარების პერიოდებთან, რის საშუალებასაც იძ-
 ლევა ძველი ყინვარების მიერ დატოვებული სტადიალური მორენების შეს-
 წავლა.

აღმოჩნდა, რომ ხმელთაშუა ზღვის მონასტრული (18—20 მ.) ტერასი
 მდინარული ტერასების საშუალებით ეფარდება ვიურმულ გაყინვარებას, ტი-
 რენული კი რისულს, იგივე ირკვევა შავი ზღვის ნაპირისთვისაც, მაგ. მზიმ-
 თას 15—20 მ. ტერასი, რომელიც მოსკვიტინმა დაუკავშირა შავი ზღვის
 16—20 მ. ტერასს (ანუ მონასტრულს), ეფარდება იმავე მდინარის ზემო წელ-
 ში ვიურმულ გაყინვარებას, ხოლო 34—43 მ. რუსულს. ამიტომ სამეგრე-
 ლოს ვაკის მდინარული ტერასებიც შეიძლება განისაზღვ-
 როს შემდეგნაირად: 17 მ. ვიურმულად, 35 მ. რისულად,
 ხოლო 10 მ. პოსტვიურმულად, ან შეიძლება ეფარდება ვიურ-
 მული ყინვარის უკანდახვეის ერთ-ერთ სტადიას.



სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასები

დ ა ს კ 3 5 ა :

ზემონათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეგრელოს ვაკის მდინარული ხეობების ისტორია დაკავშირებული იყო შავი ზღვის აუზის განვითარებასთან და ეპეიროგენულ მოძრაობასთან. ხეობებში ტერასების რაოდენობა ადასტურებს ეროზიული ციკლის პერიოდულობას. თვითეულ ეროზიულ ციკლს ეფარდება თითო ტერასი, ხოლო ტერასების სიმძლევ განსაზღვრავს ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის ინტენსივობას. სხვადასხვა შეკვლევარების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მეზობელი რაიონების (მაგ. აფხაზეთის) განვითარებაც მიმდინარეობდა ანალოგიურ პირობებში, ამიტომ შესაძლებელი გახდა სამეგრელოს ვაკის და აფხაზეთის ტერასებს შორის მოგვეხდინა ასაკობრივი პარალელიზაცია.

შავი ზღვის კავკასური სანაპირო პერიოდულად განიცდიდა ვერტიკალურ მოძრაობას. რომელიც დღესაც გრძელდება, თუმცა ნაკლები სიძლიერით. ეს კი გავლენას ახდენს მასთან დაკავშირებულ ჰიდროქსელის განვითარებაზე.

მოცემული ცნობებით შესაძლებელი ხდება სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასების დათარიღება და საერთოდ ჰიდროქსელის ასაკობრივი დადგენა, რაც წარმოადგენს რელიეფის განვითარების ისტორიის განსაზღვრისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ზემოაღნიშნული შეიძლება პირობითად გამოვხატოთ შემდეგი სქემით:

№ რიგ.	სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასების სიმძლევ	შავი ზღვის ტერასებთან შეფარდება	ხმელთაშუა ზღვის ტერასებთან შეფარდება	გაყინვარების პერიოდებთან შეფარდება	ტერასების ასაკის პირობითი აღნიშვნა
I	10 მ.	4—8 მ.	—	პოსტ-ვიურმული	Q ₂
II	17 მ.	ახალეგესინური 12-17 მ.	მონასტრული 18-20 მ.	ვიურმული რისული	Q _{1m} Q _{1r}
III	35 მ.	უზუნლარულ-კარნგატული 33-40 მ.	ტირენული 30-35		

Гр. Девдариани

К датировке речных террас Мегрельской равнины

(резюме)

Мегрельская равнина представляет предгорную часть южных склонов Западного Кавказа и расположена между следующими границами: на севере граничит Мегрельский хребет, на юге доходит до линии железной дороги Тбилиси-Сухуми, на западе она постепенно суживаясь, сливается с предгорными частями Абхазского Кавказа, на востоке переходит в бассейн р. Цхенис-Цхали.



Поверхность Мегрельской равнины характеризуется холмистым рельефом, расчлененным речными долинами на ряд параллельных возвышенностей, являющихся водоразделами главных рек равнины. Поверхность всей равнины имеет общий наклон к западу и югу, куда и направляются главные реки. Краевые части равнины (кроме западной) выше центральной части, высота последней редко превышает 200-250 м. а первых достигает 400-500 м. (высота гор Урта и Эки до 500 м.).

Самыми древними коренными породами района являются меловые, распространение которых ограничено. Они слагают главным образом краевые горы, большая же часть равнины сложена третичными отложениями разного возраста, начиная от эоцена, кончая верхним плиоценом. Коренные породы почти везде прикрыты четвертичными отложениями аллювиального, делювиального и эллювиального происхождения. В тектоническом отношении Мегрельская равнина представляет большую синклинальную мульду, с антиклинальными краями.

Главными речными артериями равнины являются на востоке р. Техури (приток Риони), к западу протекает р. Циви (приток Риони), Хобис-Цхали (непосредственно впадает в Черное море) и Чанис-Цхали (приток Хобис-Цхали).

В долинах этих рек можно наблюдать следующие террасы:

№№	Река	Пойма	I терраса	II терраса	III терраса
1.	Техури	1—2 м.	8—10 м.	18—20 м.	35—45 м.
2.	Циви	1—2 м.	5—8 м.	15—18 м.	25—30 м.
3.	Хобис-Цхали	2—3 м.	8—10 м.	15—18 м.	30—35 м.
4.	Чанис-Цхали	1—3 м.	6—10 м.	15—20 м.	35—40 м.

Указанная между террасами незначительная высотная разница вызвана тем, что террасы эти измерены в разных частях долин. Высота террас обычно повышается по направлению верховьев, что является результатом периодического поднятия Большого Кавказа. Эти изменения особенно резко бросаются в глаза после перехода долин в высокогорную часть. Кроме того, не по всей долине можно проследить каждую террасу, т. к. она смыта последующей эрозией и другими факторами и сохранилась только в отдельных частях.

Меняется также ширина террас. Самая широкая, из вышеуказанных 8-10 м. терраса иногда достигает нескольких сот метров ширины, и самая высокая в несколько десятков метров, в большинстве же случаев только лишь нескольких метров.

Для всех главных долин Мегрельской равнины можно установить в среднем следующие высоты террас:

Пойма—1 м. I терраса 10 м. II терраса—17 м; III терраса—35 м.

Для того, чтобы установить возраст указанных речных террас, прежде всего нужно принять во внимание вертикальное движение Кавказского хребта и вековые колебания черноморского бассейна в четвертичное время. Сопоставление морских четвертичных террас с речными террасами дает возможность синхронизации этих последних с периодами оледенения. Целый ряд западноевропейских и советских исследователей достигли этой цели, при исследовании морских и речных террас средиземноморского и черноморского побережий.

Здесь можно отметить ряд исследователей черноморского побережья Кавказа, установивших на основе старых исследований высоты и возраст Черноморских террас. Таковыми являются напр. А. Москвитин, Б. Добрынин, А. Козлов, Е. Шанцер и др. которые пришли к заключению, что черноморские морские террасы по возрасту можно сопоставить с речными террасами и с периодами четвертичного оледенения. Некоторые из них даже поставили вопрос о синхронизации черноморских террас со средиземноморскими террасами по классификации Депере.

На основе всего этого возраст исследованных нами речных террас Мегрельской равнины можно выразить следующим образом:

№№	Высота террас Мегр. равнины	Сопоставление с черноморскими террасами	Сопоставление со средиземноморскими террасами (по Депере)	Сопоставление с периодами оледенения	Условное обозначение возраста террас.
I.	10 м.	4—8 м. (?)	—	Поствюрмское	Q_3
II.	17 м.	Ново-эвксинск. 12—17 м.	Монастирская 18—20 м.	вюрмское	Q_{1mw}
III.	35 м.	Узунларо-Карангатский 33—40 м.	Тиренская 30—35 м.	Рисское	$\ddot{O}ir$

გ ა მ რ უ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ტ უ რ ა

Использованная литература

1. Архангельский А. Д.—Краткая геологическая история Черного моря. II конференция А. Ч. О. Е. 1932 г.
2. Его же —Геологическое строение и история развития Черного моря. Ак. Наук СССР, 1938 г.
3. Добрынин Б. Ф., —Террасы Абхазии (геоморфологический очерк) Ученые записки Моск. Университета вып. V, стр. 130, 1936 г.
4. Deperet ch La classification de Quarternaire et sa correjatio avec les Niveaux Prehistoriques, Compt. Rend. sos. geol. de France, 1921.
5. Козлов А. Л. —Предварительный отчет о геологических исследованиях в б. Сухумском уезде в 1929 г. Изв. Вс. Геол. Разв. Об. 1932 г. I, вып. 68.
6. Москвитин А. И. —Ледниковые образования Красной поляны Террасы р. Мзимты и части черноморского побережья Кавказа. Бюлл. Ком. по изуч. четвертичн. периода, № 4, Изд. Ак. Наук СССР, 1938 г.
7. Шанцер Е. В. —Условия залегания и геологичесая датировка абхазского палеолита. Бюлл. Ком. по изуч. четврт. периода. № 6—7, изд. Акад. Наук СССР, 1940 г.



ლ. მარუაშვილი

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების „წკვარამები“.

წინასწარი ცნობა

1. კარსტული რაიონების ერთერთ გეომორფოლოგიურ თავისებურობას წარმოადგენს რელიეფის „უარყოფითი“, ე. ი. ჩაზნექილი, ყოველმხრივ დახშული ფორმები, რომლებსაც სამხრეთ-სლავურად „Долина“-ები ეწოდება. ქართულ ლიტერატურაში ზემოაღნიშნული ფორმები მეტწილად „კარსტული ძაბრების“ სახელით იხსენება; ამავე დროს, დასავლეთ საქართველოს კარსტული რაიონების მოსახლეობას „долина“-ების აღსანიშნავად აქვს განსაკუთრებული ტერმინი „წკვარამი“, რომლის საყოველთაო ხმარებაში შემოღება სასურველად მიგვაჩნია; ეს მით უფრო საჭიროა, რომ ტერმინი „კარსტული ძაბრი“ შეესაბამება წკვარამების მხოლოდ ერთ ტიპს (რუსული „Воронка“) და არ გამოხატავს ზოგადად „долина“-ების ცნებას.

წკვარამები კარსტული მხარეების ბუნებრივ ლანდშაფტის ფრიად თავისებურ ელემენტებს წარმოადგენენ. ისინი თავიანთი ბუნებრივი პირობების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან მათ შორის მდებარე სივრცისაგან. წკვარამების თავისებურობა გამოვლინებულია მათ გეოლოგიურ აგებულებაში, მორფოლოგიაში, ჰიდროლოგიურ რეჟიმში, მიკროკლიმატურ თვისებებში, ნიადაგებში, ბიოცენოზებში. ამიტომ აღნიშნულის სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისითაც წკვარამები განსაკუთრებული თვისებების მქონე ადგილებს წარმოადგენენ.

საქართველოში წკვარამების, ისევე როგორც საერთოდ კარსტული მოვლენების ფართო გავრცელების არეს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის) ფარგლებში მდებარე, კავკასიონის დასავლეთი ნაწილის სამხრეთული კალთები, სადაც ცარცის პერიოდის, ზემო-იურული და ქვემო-პალეოგენური ნალექი წყებები უმთავრესად კარბონატული ქანებით არის წარმოდგენილი. ეს არე ზოლის ზახით მიჰყვება კავკასიონის კვერნაქებს და ბევრგან შექრილია უფრო მაღალ ჰიფსომეტრიულ და გეომორფოლოგიურ ზონებშიც. ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც ამ კარსტულ ზოლში მდებარეობს.

1938 წ. შემოდგომიდან 1940 წ. გაზაფხულამდე ჩემს მიერ, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, ჩატარებული იქნა გეომორფოლოგიური დაკვირვებანი ქუთაისისა და



წყალტუბოს რაიონების კარსტულ კომპლექსზე. კარსტული რელიეფის სხვა ფორმათა შორის ყურადღება ექცეოდა წევარამებსაც, რომლებიც აღნიშნული რაიონების ფარგლებში ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინც ჯერ არ ყოფილან სპეციალური კვლევის საგნად.

2. ვინაიდან კარბონატული წყებები ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების ტერიტორიის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილებშია განვითარებული, ამიტომ წევარამები და სხვა კარსტული ფორმებიც გვხვდება არა მთელ იმ სივრცეზე, რომელიც უკავიათ ზემოხსენებულ რაიონებს, არამედ მის გარკვეულ უბნებშიც. მდ. რიონის ხეობა ჰყოფს აქაურ კარსტს ორ რაიონად: 1. დასავლეთური რაიონი, რომლის უმეტესი ნაწილი წყალტუბოს რაიონშია, დანარჩენი ნაწილი კი ქუთაისის რაიონში და 2. აღმოსავლეთური ნაწილი, რომელიც ქუთაისის რაიონის აღმოსავლ. ნაწილიდან გადადის ტყიბულისა და ჩხარის რაიონებში. ქუთაისის ჩრდილოეთით ეს ორი კარსტული რაიონი გაყოფილია ერთმანეთისაგან შუა-იურული პორფირიტული წყების გაშიშვლების ზონით, რომელშიც გამომუშავებულია მდ. რიონის ხეობა და ტერასები.

იმ მცირე ფართობზე, რომელიც უკავია ზემოხსენებულ ორ კარსტულ რაიონს ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების ფარგლებში, თავმოყრილია სხვადასხვაგვარი წევარამები, რომელთა საერთო რიცხვიც აქ, მიუხედავებითი გამოაყვარებით, 1000 უნდა აღემატებოდეს¹. ისინი გვხვდებიან თითქმის ყველგან, სადაც კირქვები გაშიშვლებულია. წევარამების ნახვა შეიძლება როგორც ვაკე ადგილებში (მაგალ., სოფ. ცხენკურის, ყუმისთავის, ხომულის, ჭოგნარ-ნაგარევის მიდამოებში), ისევე მაღლობთა დახრილ ფერდობებზე, როგორცაა სათათლის და გელათის მაღლობები. კარსტული ძაბრები და ქები მოიპოვება თვით ქ. ქუთაისის ფარგლებშიც.

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებში არსებული წევარამები დახასიათდებიან დიდი მრავალფეროვანებით როგორც თავიანთი სიდიდისა და მოყვანილობის, ისევე აგებულებისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის მხრივ. ეს მრავალფეროვანება გამოწვეულია გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების სხვადასხვაობით, აგრეთვე იმ სირთულით, რომელიც ახასიათებდა დაკარსტვის პროცესის განვითარებას კავკასიონის სისტემაში (იხ. ქვემოთ).

წევარამები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. მათი მნიშვნელობა მოსახლეობისათვის ზოგიერთ შემთხვევაში დადებითია, ზოგჯერ კი უარყოფითი. ფხვიერი მასალით ამოვსებული წევარამები წარმოადგენენ საუკეთესო ადგილებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, როგორცაა სიმინდი, კორპის ხე და სხ., ამიტომ ამგვარს წევარამებში ხშირად ხედავთ ნათესებს: პირიქით, ღია წევარამები (განსაკუთრებით ქები და ორმოები) მეტწილად ზიანს აყენებენ მოსახლეობას, ვინაიდან ხიფათს უქმნიან შინაურ პირუტყვს. ამ ხიფათს ებრძვიან: ცდილობენ ამოავსონ ამგვარი წევარამები ფიჩხით, ქვებით, მიწით და სხ. ზო-

¹ აღსანიშნავია, რომ მსხვილ მასტუბაბინ ტოპოგრაფიულ რუკებზეც კი წევარამები იშვიათად არის ხოლმე აღნიშნული.

გიერთ შემთხვევაში წყვარამები ბუნებრივი კანალიზაციის დანიშნულ მსხვილ ასრულებენ.

3. ჩვენთვის ხელმისაწვდომ გეომორფოლოგიურ ლიტერატურაში, სადაც კარსტული რელიეფია აღწერილი, განსხვავებულია წყვარამთა რამდენიმე ტიპი (იხ. ი. ს. შჩუკინის, ი. ედელშტეინის, ა. კრუბერის და სხვათა ნაშრომები) მაგალ., ი. შჩუკინის ცნობილ გეომორფოლოგიის სახელმძღვანელოში მოხსენიებულია წყვარამების შემდეგი ტიპები:

1. ლამბაქისებური წყვარამები (გერმანელი მკვლევარების Schüsselförmige Dolinen);

2. ძაბრისებური წყვარამები (Karsttrichter);

3. ჭისებური ანუ ცილინდრული წყვარამები;

4. ბუნებრივი მალარობები (Schlöte);

5. ვერტიკალური გამოქვაბულები;

(И. С. Шукин, Общая морфология суши; I, გვ. 334)

6. ფხვიერი ქერქის ქვეშ წარმოქმნილი სიღრუვეების ჩანგრევით გაჩენილი წყვარამები (ცვიიჩის Schwemmland dolinen наносные „долины“, იხ. შჩუკინის იგივე ნაშრომი, გვ. 337-338).

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებში გავრცელებულ წყვარამებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გეომორფოლოგიის არსებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ წყვარამთა კლასიფიკაციები არამც თუ არ ამოსწურავენ წყვარამების მრავალფეროვანებას ბუნებაში, არამედ არც აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლების მიხედვითაც უნდა იყოს აგებული ყოველგვარი მეცნიერული კლასიფიკაცია; კერძოდ, წყვარამების არსებულ კლასიფიკაციებში არ არის სრული თანამიმდევრობით გატარებული ისტორიული პრინციპი და არ მოჩანს გენეტიურა კავშირი წყვარამთა სხვადასხვა ტიპებს შორის. ქუთაის-წყალტუბოს რაიონების ტერიტორიაზე არსებულ წყვარამთა სხვადასხვა ტიპების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისტორიულ და გენეტიურ პრინციპის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს უფრო სრული და გარკვეულ კანონზომიერებებისადმი დაქვემდებარებული კლასიფიკაცია, რომლის ცდასაც ჩვეუ ამ წე-რილში ვაქვეყნებთ.

4. წყვარამების კლასიფიცირება შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით მოხდეს, ვინაიდან მათი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა პირობები ფრიად ცვალებადია.

სიდიდის მიხედვით წყვარამები მნიშვნელოვან განსხვავებებს გვიჩვენებენ, ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებში მათი დიამეტრი ცვალებადობს 2-3 მეტრიდან რამდენიმე ასეულ (400-500 და მეტ) მეტრამდე, ხოლო სიღრმე რამდენიმე დეციმეტრიდან რამდენიმე ათეულ მეტრამდე. წყვარამის ჰორიზონტალური სივრცე ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, შეიძლება მიჩნეული იქნეს მისი შედარებითი ხნოვანების საზომად.

მოყვანილობის მიხედვით, წყვარამებს შორის შეიძლება განსხვავებული იქნეს: ლამბაქისებური, ცილინდრული, ძაბრისებური, ელიფსური, ჭისებური და რთული სახეები.



გეოლოგიური აგებულების მიხედვით განირჩევიან: 1. მთლიანად დედაქანებში (კირქვებში) გამომუშავებული, 2. მთლიანად ფხვიერ სუბაერალურ ნალექებში მოქცეული და 3 შერეული აგებულების მქონე წვეარამები.

ჰიდროლოგიური რეჟიმის მიხედვით, წვეარამები შეიძლება დაყოფილი იქნეს შემდეგ ძირითად ტიპებად: 1. წვეარამები, რომლებიც მუდმივად ატარებენ წყალს ზემოდან ქვემოთკენ, ე. ი. ატმოსფეროდან და ზედაპირული ჰიდროგრაფიული ქსელიდან მიწისქვეშა წყლისაკენ, 2. წვეარამები, რომლებიც მუდმივად ატარებენ წყალს ქვემოდან ზემოთკენ, ე. ი. მიწისქვეშა წყლის სათავეებიდან ლითოსფეროს ზედა პირზე, 3. წვეარამები, რომლებიც წყალს ხან ზემოდან ქვემოთკენ ატარებენ (შთანთქავენ), ხან კი, პირიქით, ქვემოდან ზემოთკენ, ამგვარ წვეარამს „ესტაველა“ ეწოდება და 4. ტბიანი წვეარამები, რომლებშიც წყალი არც შთანთქმება, და არც გადმოდის წვეარამიდან, არამედ მონიწილეობს მიწისქვეშა წყლის ჰორიზონტალურ მოძრაობაში. ამგვარი წვეარამები წარმოადგენენ იმ ადგილებს, სადაც მიწისქვეშა წყლის სარკეს „სახურავი ახდილი იქვს“.

ამგვარად, წვეარამების კლასიფიკაციისათვის შეიძლება არჩეული იქნეს მორფოლოგიური, გეოლოგიური ან ჰიდროლოგიური კრიტერიუმი. მაგრამ არც ერთი ცალკე აღებული ამ თვალსაზრისთაგანი დამაკმაყოფილებელ კლასიფიკაციას ვერ მოგვცემს, თუ საკითხს არ მივუდგებით გენეტიურ-ისტორიული თვალსაზრისით. ქუთაის-წყალტუბოს რაიონების ტერიტორიაზე და მათ მეზობელ რაიონებში ჩატარებული დაკვირვებანი საშუალებას იძლევიან ისტორიულ და გენეტიურ პრინციპზე დაყრდნობით, წვეარამების მორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური თავისებურობების გათვალისწინებით, აგებული იქნეს წვეარამთა კლასიფიკაციის შემდეგი სქემა.

5. დასავლეთ საქართველოში, და კერძოდ ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებში განვითარებული ღრუ კარსტული ფორმები შეიძლება, გენეტიური პრინციპის საფუძველზე, დაყოფილი იქნეს სამ ძირითად ჯგუფად, რომელთაგანაც თითოეული შესდგება რამოდენიმე ტიპისაგან.

ჯგუფი I: მარტივი ანუ პირველადი ქანები



ამ ჯგუფს შეადგენენ ისეთი კოროზიული და ჩანგრევითი წვეარამები, რომელთა განვითარების პროცესიც მხოლოდ ერთი ძირითადი ფაზისაგან შესდგებოდა და რომლებშიც ადგილი არ ჰქონია წყალშთანთქმელი „სასულის“ დახშვის შედეგად terra rossa-ს მნიშვნელოვანი მასების დაგროვებას.

მარტივ ანუ პირველად წვეარამებს შორის შეიძლება განსხვავებული იქნეს ტიპები:


- a) კოროზიული ქები (იხ. ნახ. № 1)
- b) კოროზიული ძაბრები (ნახ. №№ 2—6)

c) დედა-ქანების ჩანგრევით წარმოქმნილი ცილინდრული და ელიპსური ან უწყისი ფორმის ორმოები (ნახ. №№ 7—8).


სამივე ტიპის წარმომადგენელთა შორის გვხვდება როგორც უწყლო ისევე, წყლიანი (ტბიანი ან წყაროიანი) წვევარაგები. ტბიანი წვევარაგები, რომელიც კორქების ჩანგრევითაა წარმოქმნილი არის სოფ. ხომულთან კურორტ წყალტუბოს აღმოსავლეთით, ხოლო კოროზიულ ძაბრებში მოთავსებული ტბების ნახვა შეიძლება, მაგ. სს. ნაგარევისა და ჭოგნარის შორის მდებარე-ვაკეზე.




ქები № 1.




ძაბრი № 2 ა.




ძაბრი № 2 ბ.




ძაბრი № 3.




ძაბრი № 4.




დაბლი № 5.



დაბლი № 6.



არბო № 7.



ორმო № 8.

ჯგ. II ამოვსიგული ანუ უმოქმედო ქააკაბი


Terra rossa-თი ამოვსებული წვეარამები, რომელთა სასულებები („პონორები“) დახშულია. მათ შორის შეიძლება განსხვავებული იქნეს:

- ათთქმის ამოვსებული ძაბრები ანუ ლამბაქისებური წვეარამები (ნახ. № 9).
- დამარხული ძაბრები (ნახ. №№ 10—11) წვეარამთა ეს ორივე ტიპი ყოველთვის უწყლოა ხოლმე.

ჯგუფი III ანუ კთული მემრადი (განახლებული) წვეარამები


წარმოიქმნებიან ამოვსებული წვეარამების მემრადი ჩაქცევის შედეგად:

- ორმაგი ანუ ჩადგმული ძაბრი (ნახ. № 12a და 12b)
- ჩაწყობილი ძაბრებანი ანუ რთული წვეარამი (ნახ. № 13).
- ჩარეცხილი ძაბრი (ნახ. № 14)
- დადგმული ძაბრი (ნახ. № 15)




წვეარამი № 9.

ამ ჯგუფის ოთხივე ტიპის წვეარამებიც ყოველთვის უწყლოა.




დაბრეი № 10




დაბრეი № 11.


← 25 M →




დაბრეი № 12ა.




დაბრი № 12 ს.



წვევარამი № 13.



დაბრი № 14.



ძაბრი № 15.

წვეარამების შემოდასახელებული სამი ჯგუფის სახით, ჩვენ გვაქვს ამ ფორმათა ევოლუციის სამი ძირითადი სტადია, რომლებიც კანონზომიერად სცვლიან ერთმანეთს წვეარამის განვითარების პროცესში. მეორე ჯგუფში შემავალი ტიპები წარმოიქმნებიან პირველი ჯგუფის წვეარამებიდან ამ უკანასკნელთა ამოვსების გზით, ხოლო მესამე ჯგუფის შემადგენელი ტიპები ჩნდება მეორე ჯგუფის (ამოვსებული) წვეარამებისაგან, ამ უკანასკნელებში მოთავსებული ფხვიერი მასალის მეორადი ჩაქცევის შედეგად.

ამგვარად, რთული წვეარამის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: I ფაზა. კირქვებში, რომლებიც არ არის ფხვიერი კონტინენტალური ქანების სქელი ფენით დაფარული, ჩნდება კოროზიული ძაბრი ან ჩანგრევეთი ორმო. იგი თანდათანდბით იზრდება (ფართოვდება და ღრმავდება) და, თუ არ მოხდა მისი განვითარების საწყის მომენტებშივე წყალგამტარებელი სასულის დახშვა, იქცევა მნიშვნელოვანი სიდიდის ძაბრად.

II ფაზა. წვეარამის წყმღამტარებელი სასულე იხშობა, რის გამოც მასში იწყება წყლის მიერ ჩამოტანილი ფხვიერი ნალექების დაგროვება.

III ფაზა. წვეარამის ქვეშ მიწისქვეშა კოროზია წარმოშობს სიღრუეებს რომლებიც თანდათან იზრდება. როდესაც ამით წვეარამში მყოფი ფხვიერი ნალექების წონასწორობის პირობები დაირღვევა, ხდება ამ მასალის თანდათანობითი ან უცაბედი ჩაქცევა ზემოხსენებულ სიღრუეებში, რის შედეგადაც ჩნდება მეორადი ორმო ან ძაბრი. ჩაქცევას, ჩვეულებრივად, წინ უძღვის ნიადაგის ზედაპირის ჩაზნექა იმ ადგილში, სადაც უნდა გაჩნდეს წვეარამი. ამგვარი მეორადი წვეარამების გაჩენა ადამიანის თვალწინაც ხდება: მაგალ., სათაფლიას მაღლობზე არის უკანასკნელ წლებში წარმოშობილი რამდენიმე ასეთი წვეარამი, რომელთა გაჩენის მოწმეები არიან სოფ. ბანოჯას მცხოვრებნი. თავისი არსებობის საწყის სტადიებში, მეორადი ჩანგრევეთ წარმოქმნილი წვეარამები დახასიათდებიან ცილინდრული მოყვანილობით (თითქმის ვერტიკალური კედლებითა და ბრტყელი ფსკერით), მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში ატმოსფერული წყალი კედლებიდან ფხვიერი მასალის ჩამორეცხვითა და ფსკერზე დაგროვებით წვეარამს კონუსურ (ძაბრისებურ) ფორმას აძლევს.



მეორადს ჩაქცევას მეტწილად შედეგად მოსდევს წვეარამის მკვლევართა რებელი სასულის ხელახლად გახსნა, რის გამოც წვეარამში მოთავსებული ფხვიერი მასალა განიცდის ჩარეცხვას და ჩატანას სასულეში. საბოლოოდ, თითქმის მთელი ფხვიერი მასალა ჩაირეცხება კირქვის ნაპრალებში და წარმოიშობა „ჩარეცხილი ძაბრი“.

წვეარამების განვითარების ზემომოტიანილი სქემა გამომუშავებული იქნა ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების, აგრეთვე მათი მოსაზღვრე მხარეების რამდენიმე ასეულ წვეარამზე უშუალო დაკვირვების შედეგად. სამწუხაროდ, წვეარამების აგებულების გაცნობა საკმაო სიძნელეს წარმოადგენს იმის გამო, რომ წვეარამის ყველაზე უფრო საინტერესო და დამახასიათებელი ნაწილები იშორად დაფარულია ფხვიერი ნალექებითა და ხშირი მცენარეულობის ტევრებით, რომლებიც მათ ადამიანის თვალისათვის მიუწვდომლად ხდიან. წვეარამის მთლიანი ჭრილის შესწავლა იშვიათად ხერხდება. ამიტომ წვეარამების განვითარების პროცესში არის ჯერ კიდევ სიბნელით მოცული დეტალები, რომლების ასახსნელად ხანდახან დედუქციის დახმარებაც ხდება საჭირო. მაგალითად, წვეარამთა სასულეების დახშვისა და კვლავ გახსნის მექანიზმი, რომელსაც ქვემოთ შევხებით, ჯერჯერობით მხოლოდ აპრიორულად შეიძლება იქნეს განმარტებული.

6. ყურადღებას იპყრობს ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებში წვეარამთა ზემოაღნიშნული გენეტიური ჯგუფების გავრცელების თავისებური ხასიათი, სახელდობრ მათი ტოპოგრაფიული ლოკალიზაციის ფაქტი.

მარტივი ანუ პირველადი წვეარამები გავრცელებულია ჩვენი რაიონების შედარებით დაბლობ ადგილებში, რომლებიც დასერილია მხოლოდ მცირე სიღრმის მქონე ეროზიული ფორმებით (მდინარეთა ხეობებით, ხეუბითა და მშრალი ლეღებით) და, ამის გამო, დახასიათდება მიწისქვეშა წყლის დონის სიახლოვით ტოპოგრაფიული ზედაპირისადმი (მიწისქვეშა წყლის სარკე, ქებისა და სხვა ნიშნების მიხედვით, მდებარეობს 10—15 მ და ხშირად ნაკლებ სიღრმეშიც). პირიქით, მეორე და მესამე ჯგუფის (ამოვსებული და განახლებული) წვეარამები გვხვდება უფრო მაღლობ ადგილებში, რომელთა ზედაპირიც ეროზიული ფორმების ტალღეებთან შედარებით საკმაოდ დიდ სიმაღლეზე მდებარეობს. ხოლო მიწისქვეშა წყლის სარკე დიდ (ზოგჯერ 40-50მ და მეტს სიღრმეშია.

ამ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული შრომები თავის დროზე ბევრ ახალსა და საინტერესო მასალას შეიცავდნენ, მაგრამ განვლილი პერიოდის განმავლობაში გეოლოგიურ მეცნიერებათა წინსვლის გამო, აღნიშნულ მკვლევართა მონაცემები არ შეიძლება იდგნენ თანამედროვე გეოლოგიის სიმაღლეზე. მეორეს მხრივ ზოგიერთ მკვლევარის (მეფერტი და სხვ.) მიერ წარმოებული დაკვირვებები ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო არამოხდენილი ტექტონიკური წარმოდგენები ამახინჯებს ბუნებრივ მოვლენათა კანონზომიერებას. ეს გარემოება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგს გარკვეული სიძნელის წინაშე აყენებდა. საჭირო იყო ამ რაიონების გეოლოგიური შესწავლა თავიდან ჩატარებულიყო. ამ მიზეზ და პასუხსაგებ საქმეს ხელი მოჰკიდა ალ. ჯანელიძემ და შეიძლება ითქვას წარმატებით შეასრულა.

აღნიშნული შრომა სერიოზულ რეცენზიას მოითხოვს. ეს საქმე ძნელი და პასუხსაგებია. ნაშრომი რუსულ ენაზეა გამოცემული, რის გამოც ზედმეტი არ იქნება ამ რეცენზიაში მოკლედ შევეხოთ ნაშრომში განხილულ ძირითად საკითხებსაც, რომ ისინი ქართველ მკითხველთათვის უფრო მისაწვდომი გახდეს.

სარეცენზიო ნაშრომი შემდეგ ნაწილებს შეიცავს: რაიონის გეოლოგია (სტრატეგრაფია და ტექტონიკა, ტრანსგრესიები და რეგრესიები, ოროგენეტიკული ფაზისები, ვულკანურ მოქმედებთან ფაზები, რაჰის სინკლინი), მეწყრული მოვლენები, გეომორფოლოგია, სასარგებლო ნამარხები და ბოლოს მოცემულია ზოგიერთ ჭრილების და მარშრუტების აღწერა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი თავი (მარშრუტების აღწერა) საერთოდ იშვიათად ერთვის ხოლმე გეოლოგიურ ნაშრომებს, რაც მართებულად არ ჩაითვლება. მარშრუტებისა და ჭრილების აღწერა ფაქტობრივ მასალის რეგისტრაციას შეიცავს და მკითხველს გამოყვანილ დასკვნების შემოწმების საშუალებას აძლევს. ამ მხრივ ავტორის შრომა უეჭველად ყურადღებას იქცევს.

სტრატეგრაფიულ ნაწილში განხილულია ცალკეული სტრატეგრაფიული ერთეულები. წინააღმდეგ ძველი მკვლევარებისა—ავტორს თითოეული სტრატეგრაფიული ერთეული ზუსტად აქვს განსაზღვრული და უმეტეს შემთხვევაში შესაფერისი ფაუნით დათარიღებული.

ყველაზე ძველი ნალექები ოკრიბაში წარმოდგენილია ბაიოსის პორფირიტული წყებით, რომელიც უწყვეტ ზოლად ვრცელდება სამხრეთ-ოსეთიდან აფხაზეთამდე, აქვს 2000 მ-ზე მეტი სიმაღლერე და სასარგებლო ნამარხებიდან შეიცავს ბარიტს. ამ წყების დეტალურ გეოლოგიურ შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ეს ნალექები დიდი ხნის წინედ იყო გამოყოფილი (სიმონოვიჩი 1873 წლ.), და მას ზედა იურის პსეფიტურ წყებას უწოდებდნენ; სწორად განიხილავენ მას როგორც ზღვისქვეა ვულკანური აქტივობის შედეგათ წარმოშობილ წყებას და მის ასაკს განსაზღვრავდნენ როგორც კიმერიჯულს. შემდეგში ამ წყებასა და ფერად წყებას აერთებდნენ (სიმონოვიჩი) და ზედა ოქსფორდულად სთვლიდნენ. ამჟამად დროს ოკრიბის გარეშე, რაჰაში და სამხრეთ-ოსეთში მას მაგმატურ წყებად განიხილავდნენ. ამ შეხედულებას ყველა შემდეგი მკვლევარი იზიარებდა.

1925 წელს ალ. ჯანელიძის მიერ დასაბუთებული იქნა, რომ რაჰის „პორფირიტები“ წარმოადგენს დანაოქებულ დანალექ-ვულკანოგენურ წყებას, რომელიც გრძელდება დასავლეთით ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის გასწვრივ უწყვეტ ზოლად და ზუბისა და ოკრიბის ანალოგიურ წყებებს უშუალოდ ებმის. მაშინ უწოდა ავტორმა ამ ნალექებს „პორფირიტული წყება“ და სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით მისი ასაკი, როგორც ბაიოსური განსაზღვრა. შემდეგში ავტორის ეს შეხედულება მთლიანად იქნა დადასტურებული (მ. ფერტი, კახაძე).

დასაკლეთ ევროპაში გამოყოფილი ბაიოსის ზონებიდან პორფირიტულ წყებაში დადგენილია სამი ზონა:

- | | |
|-------------------------------|------|
| <i>Garantia garantiana</i> -ს | ზონა |
| <i>Witchellia Romani</i> -ს | „ |
| <i>Emileia Sauzei</i> -ს | „ |

მეოთხე *Witchellia laeviscula*-ს ზონის საკითხი ჯერჯერობით ღიათ არის დარჩენილი, მაგრამ სტრატეგრაფიული მოსაზრებებით შეიძლება ითქვას, რომ

პორფირიტული წყების ასაკის ქვედა საზღვარი ბაიოსურს არ სცილდება, ამოწმებული წყების ზედა საზღვარი არსებული მასალების მიხედვით აღწევს ზედა ბაიოსურამდე და ბათურში არ გადადის.

არა ნაკლებ საინტერესო სტრატეგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს ოკრიბის ბათური სართული. ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის საბადოები ამ ნაღველებშია მოქცეული. წყება ორ ნაწილად იყოფა: ქვევით ფიქლების წყება და ზევით ნახშირიანი წყება (უშუალოდ ქვანახშირის შემცველი).

ფიქლების წყება ადრევე იყო გამოყოფილი (სიმონოვიჩი) და მის ასაკს ლიასურად განსაზღვრავდნენ. ამავე შეხედულებას იზიარებდნენ სხვა მკვლევარებიც (მაგ. ფურნიე). შემდეგში წყებას უკვე დოგერულად სთვლიდნენ (კონიუშევსკი), უკანასკნელ დროს მეფერტი ამ წყებას ქვედა ბათურად სთვლის.

ნახშირიანი წყებამ შიგ არსებული სამრეწველო მნიშვნელობის ნახშირის საბადოს არსებობის გამო ადრევე მიიქცია გეოლოგთა ყურადღება. ეს ორი წყება (ფიქლებისა და საკუთრივ ნახშირიანი) ერთმანეთში სრული თანდათანობით გადადიან. ორივე აშკარად რეგრესიულ ხასიათს ატარებს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს უპირველესყოვლისა ნაღველების ლოთოლოგიური ხასიათი: თიხები ზევით გადადიან წვრილმარცვლოვან ქვიშაქვებში, რომელსაც მოყვება მსხვილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვები და მიკროკონგლომერატი. სულ ზევით კი ამ წყებას გრანიტის ნაგორები ქვებიც ერევა. ნახშირიანი წყების ზედა პორიზონტებში ხლართული შრეებრივობაც აუზის გათხელებაზე მიუთითებს.

ფიქლების და ნახშირიანი წყების ასაკის გადაწყვეტას ძლიერ აძნელებდა პალეონტოლოგიური საბუთების უქონლობა.

ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ნახშირიანი წყების ფლორის შესწავლის შედეგად მას ჯერ შუა იურულად სთვლიდნენ (გოგებერტი), შემდეგ კი ლიასურად (გოგებერტი, პრინადა). მაგრამ, როგორც ცნობილა, ნაღველების ზუსტი ლათარისებისათვის ფლორა გამოსადეგი არ არის. მართლაც იმის გამო, რომ ფიქლების წყება საესებით ნორმალურად მოყვება ზედა ბაიოსურ შრეებს, ის (ფიქლების წყება) ბაიოსურზე ძველი არ შეიძლება იყოს. ებლა, როდესაც ოკრიბის ზედა ბაიოსური ფაუნა ზედმიწევნით არის შესწავლილი ფიქლების წყების ქვედა ასაკი ადვილად შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს.

გაცილებით უფრო ძნელია ამ წყების ზედა საზღვრის გავლება. ნახშირიანი წყება ზევით იფარება უთანხმოდ განლაგებულ ფერადი წყებით, რომელიც რაქაში უშუალოდ კიმერიჯული ასაკისაა. ამგვარად ფიქლების და ნახშირიანი წყებების ბათური ასაკი სავსებით მისაღებია.

ბათურ შრეებში ორი დამოუკიდებელი ერთეულის არსებობის გამო ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ბათურის ქვედა და ზედა პორიზონტების შესახებ. მაგრამ ცხადია ეს პორიზონტები ბათურის ორ ცნობილ ზონას არ შეესაბამება. ამიტომ სრულიად უმართებულოა ფიქლების წყებისათვის ქვედა ბათურის წოდება, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი სჩადის (მეფერტი).

იურული პერიოდის ყველაზე ზევით მდებარე ნაღველებს ე. წ. ფერადი წყება წარმოადგენს, რომლის ასაკს მკდარად განსაზღვრავდნენ, როგორც ზედა ოქსფორდულს (სიმონოვიჩი). იგივე შეხედულებას იზიარებდნენ შემდეგში (ფურ-



ქართული
ენციკლოპედია

ნიე). უკანასკნელად ამ წყებას განსაზღვრავდნენ, როგორც ტიტონურს (სეფტ-ტი). წინანდელი ავტორები ამ წყების ქვეშ გულისხმობდნენ შრეებს, რომელიც ნახშირიან წყებასა და ქვედა ცარცულ კირქვებს შორის არის მოთავსებული. ალ. ჯანელიძემ ცხადპყო, რომ აღნიშნული ნალექების ზედა ნაწილი — არკოზული და კვარციანი ქვიშაქვები უკავშირდება ცარცულ ნალექებს და ფერად წყებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ქვევით მდებარე შრეებზე ფერადი წყება მოქცეულია უთანხმოდ და ტრანსგრესიულად. ასეთივე უთანხმოება და ტრანსგრესიულობა ავტორის მიერ დადგენილი იქნა ფერად წყებასა და კვარციან ქვიშაქვებსა და ზევით მდებარე კირქვებს შორის. ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ მეფერტის მიერ შტილეს მეთოდის გამოყენებით ფერადი წყების ასაკის განსაზღვრა, როგორც ტიტონურის, შეიძლება მცდარად ჩაითვალოს. ანდური ფაზისის შემდეგი ტრანსგრესია ეს არის ტრანსგრესიკვარციანი ქვიშაქვების და ფერადი წყება ტიტონურამდე უნდა დალექილიყო.

უფრო ძნელი გადასაწყვეტი იყო საკითხი ამ წყების ქვედა საზღვრის შესახებ. წყება ოკრიბაში მოთავსებულია ბათურ შრეებზე და მისი დალექვა შეიძლება დაწყებულიყო კალოვიურში ან შეიძლება ის მთლიანად კიმერიჯულს შეიცავდეს. ეს საკითხიც ალ. ჯანელიძის მიერ მშვენიერად იქნა გადაწყვეტილი. დღეს უკვე სადაო აღარ შეიძლება იყოს, რომ ფერადი წყება ასაკის მიხედვით ეკუთვნის კიმერიჯულს (რაქა) და მისი ზედა ნაწილი შესაძლებელია ტიტონურსაც შეიცავდეს.

ცარცული სისტემის ნალექებიდან ნაშრომში დეტალურად არის განხილული კვარციანი და არკოზული ქვიშაქვებისა და დოლომიტიზირებული შრეებრივი კირქვების ასაკი. გარკვეულია კვარციანი და არკოზული ქვიშაქვების მასალის წარმოშობის საკითხი; ირკვევა, რომ სამხრეთით არსებობდა კრისტალური მასივი, რომლის ინტენსიური რეცხვა სწარმოებდა. ეს მტკიცდება გრანიტულ მასალის მარცვლების სიდიდის მატებით ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ. გარკვეულია მეფერტის მტკიცების უსაფუძვლობა ამ წყების მასალის ჩრდილოეთიდან მოტანის შესახებ. მეზობელ რაიონებში (აფხაზეთი) ნაპოვნი საბუთების საშუალებით ამ წყების ასაკი განსაზღვრულია, როგორც ვალანჯინური. ამგვარად ცხადია, რომ ცარცული ტრანსგრესია რაქაში ვალანჯინურით იწყება.

ცარცული სისტემის მომდევნო ნალექებს ზოოგენურ მასიურ კრისტალურ კირქვებს კაპროტინებიან კირქვებს უწოდებდნენ (აბიხი) და მის ასაკს შეცდომით განსაზღვრავდნენ (აბიხი, სიმონოვიჩი), როგორც გოლტს (აპტური და ალ-ბური). ასეთი განსაზღვრა ასაკის ემყარებოდა იმას, რომ ამ წყების დამახასიათებელ ნამარბს *Requenia ammonia*-ს განსაზღვრავდნენ, როგორც შუა ცარცულ *Caprotina*-ს.

ამ წყებას დიდი გავრცელება აქვს. მისი სიმძლავრე ზოგან 300 მ-ს აღწევს; სამხრეთისაკენ კლებულობს და მდ. ჩხერიმელის ხეობაში მხოლოდ 10-20 მ-ს უდრის. ალ. ჯანელიძემ ცხადპყო, რომ ამ წყების განხილვა, როგორც ერთგვარი წყების შეცდომაა. მასში შესაძლებელია გამოიყოს სხვადასხვა ჰორიზონტები. ამ მასიურ ზოოგენურ კირქვეშა ფაუნა მცირეა, მაგრამ

ამ ღირიბი ფაუნის მიხედვითაც ამ წყების ასაკს ბარემელად განსაზღვრავდნენ (ფერნიე). დღეისათვის ცნობილია, რომ ურგონული ფაციესი აბტურში არ გადადის (როგორც ეს მაგალითად სამხრ. საფრანგეთშია) არამედ ისე როგორც ბალკანეთში ურგონული ფაციესი მხოლოდ ბარემულშია მოქცეულში. ბარემული აგრეთვე წარმოადგენილია ამონიტებიანი ფაციესითაც. ეს უკანასკნელი გვხვდება რაქის სინკლინის მთელი ჩრდილო ფრთის გასწვრივ.

ბარემული კირქვები ზევით სრული თანდათანობით გადადიან აბტურ მერგელებრივ კირქვებში და მერგელებში. იქ სადაც აბტურ შრეებს ურგონული კირქვები უდევს, საზღვრის გავლებისათვის გამოყენებულია ან აბტური კირქვების შრეებრივობა და უხვი ამონიტების გაჩენა ან ე. წ. ოსტრეებიანი ჰორიზონტი; იქ კი სადაც აბტურ მერგელებს ქვეშ ბარემულის ამონიტებიანი ფაციესი უდევს, გამოყენებულია პალეონტოლოგიური საბუთები. აბტური მერგელები ზევით მდებარე ალბურ თიხებში აგრეთვე სრულიად შეუმჩნეველად გადადიან, ამიტომ საზღვრის გავლებისათვის აქაც პალეონტოლოგიური მეთოდი გამოყენებული.

აბტური შრეები მდიდარია ნამარხებით. ჯერ კიდევ 1924 წელს ავტორს საშუალება ჰქონდა გამოეყო ამ ნამარხებიდან ამონიტის ახალი გვარი *Colchidites*-ი. შემდეგში ამან საშუალება მისცა დოქ. ივ. რუხაძეს ჩაეტარებია აბტური ფაუნის მონოგრაფიული დამუშავება. ალ. ჯანელიძემც დასაბამებები ამ წყების ზონებად დანაწილების შესახებ. შემდეგში მისივე მოწაფეების მიერ ეს მუშაობა შესრულებული იქნა კიდევ.

სარეცენზიო შრომის შემდეგ უკვე ცხადი ხდება, რომ მერგელებისა და ცისფერი თიხების წყება, რომელიც აბტურს სრული თანდათანობით მოყვება ალბურის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს (ქვედა და შუა ალბური), და რომ ზევით მდებარე გლაუკონიტიანი ქვიშაქვები, რომლებიც აუცილებიან ფიქლებთან მორიგეობენ ეკუთვნიან ალბურის სულ ზედა ნაწილს ე. წ. კრაკონულ ქვესართულს.

რაც შეეხება სამხრეთ რაქის გლაუკონიტიან ქვიშაქვებს, რომელსაც ავტორები განიხილავდნენ, როგორც ცალკე სტრატოგრაფიულ ერთეულს—წარმოადგენს ფაციესს, რომელიც შუა ცარცულის სტადიასზეა დონეზე მდებარეობს. სამხრეთ რაქაში ეს წყება ასაკობრივად სენომანურს ეკუთვნის და რეგარესიულ წყებას წარმოადგენს. რაქის სინკლინის ჩრდილო ფრთაში გლაუკონიტიანი ქვიშაქვები განიციდან გამოსოლვას. აქ მათი სიმძლავრე 2-3 მ-ს აღწევს და არ შეიცავს მსხვილმარცვლოვან მასალას. ამ წყების გამოსოლვას ზოგიერთი მკვლევარი (მეფერტი) ტურონულ ტრანზრესიას მიაწერდა. ეხლა კი მტკიცდება, რომ აქ წყების-გადარეცხვასთან საქმე არა გვაქვს; ეს არის აუზის გათხელების შედეგი. გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ზღვიური ნალექები (რასაც ამტკიცებს გლაუკონიტი, ნამარხები) ზევით იცვლებიან ზედა ცარცულის ზღვიური ნალექებით. ამგვარად, როგორც ამას ავტორიც აღნიშნავს მათ შორის ხარვეზის დაშვებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.



სულ სხვაგვარია შუა ცარცულის ნალექები ოკრიბის სამხრეთ პერიფერიის გასწვრივ. ვლადკონიტიანის ზედა კირქვებს, რომელსაც ორბულინებიანი კირქვებს უწოდებდნენ (მეფერტი) ალ. ჯანელიძე სენომანურს აკუთვნებს.

ვულკანოგენური ფაციესების სიუხვით და თავისებურობით მეზოზოური ვრა განსაკუთრებით ცნობილია. ასეთი ხასიათი აქვს მაგ. იურულ და ცარცულ ნალექებს ა. კავკასიაში, სამხრეთ ამერიკაში და სხვ. საქართველოს მეზოზოურიც საყურადღებოა ამ მხრივ. ბაიოსური ზღვისქვეშა ვულკანური აქტივობის შემდეგ, ვულკანური მოქმედების გაცხოველება შუა ცარცულში სწარმოებს. ამ პროცესის შედეგად დალექილ წყებას საქართველოს ცარცულის მკვლევარები (ბაცევიჩი, სიმონოვიჩი, სოროკინი) ადრევე იცნობდნენ და მის ასაკს ზოგადად განსაზღვრავდნენ, როგორც ცარცულს. შემდეგ (1925 წ.) ამ ნალექებს „მთავრის წყება“ უწოდეს, მისი ასაკი განსაზღვრეს როგორც ქვედა ტურონული და ბაიოსის პორფირიტული წყების გადარეცხვის ხარჯზე დალექილ ტრანსგრესიულ წყებად წარმოიდგინეს (მეფერტი).

ალ. ჯანელიძის კვლევის შემდეგ დღეისათვის დადგენილია, რომ ვულკანური აქტივობა დას. საქართველოში დაიწყო ქვედა-ალბურ დროს, ან შესაძლებელია უფრო ადრეც; რომ ვულკანური აქტივობის გამოვლინება დას. საქართველოში სრულიადაც არ არის სინქრონიული. დას. საქართველოს შუა ცარცულის ვულკანოგენური წყება არაერთაზრ შემთხვევაში არ არის დამოუკიდებელი სტრატეგრაფიული ჰორიზონტი. სამხრეთ ოკრიბის ტუფოგენური წყება ასაკის მიხედვით მიეკუთვნება ქვედა ტურონულის ქვედა ნაწილს. ვულკანოგენური ფაციესი მრავალ ქრილებში ჰორიზონტული მიმართულებით გადადის არა მარტო ვლადკონიტიან ქვიშაქვებში არამედ კირქვებშიც.

ნაშრომში შედარებით მოკლედ არის განხილული ზედა ცარცის ე. წ. „ტურონ-სენონის“ კირქვები. ხაზგასმულია ამ კირქვების კაეის კონკრეციებით დანაწილების არაკეთილსაიმედობა (მეფერტი) და აღნიშნულია ამ კირქვების პალეონტოლოგიური მეთოდით დანაწილების აუცილებლობა და შესაძლებლობაც. შემდეგ ეს მუშაობა მისივე მოწაფეების მიერ წარმატებით იქნა შესრულებული.

უფრო ახალგაზრდა ნალექები ოკრიბაში აღარ არის. მესამეული რაჰის სინკლინისათვის არის განხილული. აქ ერთერთ ძირითად საკითხს ეოცენის ტრანსგრესიის საკითხი წარმოადგენს. ამ ტრანსგრესიას ზოგიერთი მკვლევარი (მეფერტი) კატეგორიულად უარყოფდა. ალ. ჯანელიძე სრული დამაჯერებლობით ასაბუთებს ეოცენის ტრანსგრესიულობას რაჰის სინკლინში.

ჩვეული დამაჯერებლობით განხილულია ოლოგოცენისა და მიოცენის სტრატეგრაფიაც.

ნაშრომის ტექტონიკურ ნაწილში მოცემულია მრავალი ახალი და მეტად ზანტერესო ტექტონიკური კონცეპციები. ნაშრომის სტრატეგრაფიული ნაწილი თუ მეტნაკლებად ადგილობრივ ხასიათს ატარებს, ტექტონიკური ნაწილი რაიონის ვიწრო ფარგლებს საგრძნობლად სცილდება.

ამ მოკლე წერილში შეუძლებელია ყველა საკითხების განხილვა ტექტონიკიდან. საჭიროა ორიოდ სიტყვით შევეხოთ დანაოქების დათარიღებისა და

დისლოკაციების იმ საკითხებს, რომლებიც სარეცენზიო შრომაში სრულიად ორგინალური მიდგომით არის გადაჭრილი. პირველი ეს არის საკითხი ეგრეთ-წოდებულა კიდური დანაოქებისა და შეცოცების შესახებ. დისლოკაციის ეს ახალი სახე ავტორის მიერ არის დადგენილი და მის მიერვე რაქაში პირველად აღწერილი.

შემდგომი დანაოქების დროს გადარეცხილ ანტიკლინის თაღზე შრეებს გარკვეული სიბრტყის გასწვრივ იწყებენ მოძრაობას. ეს მოძრაობა იწვევს შრეების განმეორებით დანაოქებას და ამავდროს სინკლინისაკენ, როგორც თავისუფალი ადგილისაკენ გადმოწოდებას. ინტენსიური დანაოქების დროს შრეები განიცდიან გაწყვეტას და დანაოქება შეცოცებაში გადადის.

საკ. მეც. აკადემიაში წაკითხული მოხსენების შემდეგ (1934 წ.) ამ მეთოდ-მა ფართო გამოყენება ჰპოვა მკვლევართა შორის. დისლოკაციის ამ სახის დადგენის შემდეგ მარტივად ხერხდება იმ რთულ მოვლენათა ანალიზი, რომელთა დამაკმაყოფილებელი ახსნა დღემდე არ არსებობდა.

სრულიად ახალი კონცეპციით არის განხილული დანაოქების დათარიღების საკითხი. დადასტურებულია, რომ ნაოქების წარმოშობა შეიძლება შემჩნეული იქნას ფაციესებისა და ნალექების სიმძლავრის ზონალობაში. მათაწარმო-შობა უკავშირდება აწევასა და რეგრესიას. ამიტომ ფაზისის ასაკი განისაზღვრება უმთავრესად რეგრესიის პერიოდით და არა შემდეგი ტრანსგრესიის პერიოდით. ოროგენეტულ ფაზისს შეესაბამება რეგრესიული წყების ქვედა ჰორიზონტები. ნალექების შემდგომი დაგროვება სწარმოებს ოროგენეზისის შემდეგ; ამიტომ ეს ნალექები ფაზისზე ახალგაზრდაა.

სარეცენზიო ნაშრომში აგრეთვე დეტალურად არის განხილული ტრანსგრესიებისა და რეგრესიების, ოროგენეტული ფაზისების, ვულკანური აქტივობის ფაზების საკითხი. საკმაო ვრცლად არის განხილული რაჭის სინკლინის, როგორც დამოუკიდებელი გეოლოგიური ერთეულის ისტორია. განხილულია მეწყრული მოვლენები და მოცემულია ჭეწყრების ახალი კლასიფიკაცია.

რაიონის გეომორფოლოგია არ წარმოადგენდა ავტორის სპეციალურ კვლევის საგანს. ამ თავში მოცემულია მხოლოდ კანტიკუნტად შემჩნეული მოვლენები. მიუხედავად ამისა შრომის გეომორფოლოგიური თავი შეიცავს მრავალ საინტერესო და ამავდროს ახალ დებულებებს ამის გამო არ შეიძლება არ მოვიგონოთ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული რეცენზია (იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“ 17/V-41 ლ. მარუაშვილი „საქართველოს გეოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი“), სადაც რეცენზიის ავტორს ზოგიერთ გაუგებრობებთან ერთად ჩადგენილი აქვს ნებითი თუ უნებლიე შეცდომა. სარეცენზიო შრომის გარდა ავტორი (ლ. მარუაშვილი) იხსენიებს ალ. ჯანელიძის სხვა შრომასაც („ქართული გეოლოგიის XX წელიწადი“, ტფ. სახ. უნივერსიტ. შრ. XIX) მოჰყავს წინადადების ნაწილი, ავსებს მას თავისი სიტყვებით და წინადადება სულ სხვა შინაარს-ლებულობს (შეადარე ზემოდ დასახელებულ შრომის მე-80-ე გვერდის შესაბამე



აბზაცი და ლ. მარუაშვილის რეცენზიის შესამე სვეტის მეექვსე სტრიქონიდან (ქვევით) მოყვანილი ციტატა).

სარეცენზიო ნაშრომის მეცნიერული ღირებულება, იდეებისა და დებულებების სიახლე ფასდაუდებელ ა. ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ნაშრომს პრაქტიკული მიზნებისათვისაც.

შესწავლილი ფართობი მდიდარია სასარგებლო ნამარხებით. აქ გვხვდება: ბარიტი, ქვანახშირი, გიშერი, ოზოკერიტი, პირიტი, პოლიმეტალები, თაბაშირი, კალინი და მრავალი სხვადასხვა სააღმშენებლო მასალები. ამ სასარგებლო ნამარხების შემცველ ფართობის გეოლოგიის შესწავლა სწორ გზაზე აყენებს ჩამოთვლილ მადნეულთა ძიებისა და ექსპლოატაციის საკითხს, და ახალ საბადოთა გამოვლინების საქმესაც.

წიგნს დართული აქვს ვრცელი რეზიუმე ფრანგულ ენაზე და ტექნიკურად კარგად შესრულებული გეოლოგიური რუკა. წიგნი ამავე დროს უხვად არის ილუსტრირებული, რაც ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ანალოგიურ შრომებში.

ტექნიკურად წიგნი კარგად არის გამოცემული, თუმცა ზოგიერთი შეცდომა თავიდან არ არის აცილებული. მაგ. სურ. № 6 თავდაღმაა დაბეჭდილი, რის გამოც მიზანს ვერ აღწევს; ზოგიერთი ფოტოგრაფია სუსტია (სურ. № 54); ერთ ადგილას უთუოდ მცირე შეცდომასთან გვაქვს საქმე: გვ. 72-ზე აღნიშნულია, რომ ამონიტი დოც. ი. კაქარავას მიერ აფხაზეთში ნაპოვნი კარგი შენახულობით ხასიათდება და *Spiliceras (Negreli.) Negreli Math.*-სადმი ინდენტიფიკაცია ექვს არ იწვევს; ამავე დროს ნამარხი განსაზღვრულია როგორც *Coniformis*.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ნაშრომი რუსულ ენაზეა გამოცემული და დართული აქვს ვრცელი ფრანგული რეზიუმე. ძლიერ სასურველი იქნებოდა რეზიუმე ქართულ ენაზედაც რომ ყოფილიყო შედგენილი.

აღნიშნული ნაშრომი ყოველი ქართველი გეოლოგისათვის მუდმივ სახმარ წიგნად გადაიქცევა და მის საფუძვლებზე ვაიშლება მრავალრიცხოვან ქართველ გეოლოგთა, აკად. ალ. ჯანელიძის უშუალო მოწაფეთა შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

ბ. ჰელიძე



ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიკის ფაკულტეტი, ტ. III, 1941 წ.

Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. III, 1941 г.

დ. უბნაძე — „ზოგადი ფსიქოლოგია“

სკალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამოცემა 1940 წ.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არსებული ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ იგი ადამიანის სულიერ ცხოვრებას მხოლოდ ობიექტის ანუ განკვეთის ფორმაში იხილავს და არა ადამიანის გრძნობადი მოქმედების ფორმაში, არა პრაქტიკაში, არა სუბიექტურად¹. მარქსამდე არსებული მატერიალიზმის ეს მეთოდოლოგიური ნაკლი დამახასიათებელია საერთოდ ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვისაც.

ბურჟუაზიული ფსიქოლოგია სულიერ ცხოვრებას იხილავს, როგორც თავისთავად არსებულ მოვლენათა მიმდინარეობას, თითქოს ფსიქიკურს, — წარმოდგენებს, გრძნობებსა და ჩივილებებს, — ადამიანისაგან დამოუკიდებელი, თვითარსებობისა და თვითმოქმედების უნარი გააჩნდეს. იგი გამოდის რა „ცნობიერებიდან, როგორც ცოცხალი ინდივიდიდან“, პიროვნებას, ამ ნამდვილს, აქტუალურად მოქმედ ინდივიდს მხედველობის გარეშე ტოვებს: პიროვნების დანიშნულება მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ იგი პასიურად კვრეტს საკუთარი ცნობიერების შინაარსთა მიმდინარეობას. გრძნობადი მოქმედების, პრაქტიკის, თვით პიროვნების როლი სულიერი ცხოვრების მიმართ სავსებით უგულვებელყოფილია.

„... მორალი, რელიგია, მეტაფიზიკა და იდეოლოგიის სხვა სახეები და მათი შესატყვისი ცნობიერების ფორმები კარგავენ თავისთავადობის მოჩვენებითობას. მათ არ აქვთ ისტორია, მათ არ აქვთ განვითარება; ადამიანები, რომლებიც ავითარებენ თავიანთ მატერიალურ წარმოებასა და მატერიალურ ურთიერთობას, მოცემულ სინამდვილესთან ერთად ცვლიან აგრეთვე თავიანთ აზროვნებასა და თავის აზროვნების პროდუქტებსაც. ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას. განხილვის პირველი წესის შემთხვევაში გამოდიან ცნობიერებიდან, როგორც ცოცხალ ინდივიდიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში, ნამდვილი ცხოვრების შესატყვისად, გამოდიან ავით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდებისაგან და ცნობიერებას განიხილავენ, როგორც მათ ცნობიერებას². მარქსის ამ მოსაზრებათა კრიტიკული ნაწილი მთლიანად რჩება ძალაში თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის.“

¹ კ. მარქსი, თეზისებო ფეიერბახის შესახებ.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, გვ. 17.



ეუზიული ფსიქოლოგების მიმართაც: რჩებიან რა ისინი უშუალოდის ჰიპოტეზის ნიადაგზე, ცნობიერებას უყურებენ, როგორც „ცოცხალ ინდივიდს“, რომელსაც, მათი აზრით, შეუძლია უშუალო ურთიერთობაში მოვიდეს სინამდვილის დანარჩენ მოვლენებთან და ამ უკანასკნელის უშუალო ზემოქმედება განიცადოს. პიროვნება წარმოდგენილია რაღაც ნეიტრალური არის მსგავსად რომელშიაც ფსიქიკური შინაარსები მისი (პიროვნების) აქტიური ჩარევის გარეშე თავისუფლად იცვლებიან. მათთვის მუდამ მისტიკური ბურუსით მოსილი რჩება ის პიროვნული საფუძვლები, რომელნიც სულიერი ცხოვრების მრავალფეროვან შინაარსთა მიმდინარეობას განსაზღვრავენ.

დ. უზნაძე ამ ძირითად ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემას, „ზოგადი ფსიქოლოგიის“ მესამე კარში დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე სწყვიტს და წიგნის შემდეგი ოთხასი გვერდის მანძილზე ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იშლება ფსიქიკური პროცესების სახით „ის ფაქტორი, რომელიც სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობის აქტში ისახება“.

რა თქმა უნდა, წინამდებარე სტატიაში შეუძლებელია სარეცენზიო წიგნის მეცნიერული ღირებულების სრული შეფასება. ჩვენ აქ შევეცდებით მხოლოდ ძირითად ხაზებში განვსაზღვროთ იმ თეორიულ-ფსიქოლოგიური საფუძვლების მარქსისტული დედააზრი, რომელზედაც დ. უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“ არის აგებული.

ადამიანის ფსიქიკური ფუნქციები გარემო სინამდვილესთან პრაქტიკული ურთიერთობის, შრომის, პროცესში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. ისინი მხოლოდ ამ ურთიერთობაში და ამ ურთიერთობისათვის არსებობენ და ამიტომ „ცნობიერება (das Bewusstsein) არასოდეს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა მხოლოდ გაცნობიერებული ყოფიერება (das bewusste Sein), ხოლო ადამიანთა ყოფიერება არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი“¹.

ცოცხალი არსების სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას მოთხოვნილება აქვს. მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გარე სინამდვილესთან განსაზღვრული ურთიერთობის დამყარებით, ცოცხალი არსების განსაზღვრული აქტიობითაა შესაძლებელი. „ცხოვრების რეალურ პროცესს“, „სიცოცხლის მთელ შინაარსს არსებითად ეს აქტიობა შეადგენს და მის გარეშე სიცოცხლეზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა“², მოთხოვნილება აქტიობის წყაროა. იქ, სადაც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, არც აქტიობაზე შეიძლება ლაპარაკი“³.

საცხოვრებო პირობების გართულება მოთხოვნილებათა განვითარებასა და დიფერენციაციას ახდენს; ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ ცოცხალ არსებას აიძულებს გართულებული ქცევის აქტები გამოიმუშაოს, აქტიობის ახალ ფორმებს მიმართოს. ამგვარად, განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცოცხალი არსება იქამდე მიდის, რომ იგი ცნობიერების სუბიექტად იქცევა, მას ფსიქიკური ფუნქციები ესახება და უფითარდება.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, *Немецкая идеология*, გვ. 16.

² დ. უზნაძე—ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 133.

³ იქვე, გვ. 133.



ასეთია საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომლის ნიადაგზედაც დ. უზნაძის ფსიქოლოგია ვითარდება. ასეთია საქმის ის ფაქტობრივი ვითარებაც, რომლისკენაც მარქსი საგანგებოდ მიმართავდა ფსიქოლოგთა ყურადღებას: „ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების ისტორია და აღმოცენებული წარმოების საგნობრივი ყოფიერება არის ადამიანის არსებითი ძალების გადაშლილი წიგნი, ჩვენ წინაშე გრძნობადად მდებარე ადამიანის ფსიქოლოგია, რომელსაც აქამდე არ განიხილავდნენ მათ კავშირში ადამიანის არსსთან“¹ ... „ფსიქოლოგია, რომლისთვისაც ეს წიგნი, ე. ი. სწორედ ეს ყველაზე გრძნობადად რეალური, ყველაზე მისაწვდომი ნაწილი ისტორიისა, დახურულია, არ შეიძლება გახდეს ნამდვილ, შინაარსიან და რეალურ მეცნიერებად. საერთოდ, რა უნდა ვიფიქროთ იმ მეცნიერებაზე, რომელიც ქედმაღლურად აქცევს ზურგს ადამიანის შრომის ამ უდიდეს ნაწილს და არ იგრძნობს თავის უსრულობას, როდესაც ადამიანური შემოქმედების მთელი ეს სიმდიდრე მისთვის გამოითქმის მხოლოდ ისეთ სიტყვებში, როგორცაა „მოთხოვნილება“, „საერთო მოთხოვნილება“². მოთხოვნილების ძირითად როლს ადამიანის ყოფიერებისა და ადამიანთა ისტორიის განვითარების საქმეში არაერთხელ აღნიშნავდნენ მარქსი და ენგელსი.

დ. უზნაძე, ამოდის რა ამ ძირითადი მნიშვნელობის ცნებიდან, განსაზღვრავს იმ სინამდვილის იდეურ შინაარსს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოთხოვნილებას. ეს არის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო გარე სინამდვილის ანუ სიტუაციის ცნება, რომელსაც მარქსი, ადამიანის მიმართ, გააღამიანებულ³ ანუ ანთროპოლოგიურ⁴ ბუნებას უწოდებს. „არა მუსიკალური ყურისათვის,—წერს მარქსი,—უმშვენიერეს მუსიკასაც კი არავითარი აზრი არ აქვს, ის მისთვის არ წარმოადგენს საგანს იმიტომ, რომ ჩემს საგნად შეიძლება იყოს მხოლოდ ჩემი არსებითი ძალებიდან ერთი რომელიმე მტკიცება“⁵. „ადამიანი არ იბნევა თავის საგნებში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მისთვის იქცევა ადამიანურ საგნად ანუ გასაგნებულ ადამიანად“⁶.

ინდივიდი და მისი გარესინამდვილე არ არის ორი ურთიერთისაგან პრინციპულად განსხვავებული მოვლენა; გარემოსთან ურთიერთობაში, „წარმოებაში ობიექტივდება პიროვნება. პიროვნებაში (მოხმარებაში) სუბიექტივდება ნივთი“⁷ და, საერთოდ, პიროვნებისათვის მოცემული ობიექტური სინამდვილე. სუბიექტის მოთხოვნილებანი ისტორიულად განსაზღვრულ გარემო სინამდვილის პირობებში ჩამოყალიბდნენ და ამიტომ ამ მოთხოვნილებათა შინაარსი ან შეიძლება არსებობდა განსხვავებოდეს გარემოსინამდვილის შინაარსისაგან.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения т. III, 83. 627.

² იქვე, 88. 629.

³ იქვე, 88. 627.

⁴ იქვე, 88. 629.

⁵ იქვე, 88. 627.

⁶ იქვე, 88. 626.



გარე სინამდვილე (სიტუაცია) თავისთავში ასახავს იმ მოთხოვნილებათა რაგვარობას, რომელიც მის მიერ არის გამოწვეული სუბიექტში და რომლის დაკმაყოფილების პირობასაც თვითონ წარმოადგენს. მეორე მხრივ, მოთხოვნილებაც, იმდენად, რამდენადაც იგი რაიმე ობიექტური მოცემულობის მოთხოვნილებაა, თავისთავში ატარებს იმ სინამდვილის იდეალურ სახეს, რომლის ნიადაგზედღედაც თვითონ ჩამოყალიბდა და რომლის მიმართაც იგი განიცდება როგორც მოთხოვნილება.

სუბიექტი განსაზღვრულია თავისი მოთხოვნილებებით, რომლის ნიადაგზედაც აქტიურ ურთიერთობაში მოდის გარემოსინამდვილესთან; უპირდაპირდება მას, როგორც თავის მოთხოვნილების საგანს, თავის მოთხოვნილების სინამდვილეს; წინააღმდეგობაში მოდის ამ უკასკენლთან და ამ წინააღმდეგობის გადალახვისათვის წარმოებულ აქტიობის პროცესში ისე გარდაქმნის გარემოს, რომ მას მოთხოვნილების დაკმაყოფილების უშუალო პირობად აქცევს. ისტორიულად ამავე პროცესში გარდაიქმნება თვითონაც და ახალი გარემოს, ახალი სიტუაციის სუბიექტად იქცევა. მოთხოვნილების დაკმაყოფილება (დროებით, ახალ მოთხოვნილებამდე) ხსნის იმ წინააღმდეგობას, რომელიც სუბიექტსა და გარესინამდვილეს შორის მოთხოვნილების აღმოცენებიდან მისი დაკმაყოფილების მომენტამდე არსებობს და ამით აღადგენს სუბიექტისა და გარე სინამდვილის ერთიანობას (ერთიანობას, რომელშიაც მოთხოვნილებათა ხელახალ წარმოშობამდე წინააღმდეგობა მოხსნილია).

მას შემდეგ, რაც გარკვეულია მოთხოვნილებისა და სიტუაციის ცნებათა შინაარსი, დ. უზნაძე მთელ თავის ყურადღებას უთმობს განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი ცნების—განწყობის ცნების შინაარსის გარკვევას. აქ იგი სისწორით ვედება რა ინდივიდის არსებას, დიალექტიკის ოსტატური გამოყენებით უაღრესი სიზუსტით განსაზღვრავს ინდივიდუალობის იმ საფუძვლებს, რომელნიც სიცოცხლის პროცესს წარმართავენ.

განწყობის ცნება ფართოდაა გამოყენებული ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაშიაც. ამ ცნებით სარგებლობის კერძო შემთხვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია თუ გავიხსენებთ, რომ მარბეს ფსიქოლოგია განწყობის ფსიქოლოგიის სახელწოდებითაა ცნობილი. მაგრამ მარბეს ფსიქოლოგიას, გარდა სახელწოდებისა, არსებითად არაფერი აქვს საერთოდ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიასთან. იქ განწყობა წარმოდგენილია თანშობილ სულიერ და სხეულებრივ დისპოზიციების სახით, რომელიც პიროვნების ქცევისა და ცნობიერების შინაარსთა მიმდინარეობას ცალმხრივად, სუბიექტურად განსაზღვრავს. ხოლო აქ, დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში, იგი ცოკბალი არსებისა და გარესინამდვილის აქტუალური ურთიერთობის პროცესში ისახება და ასახავს რა ამ ურთიერთობის შინაარსს, „შინა“ და „გარე“ სამყაროს,—მოთხოვნილების სუბიექტისა და ამ სუბიექტის მოთხოვნილების სიტუაციის ერთიანობას წარმოადგენს. მარბე უშვებს ცალკე სხეულებრივ (თანშობილ და შეძენილ მოძრაობათა სისტემა) და ცალკე სულიერ (თანშობილი და შეძენილი, ურთიერთთან ასოციაციურად დაკავშირებული სულიერი შინაარსები) განწყობ-

ბებს, რომლებსაც ხელოვნურად აკავშირებს ურთიერთთან. დ. უზნაძე კი განწყობის ქვეშ გულისხმობს პიროვნების მთლიან საფუძველს, რომელიც გარემოების მიხედვით ხან ქცევის ფორმაში აქტიურდება, ხან კიდევ ცნობიერების მოვლენათა სახით იწლება. დაბოლოს, მარბეს განწყობის ფსიქოლოგია იდეალისტურ საფუძველებზე ფორმალური ლოგიკით აგებული ასოციაციური ფსიქოლოგიაა, მაშინ, როდესაც დ. უზნაძის ფსიქოლოგია დიალექტიკური მატერიალიზმის ნიადაგზეა აღმოცენებული და არსებითად უპირისპირდება ასოციაციური ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპებს.

მაინც, კონკრეტულად რა უნდა გვესმოდეს, დ. უზნაძის ფსიქოლოგიის მიხედვით, განწყობის ცნების შინაარსში?

მოთხოვნილება, ინდივიდში ისტორიულად „გადასული“ სიტუაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისტორიული განვითარების პროცესში ინდივიდის მიერ პრაქტიკულად განცდილი ის გარესინამდვილეა, რომლის დანაკლისსაც იგი მოცემულ მომენტში გრძნობს. ამიტომ იგი თავის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ობიექტურ ვითარებასაც ასახავს და იმ სუბიექტური ძალების არსებობასაც გულისხმობს, რომელნიც მისი დაკმაყოფილების პროცესში უნდა იქნენ ამოქმედებულნი.

მოთხოვნილების საგანი ყოველ კერძო შემთხვევაში განსაზღვრულ გარეპირობებშია მოცემული. ამიტომ, გარეობებისადა მიხედვით, ცოცხალმა არსებამ ხან ასეთ მოქმედებას უნდა მიმართოს და ხან ისეთს, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება უზრუნველჰყოს. მოძრაობათა ერთი თანმიმდევრული სისტემა, რომელიც მოცემულ მოთხოვნილების მიმართ ერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, შესაძლებელია სრულიად უადგილო აღმოჩნდეს მეორე შემთხვევისათვის. ამიტომ სუბიექტის განკარგულებაში არსებული ძალების ყოველგვარი ამოქმედება მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა მოცემული სიტუაციისადმი მიზანშეწონილი მოქმედება, რასაც ცოცხალი არსება წარმატებით ახერხებს. და აი, კითხვა დგება: როგორაა შესაძლებელი ასეთი მოქმედება?

დ. უზნაძე იძლევა რა ქცევის მიზანშეწონილობის საკითხის გარშემო ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში შემუშავებული თეორიების კრიტიკულ ანალიზს, წარმატებით ჭრის ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემას.

ცოცხალი არსებისა და გარე სინამდვილის კავშირი შემთხვევითი ხასიათისა, გარეგანი, მექანიკური ურთიერთობა კი არაა, არამედ იგი არსებით ხასიათს ატარებს და შინაგანი აუცილებლობით არის შეპირობებული. ინდივიდი, როგორც მოთხოვნილების სუბიექტი, და გარესინამდვილე — სიტუაცია, როგორც ამ სუბიექტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა, უპირისპირდებიან ურთიერთს. გარესინამდვილე (სიტუაცია) მოქმედებს რა მისი მოთხოვნილების სუბიექტზე, ამ უკანასკნელის მდგომარეობას თავის შესატყვისად ცვლის, სუბიექტის „მთლიან მოდიფიკაციას“, „მთლიან გადასტრუქტურებას“ თავის შესატყვისად ახდენს; რის გამოც სუბიექტი, „როგორც მთელი, როგორც ქცევის სუბიექტი უკვე მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი მოთხოვნილების სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის, და ამიტომ



შისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოცემული სიტუაციის არსების მოქმედებას წარმოადგენს. მაშასადამე, როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ესა თუ ის ცოცხალი არსება, ეს განსაზღვრულ ფარგლებში, უკვე მანამ არის გარკვეული, სანამ მოქმედება დაიწყებოდეს: ეს უკანასკნელი მოცემულია იმ მოდიფიკაციის სახით, რომელსაც სუბიექტი გარემოზე მოქმედების სახით განიცდის“.

„მაგრამ თუ იგი მანამდეა მოცემული, სანამ დაიწყებოდეს, ცხადია, იგი მხოლოდ როგორც წინასწარი მიდრეკილება, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენციაა მოცემული: მაშასადამე, ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის მდგომარეობა, რომელშიაც, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვაში, ამ ქცევის საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რავგვარობა, მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა წინასწარაა განსაზღვრული“¹, და აი, ეს მდგომარეობაა, რომ დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში განწყობის სახელწოდებით აღინიშნება და სუბიექტის ქცევისა და ცნობიერების შინაარსთა მიმდინარეობის უშუალო წყაროდ არის აღიარებული.

განწყობის აღმოცენებას სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები უდევს საფუძვლად. ეს ფაქტორები სუბიექტის მდგომარეობაში კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას, უპირისპირდებიან ერთმანეთს და ქმნიან წინააღმდეგობათა ერთიანობას—განწყობას. მანამ, სანამ განწყობა განწყობად რჩება, ე. ი. სანამ არსებობს წინააღმდეგობა, ცოცხალ არსებას არ შეუძლია მოსვენებულ, ინერტულ მდგომარეობაში დარჩეს. ამიტომ განწყობა, თუ მან შინაგანი შეფერხება არ განიცადა, მაშინვე ქცევის მიმართულებით იმდებნება, რასაც შედეგად მოთხოვნილების დაკმაყოფილება და, მაშასადამე, წინააღმდეგობის მოხსნა—ქვემდებარე განწყობის აღკვეთა—მოსდევს.

განწყობა საერთოდ ცოცხალი არსების ქცევის საფუძველს წარმოადგენს, იგი სიცოცხლის პრინციპია; მაგრამ მაშინ სად უნდა ვეძიოთ ადამიანის თავისებურებათა საფუძველი?

ადამიანის ქცევასაც ისე, როგორც ცხოველის მოქმედებას, მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცხოველის მოთხოვნილებათა ბუნება და წრე ერთხელ და სამუდამოდ არის განსაზღვრული: მათ ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური თავისებურება უდევს საფუძვლად. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილება. ადამიანი ისტორიული არსებაა და მისი მოთხოვნილება სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე განუწყვეტელი ქმნადობის პროცესში იმყოფება“, რის გამოც „ადამიანი უფრო მრავალფეროვანის და მრავალმხრივი მოთხოვნილებიკ პატრონია, ვიდრე ცხოველი“². ადამიანს გარდა მრავალფეროვანი ბიოლოგიური მოთხოვნილებისა წმინდა სოციალური ხანიათის მოთხოვნილებები გააჩნია. ასეთია, მაგალ., ზნეობრივი, თეორიული და ესთეტიკური მოთხოვნილებანი. ამ გარემოებას კი „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ქცევის თავისებურების

¹ ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 68.

² იქვე, გვ. 71.

ნათელსაყოფად“. ცხოველს, მოთხოვნილებათა სიმარტივისა და ნელთა წმინდა ბიოლოგიური ხასიათის გამო, არ შეიძლება ერთდროულად ირი ისეთი მოთხოვნილება გააჩნდეს, რომლიდანაც, მოცემულ პირობებში ერთს დაკმაყოფილება არსებითად ეწინააღმდეგებოდეს მეორეს. ცხოველს ყოველ მოცემულ მომენტში ერთი გაბატონებული მოთხოვნილება აქვს და მის ურთიერთობას სინამდვილესთან ყოველთვის ამ ერთი მოთხოვნილების იმპულსი განსაზღვრავს.

სულ სხვაა ადამიანის შემთხვევაში. აქ ადვილი შესაძლოა, რომ მოცემულ პირობებში ერთი რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების, ვთქვათ შიმშილის ან სქესობრივი მოთხოვნილების, დაკმაყოფილება არსებითად იყოს მიმართული მეორე მოთხოვნილების, მაგალ., ესთეტიკური ან კიდევ ზნეობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მოცემულ სიტუაციის წინააღმდეგ. რა ხდება ასეთ შემთხვევაში?

მოცემული სიტუაციისა და აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის საფუძველზე შექმნილი განწყობა (შესაძლო ქცევა) წინააღმდეგობაში მოდის ზნეობრივ თუ ესთეტიკურ მოთხოვნილებასთან, რის გამოც განწყობა უშუალოდ ქცევაში გადასვლას ვერ ახერხებს. სამაგიეროდ ამ წინააღმდეგობას განწყობა განვითარების უფრო მაღალ ფორმაში გადაჰყავს: იგი ახლა ქცევის ნაცვლად ცნობიერების მიმართულებით იშლება და მოსალოდნელი მოქმედება სუბიექტისათვის წინასწარ, სანამ იგი განხორციელდებოდეს, ხდება ნათელი. ამგვარად, ქცევა თავისთვის იქცევა ქცევად სუბიექტისათვის. ამით სუბიექტს შესაძლებლობა ეძლევა მოსალოდნელი (წარმოსახული) ქცევის საფუძველში მდებარე მოთხოვნილებას დაუპირისპიროს ის მოთხოვნილება, რომლის წინააღმდეგაც ეს ქცევა არის მიმართული, შეაფასოს თითოეულის პიროვნული ღირებულება და, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს მიეცემა მის მიერ უპირატესობა, ან ერთის დაკმაყოფილების ქცევის აქტ მიმართოს და ან—მეორისას.

თუ პიროვნება მისაღებად ცნობს შექმნილი განწყობით განსაზღვრული ქცევის განხორციელებას, განწყობა ქცევის მიმართულებით იშლება, მაგრამ, როდესაც აქტუალური მოთხოვნილებით განსაზღვრული ქცევა სუბიექტისათვის რაიმე მოსაზრებით მიუღებელი ხდება, საკუთარც ისე ადვილად მიდის. სანამ სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილება საფუძველზე შემუშავებული განწყობის ტყვეა, სანამ მას ეს განწყობა აქვს, იძულებულია ისე იმოქმედოს, როგორც ამას ქვემდებარე განწყობა უკარნახებს. ამიტომ საჭიროა ეს განწყობა დაირღვეს და მის ნაცვლად საწინააღმდეგოდ მიმართული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ქცევის განწყობა აღმოცენდეს. აი, აქ იჩენს თავს ნებისყოფის ძალა, რომელიც თავის ზნეობრივ შექმნილი განწყობის წინააღმდეგ მიმართულ, განყენებულ მოთხოვნილებაში ნახულობს. იქ, სადაც ნებელობა სუსტია, სუბიექტი რჩება საკუთარი განწყობის ტყვეობაში.

ასეთია ადამიანისა და ძირითადი მოსაზრებები, რომლებზედაც დ. უ. ხ. ნ. ა. ხ. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსია აგებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული მოსაზრებები მხოლოდ სარეცენზიო წიგნის პრინციპულ ნა-



წილში კი არ რჩება, არამედ წიგნში წარმოდგენილი ყოველი ფაქტი მათ საფუძველზე არის ნაცადი.

სარეცენზიო წიგნის გამოსვლას თან დაემთხვა ს. ლ. რუბინშტეინის „Особенности общей психологии“-ს გამოქვეყნება, რომელიც მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარების საქმეში. საბჭოთა ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპების კვლევა-ძიების მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგები შესაძლებელია არსებითად ამ ორი შრომის მეცნიერული ღირებულებით იქნას განსაზღვრული.

ს. ლ. რუბინშტეინის შრომა ფსიქოლოგიური აზროვნების ერთ მთლიან დასრულებულ სისტემას არ შეიცავს, მაგრამ მასში საკმაოდ და წარმოდგენილი ცალკე ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემების მარქსისტული თვალსაზრისით გადაჭრის სერიოზული ცდები: ამ ცდების მნიშვნელობა მაინც ვიწროდა განაზღვრული. ს. ლ. რუბინშტეინის დებულებანი „ცნობიერება და მოქმედება ერთიანობაშია“, „ფსიქიკა შესწავლილი უნდა იქნას მოქმედებაში“ უდავოა, რომ მარქსისტულია; მაგრამ თავისთავად აღებულნი ისინი არაფერს არ ამბობენ. მეცნიერულ კვლევა-ძიებას ამ თეზისების გაშლაში უნდა ეჩინა თავი, მაგრამ სწორედ აი, აქ არის, რომ სამართლიანად უსაყვდურებენ ს. ლ. რუბინშტეინს. („Учительская газета“, 1941 წ., 21 მარტი)

სანამ არ გარკვეულა ამ ერთიანობის კონკრეტული შინაარსი, სანამ არ მოძებნილა მისი რეალური საფუძვლები, მანამ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ურთი არსებითი ნაბიჯიც არ არის გადადგმული წინ, მანამ მუდამ იძულებული ვიქნებით დავრჩეთ ძველი ფსიქოლოგიის ნიადაგზე და ცარიელი სიტყვებით „ერთიანობაშია“ ახალი ფსიქოლოგიური სისტემის მოლოდინში.

დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია პიროვნების ფსიქოლოგიაა. ავი პიროვნების აჩქს, მის გულს, თვით პიროვნებას წვდება მის მთლიანობაში და ამით შესაძლებლობას იძლევა ყველა, აქამდე ბურუსითა და საიდუმლოებით მოცული კერძო ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები დადებითად იქნან გადაჭრილი და ერთ მთლიან ფსიქოლოგიურ სისტემაში გაერთიანდნენ. „ცნობიერებისა და მოქმედების ერთიანობის“ თეზისიც ბუნებრივად იშლება განწყობის ფსიქოლოგიაში.

რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, რომ ის უზარმაზარი ორიგინალური ნაზრევი, რომელიც სარეცენზიო წიგნშია მოცემული კამათის გამოიმწვევ, — სადაო საკითხებსაც არ შეიცავდეს.

ჩვენ გვინდა აქ ზოგიერთი მათგანი ავლიწნოთ.

1. განწყობის ძირითადი ცნების გვერდით დ. უზნაძის მოძღვრებაში ფართოდაა გამოყენებული ფიქსირებული განწყობის ცნება. ფიქსირებული განწყობა, დ. უზნაძის აზრით, განწყობის ერთეულ სახეობას წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად ედება საცხოვრებო გამოცდილების პროცესში აღმოცენებულ პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებას.

„ხშირად განმეორების თუ დიდი პიროვნული წონის გამო¹, ხშირად, განწყობა ერთხელ აღმოცენების შემდეგ ლატენტურ მდგომარეობაში გადადის და იქ უმოქმედოდ განაგრძობს არსებობას, ხოლო ყოველ შესატყვის პირობებში იგი, ისევ აქტიურ მდგომარეობაში მოდის და სუბიექტის ქცევას ედგება საფუძვლად. ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, განწყობის შენახვის, მისი არსებობის გაგრძელების შესახებ ვილაპარაკოთ მაშინაც, როდესაც ეს განწყობა აქტუალური არაა“². ასეთ განწყობას დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს და მის ნიადაგზე ცდილობს გასაგები გახადოს ზოგიერთი პიროვნული ხასიათის მოვლენა.

განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ცნებათა შორის ლოგიკური შესაბამისობა არსებობს: არ შეიძლება განწყობის ფიქსირების, მისი უმოქმედო, ლატენტურ მდგომარეობიში არსებობის შესახებ ვილაპარაკოთ, რადგან განწყობის არსებობის პირობები იგივეა, რაც განწყობის აქტიობის (ქცევის) პირობები. ამიტომ განწყობის ფსიქოლოგიაში ფიქსირებული განწყობის ცნება ლოგიკურად გაუმართლებელია.

ფიქსირებული განწყობის აღიარებით იძულებული გავხდებით განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპის, შუალობითობის პრინციპის, უარყოფამდე მივედეთ. საქმე იმაშია, რომ ფიქსირებული განწყობის თეორიის მიხედვით პიროვნებაში, მისი ინდივიდუალური გამოცდილების სიმდიდრის კვალობაზე, ფიქსირებულ განწყობათა მეტად თუ ნაკლებად დიდი რიცხვია დაცული, ხოლო ფიქსირებული განწყობისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ „ყოველი ცალკე ცდის შემთხვევაში იგი უკვე მანამ აქტიურდება, სანამ მიწოდებული ობიექტები რიგიან ზეგავლენის მოხდენას მოასწრებდნენ“³, ე. ი. სანამ მოცემული სიტუაცია პიროვნების თავისდა შესატყვისად გადასტრუქტურებას მოახდენდეს. ობიექტი (სიტუაცია), ასეთ შემთხვევაში, პიროვნებაზე კი არ მოქმედებს, პიროვნების მოდიფიკაციას კი არ ახდენს, არამედ უშუალოდ სუბიექტში ფიქსირებული განწყობის სახით დაცულ მოძრაობათა „მზასისტემის“ გამოწვევას ახდენს. რა თქმა უნდა, იმ გარემოებას, რომ ეს განწყობა ოდესღაც პირველად პიროვნების მკვლელობით უნდა შემუშავებულიყო, მოცემული მომენტისათვის ღირებულდება არ აქვს.

2. დ. უზნაძე, ცოცხალი არსების გარემო სინამდვილესთან ურთიერთობის მიმდინარეობის პროცესს, ნაკვლად დღემდე მიღებული ორწევრიანი ფორმულისა (გარემო—ქცევა), სამწევრიან ფორმულაში [გარემო—სუბიექტი (განწყობა)—ქცევა] გამოხატავს, გარემო სუბიექტზე მოქმედებს და მასში გარკვეული ქცევის განწყობას ქმნას; ხოლო განწყობა სუბიექტის ქცევისა და ცნობიერების მოვლენების მიმდინარეობას წარმართავს, განსაზღვრულ პირობებში ცნობიერების მოვლენებსაც შეუძლიათ განწყობაზე ზემოქმედება აწარმოონ და მი-

¹ ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 68.

² იქვე, გვ. 333.

³ იქვე, გვ. 79.

სი შეცვლის მიზეზი გახდნენ. ასეთ გარემოებასთან განსაკუთრებით ნებელობის აქტების შემთხვევაში გვაქვს საქმე.

როდესაც საკითხი გარემოსა და სუბიექტის ურთიერთობას ეხება, გასაგებია, რომ აქ ნამდვილ მიზეზობრივ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება სუბიექტისა (განწყობისა) და ქცევის (ამ შემთხვევაში ფსიქიკურის) ურთიერთობას, არ შეიძლება იგი მიზეზობრივ ხასიათს ატარებდეს. სამწვერიანი ფორმულის მეორე და მესამე წევრს შორის პრინციპულად შეუძლებელია იმგვარი ხასიათის კავშირი არსებობდეს, როგორცაც ადგილი აქვს პირველ და მეორე წევრს შორის. სარეცენზიო შრომაში არ არის პასუხი კითხვაზე: რა ხასიათისაა ის ურთიერთობა, რომელიც განწყობასა და ფსიქიკურს (და საერთოდ ქცევას) შორის შეიძლება არსებობდეს. ეს გარემოება ერთგვარ გაურკვევლობაში რთვებს მკითხველს.

მ. ჩხარტიშვილი



1. პროფ. მ. ბეჭაია და ასისტ. ე. გამსახურდია. თუთის ხის ნაყოფის ქიმიური ანალიზი	5
2. დოც. ლ. ქელიძე. ბინარული სისტემების $Ag_2Cl_2 - Cu_2S$ და $Cu_2Cl_2 - Ag_2S$ ლლობადობის დიაგრამების შესწავლისათვის	9
3. ლ. დარჩია. ნასაკირალის მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	15
4. დოც. გ. კოკოჩაშვილი. ნასაკირალში შეგროვილი მუცელფეხიანი მოლუსკები	33
5. ქ. სვანიძე. ქუთაისის მიდამოების ტარანტულების ეკოლოგიიდან. ტარანტულების სროები	41
6. პროფ. მ. ბეჭაია და ე. გამსახურდია. მაკლიურას ფოთლის და ნაყოფის ანალიზი	51
7. დოც. გ. კოკოჩაშვილი. ფასციოლოზის გადამტანი მოლუსკის გავრცელების საკითხისათვის საქართველოში	53
8. Доц. Г. Кокочашвили. Заметка о нахождении речного угря в реке Риони под Кутаиси	65
9. დოც. კ. ჭანიშვილი. რამის პლანტაციის ნაყოფიერება წლოვანების მიხედვით	67
10. გ. ქელიძე. მასალები დას. საქართველოს გეოლოგიისათვის	81
11. დოც. ა. გოცირიძე. მასალები კუნთის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების შესახებ	93
12. დოც. გ. დევდარიანი. სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასების დათარიღებისათვის	117
13. ლ. მარუაშვილი. ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების „წკვარამები“	129
14. ი. საღინაძე. წყალტუბოს ვულკანური ყელის პეტროგრაფია	145
15. М. Советов. Исследование былинны о Дунае	155
16. Доц. Г. Хажалия. Об одном минимальном свойстве конформного отображения двусвязных областей	179
17. Доц. А. Беглашвили. О некотором обобщении смешанной задачи относительно давления жесткого профиля на прямолинейную границу упругой полуплоскости	183
ა ი ბ ლ ი ო ზ რ ა ვ ი ა	
18. გ. ქელიძე. Проф. А. Джanelidze. „Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума“	187
20. დოც. შ. ჩხარტიშვილი. დ. უზნაძე. „ზოგადი ფსიქოლოგია“	195

О Г Л А В Л Е Н И Е

1. Проф. М. Бекаия и ассист. Е. Гамсахурдия. Химический анализ плодов шелковицы	5
2. Доц. Л. Челидзе. К изучению диаграмм плавкости бинарных систем $Ag_2Cl_2-Cu_2S$ и $Cu_2Cl_2-Ag_2S$	9
3. Л. Дарчия. Физико-химический анализ минеральных источников сел. Насакирალი	15
4. Доц. Г. Кокочашвили. Брюхоногие моллюски, собранные в Насакирალი	33
5. К. Сванидзе. Из экологии тарантулов окрестностей Кутаиси. Норки тарантулов	41
6. Проф. М. Бекаия и ассист. Е. Гамсахурдия. Химический анализ листьев и плодов маклюры	51
7. Доц. Г. Кокочашвили. К вопросу о распространении моллюсков—передатчиков фасциоза в Грузии	53
8. Доц. Г. Кокочашвили. Заметка о нахождении речного угря в реке Риони под Кутаиси	54
9. Доц. К. Чанишвили. Продуктивность плантации рамы в связи с возрастом	67
10. Г. Челидзе. Материалы к геологии зап. Грузии	81
11. Доц. А. Гоциридзе. Материалы о пессимальных и оптимальных эффектах мышцы	93
12. Доц. Г. Девдариани. К датировке речных террас Мегрелии	117
13. Л. Маруашвили. Карстовые воронки Кутаисского и Цхалтубского районов	129
14. Н. Сагинадзе. Петрография Цхалтубской вулканической горловины	145
15. М. Советов. Исследование былинны о Дунае	155
16. Доц. Г. Хажалия. Об одном минимальном свойстве конформного отображения двусвязных областей	179
17. Доц. А. Бегнашвили. О некотором обобщении смешанной задачи относительно давления жесткого профиля на прямолинейную границу упругой полуплоскости	183

Б И Б Л И О Г Р А Ф И Я

18. Г. Челидзе. Проф. А. Джанелидзе. „Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума“	187
19. Доц. Ш. Чхартушвили, Д. Узнадзе. „Общая психология“	195

დაიბეჭდა ქუთაისის ა. შულუკიძის სახელობის
პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის
დოც. ლ. ა. ჭვლიძის განკარგულებით

სარედაქციო
კოლეგია:

პროფ. შ. ბეჭაია
პროფ. ა. ბოჭორიშვილი
პროფ. გ. თავზიშვილი
დოც. გ. როგავა
დოც. გ. ხაჭალია
დოც. ლ. ჭვლიძე (პ/მგ. რედაქტორი)

Редакционная
коллегия:

Проф. М. Бекая
Проф. А. Бочоришвили
Проф. Г. Тавзишвили
Доц. Г. Рогава
Доц. Г. Хачалия
Доц. Л. Челидзе (отв. редактор)

გამომცემი
ტექნოდაქტორი { შ. ჩარკვიანი

№ 5699
შეკვეთა № 1872
ტირაჟი: 250
ფორმ. ტი: 7×11

გან. „ინდუსტრ. ქუთაისის“ სტამბა. ლ. ბერიას ქ. № 9
Типогр. газ. „Индустр. Кутаиси“. ул. Берия № 9



